

03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემღწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკატერინე შირცხალავა

ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი

ფსიქოლოგიაში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაკრებლად წარდგენილი
დიპორტაცია

თბილისი

2008

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი: ნანა სუმბაძე

შესავალი	4
კვლევის მიზანი	9
ნაწილი I	12
თავი 1. ოჯახის შესახებ არსებული კვლევების და ემპირიული მონაცემების წყაროების მიმოხილვა	12
1.1 ოჯახის კვლევის ძირითადი მიღობები	12
1.2 ოჯახის კვლევის ისტორია	18
1. ოჯახური როლების სტრუქტურა	29
2. ოჯახური ქმნისტიმები და საზღვრები	31
1.3 ოჯახის ფორმები	37
1.4 ოჯახის სასიცოცხლო(განვითარების) ციკლი	39
1.5 ოჯახის ფუნქციები	46
II თავი ოჯახური ურთიერთობების მახასიათებლები	49
2.1 ურთიერთაღქმის ბუნება და ოჯახის როლი მის აღქმაში	49
2.2 ნდობა, როგორც პიროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელი ოჯახში	61
2.3 თვითგახსნა და მისი განმაპირობებელი ფაქტორები	71
მე-2 ნაწილი. კვლევის პრობლემა	რრორ! ოოკმარკ ნოტ დეფინედ.
თავი 3.	75
3.1 საპიოხის დასმა	75
3. 2 ემპირიული ბამოკვლევა	78
4. შედეგების ანალიზი	83
4.1 ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის ასექტიები	83
4.2 თვითგახსნა და აღქმის შესატყვისობა	91
4.3 ნდობა, აღქმის შესატყვისობა და თვითგახსნა	94
5. დასკვნა	95
გამოყენებული ლიტერატურა	რრორ! ოოკმარკ ნოტ დეფინედ.

შესავალი

ოჯახის შესწავლა ჯგუფის შესწავლის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა, რადგანაც მასში განსაკუთრებით კარგად ჩანს ადმიანზე მოქმედი ის სოციალურ ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, რომელიც განაპირობებს საზოგადოებაში მის შესაბამის ფუნქციობას.

ადამიანი თავისი ცხოვრების ძირითად ნაწილს ოჯახში ატარებს. ბავშვი ოჯახში სწავლობს სხვებთან ურთიერთობასა და თანაარსებობას. სწორედ ოჯახში ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება, იმ ღირებულებათა და ნორმების ინტერიორიზაცია, რომლებითაც ის შესაძლოა მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელმძღვანელობდეს. ოჯახში ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ღირებულებების, ნორმების და მახასიათებლების შექმნა, რომლებიც მას ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის ბოლომდე თან სდევს. ბავშვის ადაპტაციას სოციალურ გარემოსთან და მის სოციალურ კომპეტენტურობას ძირითადად ოჯახი და ოჯახში ცხოვრება განაპირობებს. / ბავშვის ადაპტაცია სოციალურ გარემოსთან და მის მიერ სოციალური კომპეტენციის შექმნა ძირითადად ოჯახში ხდება. /

ოჯახი, როგორც სოციალურ ფსიქოლოგიური მთლიანობა პიროვნებაზე ინფორმაციულ და სოციალიზირებულ გავლენას ახდენს, რაც უფრო შეკრულია ოჯახი მით უფრო ეფექტურია სოციალიზირებული ზემოქმედება. (Гозман Л.1985. Алешина Ю.1987)

ოჯახის მრავალი განსაზღვრება არსებობს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის წიაღიდანაა შობილი და სხვადასხვა თეორიულ ჭრილში განიხილება. ტერმინი, “ოჯახი”, მრავალი დასავლური სოციოლოგისა და ფსიქოლოგის მიერ “ნუკლეარული ოჯახის” სინონიმად გამოიყენება. ნუკლეარული ოჯახი რომელიც დედისა, მამისა და ბავშვისაგანან ბავშვებისაგან შედგება. თუმცა, ამ ტერმინის მსგავსი აღქმა დასავლური კულტურის ოჯახთა მხოლოდ განსაზღვრულ ტიპს ასახავს. მთელს მსოფლიოში,

გარდა ნუკლეონური ოჯახისა, არსებობენ ოჯახები, სადაც ბებია, ბაბუა, ბიძები და არა მონათესავე ადამიანებიც კი “ოჯახად” ითვლებიან.

ოჯახის განსაზღვრებათაგან ყველაზე მისაღებია ის, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის როლს სოციალური სამყაროსა, თუ ინდივიდის ფიზიკურ - სოციალური გადარჩენისათვის. მსგავს დეფინიციას თითქმის ყველა სოციალური და ბიპვეიორალური მეცნიერი ეთანხმება.

ოჯახის ერთ - ერთი განსაზღვრება, რომელიც ანთროპოლოგებს ათწლეულების მანძილზე ემსახურებოდა, მურდოკს (*Murdock 1949*, გვ. 2) ეკუთვნის და შემდეგი სახისაა: “ოჯახი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელსაც გააჩნია საერთო საცხოვრებელი და ახასიათებს ეკონომიკური ურთიერთგაცვლა და რეპროდუქციულობა. ის შეიცავს ორივე სქესის უფროსს, რომელთა შორის, ორს მაინც სოციალურად ნებადართული სექსუალური ურთიერთობა აკავშირებს და ერთ, ან მეტ ბავშვს; ნაშვილებს, ან საკუთარს, რომლებიც უფროსებთან ერთად ცხოვრობენ.”

სოციოლოგებისათვის ოჯახი არის ადილი სადაც ინდივიდუალური ქცევა საზოგადოებრივ ნორმებს და სტრუქტურებს უკავშირდება, მას ხშირად უწოდებენ საზოგადოების ძირითად ბირთვს (ბირთვულ უჯრედს). სოციოლოგიური კუთხით მკვლევარები დაინტერესებულნი არიან, თუ რამდენად ინარჩუნებს იცვლება ოჯახში საზოგადოებრივი ნორმები, წესები, როგორ ხორციელდება მათი მიღება და როგორ ფუნქციონირება. (Adams 1975 Nyend Berardo 1973 Bell und Vogel 1968)

სოციალური ფსიქოლოგია ოჯახს განიხილავს, როგორც მცირე ჯგუფს, სპეციფიური მიზნობრივი მნიშვნელობით და მისგან გამომდინარე იმ თავისებურებებით, რითაც ოჯახი განსხვავდება სხვა “თავისუფლად ორგანიზებული” ჯგუფისაგან, ყოველივე ეს დაკავშირებულია ოჯახის შემდეგ მანქენებლბთან

1. ა) ოჯახის სქესისა და ასაკით ჰეტეროგენული შემადგენლობა, რომელსაც თავისთავად აქვს განსხვავება მოთხოვნილებების, ღირებულებების და სხვა.
- ბ) დახშულობა (ახალი წევრების მიღება რეგლამენტირებულია) მისი გაფართოვების ბუნებრივი და უნიკალური გზა არის შვილის დაბადება;

2. პოლიფუნქციურობა (ოჯახის ფუნქციები ყოველთვის არ არის ურთიერთშემავსებელი, ისინი შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, (მათი ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობის მიხედვით);
3. ოჯახის ისტორიის ხანგრძლივობა, განვითარების სხვადასხვა ეტაპები;
4. მშობლების მიერ ოჯახში საკუთარი გამოცდილების გაზიარება, როგორც ცნობიერ ისე არაცნობიერ დონეზე;
5. ინდივიდის ოჯახში მთლიანად ჩართვა (ადამიანები ცხოვრების დიდ ნაწილს ოჯახში ატარებენ);
6. ოჯახური ურთიერთობების რღვევა.

მაკროსოციალურ დონეზე ოჯახის ფუნქციონირების გარკვეული დადებითი და უარყოფითი მიზეზები ცნობილია, მაგრამ ისინი მაინც არასაკმარისად არის შესწავლილი, ამიტომაც ქორწინების და ოჯახის ფენომენის ანალიზის საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია.

ოჯახის კვლევა რთული ამოცანაა, რადგანაც ის ადამიანური ურთიერთობების ინტიმური სფეროს შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ადამიანებს საკუთარი თავის და საკუთარი ოჯახის შესახებ ინფორმაციის გაცემა ძალიან უჭირთ, ამიტომაც ოჯახის შესახებ გამოკვლევები არც თუ ისე ხშირია.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ოჯახი ფსიქოლოგიური კვლევის საგანი გახდა. გამოკვლევებისა უმრავლესობა რომელიც ოჯახის შესახებ არსებობს ძირითადად წარმოადგენს თერაპიულ პრაქტიკის შედეგებს, სადაც ნორმალური ურთიერთობების დარღვევაზეა საუბარი. ურთიერთობების დარღვეულებისათვის საჭირო გახდა ოჯახის ფუნქციობის კანონზომიერებათა შესწავლა. ოჯახის, როგორც ფსიქოლოგიური ერთეულის ფუნქციონირებით და მისი არსებითი თვისებებით დაინტერესება XX საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ამ პერიოდში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტები ფროიდის ფსიქოანალიზური თეორიის გავლენას განიცდიდნენ, აქცენტი ოჯახზე მოგვიანებით გაკეთდა. ამ თეორიის კლინიკური პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ ცალკეული ადამიანების პრობლემებზე, მას ნაკლებად

ინტერესებდა ოჯახის ან ცალკეული სოციალური ჯგუფების პრობლემები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფებს მკურნალობა დაიწყო, არა საავადმყოფოებში არამედ ოჯახებში, ამან შესაბამისად დიდი ინტერესი გამოიწვია ოჯახში მიმდინარე პროცესების მიმართ და განაპირობა ოჯახზე კვლევების დაწყება.

ინდივიდი თავისთავად არის ნაწილი ოჯახური სისტემისა, ისევე როგორც ოჯახური სისტემის შიგნით დიადები და ტრიადები. დიკსის(1953) მიხედვით ორი პიროვნების(თავისი ინდივიდუალური და სოციალური გამოცდილებით, რომლებიც სხვადასხვა ურთიერთობების დროს არის შექმნილი და ჩამოყალიბებული) ძალების ინტერაქციის შედეგი არის ქორწინება. ოჯახის ბირთვი არის ქორწინებითი კავშირი, სადაც ოჯახი განისაზღვრება შემდეგი სახით, ოჯახს ქმნის არამხოლოდ კაცის და ქალის ურთიერთობა, არამედ დამოკიდებულება დედასა და ბავშვს შორის, მამასა და ბავშვს შორის, შესაბამისად იქმნება მიმართება დედა- მამა, მშობლები- შვილები.

ოჯახი თავისი ფუნქციებით გარკვეულ დამოკიდებულებაშია საზოგადოებასთან, სხვა ჯგუფებთან, მრავალ ინდივიდთან. ოჯახის წარმატებული ფუნქციონირებისათვის მისი ყოველი წევრი იძენს სტატუსს, ირგებს მასთან შეფარდებულ როლს, რომელზეც როლური მოლოდინები მოქმედებს, შემდეგ ოჯახში როლური ქცევები კონკრეტული სახის ხდება- ცოლი, ქმარი. დედა, მამა და სხვა.

ოჯახის, როგორც მცირე ჯგუფის, სტრუქტურულ შემადგენლობაში შედის: ძალაუფლების სტრუქტურა (ლიდერობა და სხვა) კომუნიკაციის სტრუქტურა(პიროვნებათაშორისი ურთიერთობა), როლური სტრუქტურა(ჯგუფის წევრების მიერ გარკვეული როლის შესრულება).

რობერტ ვაისის (Robert Weiss 1974) მიერ ჩამოთვლილია ბაზისური “სოციალური ურთიერთობების შედეგი“, ეს არის უშიშროებისა და კომფორტის გრძნობა, სოციალური ინტეგრაცია, ღირსებების დაცვა, სანდო კავშირის გრძნობა, ხელმძღვანელობა, მზრუნველობის შესაძლებელობა არის ის, რაც ოჯახური ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანია, რადგანაც მხარდაჭერა, ნდობა,

გახსნილობის უნარი, ბედნიერება, და ემოციური სიახლოვე, სწორედ ოჯახში იღებს სათავეს.

ადამიანებს მოთხოვნილება აქვთ საკუთარი გრძნობების და ემოციის თავისუფლად გამოხატვის. ყოველ მათგანს სურს დაუბრკოლებლად გამოთქვას თავისი აზრი, და საშინლად განიცდის იმ ფაქტს, თუ მას არ შეუძლია ვინმეს გული გადაუშალოს. რეგლამენტირებული ურთიერთობების პირობებში ქცევა ც შესაბამისია, და ადამიანი ცდილობს კონტროლი გაუწიოს თავის განცდებს და ემოციებს, საკუთარი ნააზრების ვერბალიზაციას ე.ი. აწარმოოს მკაცრი თვითკონტროლი და თვითცენზურა. ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანსათვის აუცილებელია ინტიმური, ემოციონალურ პოზიტიური ურთიერთობები. თუ ამ ურთიერთობებში იგრძნობა პარტნიორისგან თანაგრძნობა, გაგება, გაზიარება, სხვა პიროვნების ფსიქოლოგიური სამყაროში “შედწევა” მაშინ ადამიანი კმაყოფილია და ბედნიერი, რადგანაც მთავარი ამ დროს არის ის, რომ ჩვენ გვიღებენ ისეთებს როგორებიც სინამდვილეში ვართ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. ასეთი ურთიერთობების დროს მეორე მხარისგან უნდა გრძნობდე სითბოს, სიყვარულს, თანადგომას და თანაგრძნობას.

კვლევის მიზანი

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო შეგვესწავლა სოციალურ ფსიქოლოგიური წინაპირობები და ფაქტორები რომლებიც არსებობენ ოჯახის წევრების ურთიერთობაში და ოჯახის წევრების შორის არსებული ურთიერთობების თავისებურებები.

წლების განმავლობაში შესწავლილია ცოლქმრული ურთიერთობები, შვილებსა და მშობლებს შორის დიადური ურთიერთობა, მხოლოდ ერთეული ნაშრომები არის მთლიანად ოჯახის შესახებ, ოჯახის როგორც მთლიან ერთეულზე, სადაც გამოკვლეული იქნებოდა ოჯახი ყველა მისი წევრის გათვალისწინებით.

ჩვენ ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ოჯახის, როგორც სისტემის განხილვა და იმ მექანიზმების კვლევა, რომლითაც ოჯახი, როგორც სისტემა თავის ფუნქციებს ასრულებს, კერძოდ ოჯახური როლების (დედა, მამა, შვილი,) და ოჯახური ქვესისტემების (მშობლები, მეუღლები, შვილები, დედმამიშვილები) ოჯახური ურთიერთობების მახასიათებლების მიხედვით კვლევა.

ამ მიდგომამ განსაზღვრა კვლევის მონაწილეების შერჩევა და თვით კვლევის და მონაცემთა ანალიზის ფორმატიც.

მოცემულ ნაშრომში ჩვენი კვლევის საგანია აღქმის სიზუსტის განსაზღვრა ოჯახში. ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერესოა იმის გაგება, ემთხვევა თუ არა სხვების მიერ მისი აღქმა, თვითაღქმას. ეს საკითხი საინტერესოა ორი მთავარი მიზეზის გამო:

1. ის, თუ როგორ წარსდება ადამიანი სხვების წინაშე, თუ როგორ შეიცნობენ მას სხვები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ფუნქციონირებაზე გარემოში. იმას თუ როგორ ეპყრობიან მას სხვები, რა მოლოდინები გააჩნიათ მის მიმართ არა ერთმნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს.
2. სხვების აზრი ინფორმაციის სასარგებლო წყაროა. საკუთარ თავზე არსებული ინფორმაცია, რომელიც კომპეტენტური პირისაგან არის მიღებული ეხმარება ადამიანს გარკვეული თვისების არსებობის აღმოჩენაში.

საკუთარი თავის დანახვას სხვების საშუალებით კი ყველაზე კარგად შესაძლებელია საკუთარ ოჯახში, ჩვენი ინტერესის სფეროს შეადგენდა სწორედ ოჯახის წევრეთა ურთიერთაღქმა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.

კვლევის პროცესში გამოიყო შემდეგი საკითხები:

1. რამდენად შეესატყვისება პიროვნების თვით-აღქმა ოჯახის წევრების მიერ მის აღქმას (თვითწარდგენის სიზუსტე - რაც ჩვენ აღნიშნული გვაქვს პირობითად, როგორც A მახასიათებელი).

2. რამდენად შეესატყვისება პიროვნების თვით-აღქმას მისი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მას ოჯახის წევრები (აღქმის მიკერძოება -რაც ჩვენ აღნიშნული გვაქვს პირობითად, როგორც B მახასიათებელი)

3. რამდენად ზუსტია პიროვნების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მას ოჯახის წევრები (აღქმის სიზუსტე - რაც ჩვენ აღნიშნული გვაქვს პირობითად, როგორც C მახასიათებელი)

4. რა ზეგავლენა აქვს A, B და C მახასიათებლებზე ისეთ ურთიერთდამოკიდებულ ცვლადებს, როგორცაა როლი (დედა, მამა, უფროსი შვილი, უმცროსი შვილი), ურთიერთობის ტიპი (მშობლები, შვილები, მშობლები-შვილები), აღმქმელის ასაკი და სქესი.

5. ოჯახის რომელი წევრების მიმართ არის უფრო მეტად გამოკვეთილი ე.წ.

დადებითი მიკერძოება - ანუ მათთვის უფრო მეტი დადებითი თვისებების მიწერა.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გარდა გამოკვლევა მიზნად ისახავდა ორი ჰიპოთეზის შემოწმებას:

1. გენერალიზებული ნდობა, როგორც პიროვნული მახასიათებელი უშვებს უფრო დიდ განსვლას თვით-აღქმასა და პიროვნების სხვის მიერ აღქმის წარმოდგენას შორის (B მახასიათებელი), ე.ი. მაღალი ნდობის ადამიანებთან თვით-აღქმასა და სხვის მიერ მათ აღქმაზე წარმოდგენას შორის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე ეს დაბალი ნდობის მქონე პიროვნებებთან არის.

2. თვით-გახსნა განაპირობებს უფრო მეტ შესატყვისობას თვით-აღქმასა და სხვის მიერ პიროვნებას აღქმას შორის (A მახასიათებელი).

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქართული ოჯახების კვლევის შედეგად მოპოვებული ემპირიული მონაცემები. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ქართული ოჯახის, როგორც სისტემის მრავალმხრივი შესწავლა.

ნაწილი I

თავი 1. ოჯახის შესახებ არსებული კვლევების და ემპირიული მონაცემების წყაროების მიმოხილვა

1.1 ოჯახის კვლევის ძირითადი მიდგომები

ოჯახის შესწავლის არაერთი მიდგომა არსებობს. მათ შორისაა:

1. სოციოლოგიური მიდგომა

სოციოლოგიური მიდგომა ოჯახს განიხილავს როგორც როლებით და წესებით განსაზღვრულ სოციალურ ინსტიტუტს (Cherlin, 1999).

მეცხრამეტე საუკუნის ოჯახის სოციოლოგიური თეორიები:

საზოგადოებისათვის ოჯახის როლის მეცნიერული ანალიზი საფრანგეთში, მეცხრამეტე საუკუნეში, ახალი სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო. ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამადაა მიჩნეული, ოჯახის სტუქტურაში მომხდარ ცვლილებას ანალიზებდა “სოციალური ცვლილების” კონტექსტში, რომელიც კონცეპტის სახით ჩამოყალიბდა შემდგომი პერიოდის სოციოლოგიისა და მეცხრამეტე საუკუნის ოჯახის სოციოლოგიის ჭრილში. მისი იდეა, რომლის მიხედვით, სოციალური ცვლილება ოჯახზე გავლენას ახდენს ოჯახის კრიზისისა და ოჯახის დეზინტეგრაციის სახით, რაც ტრადიციული გაფართოებული ოჯახის, როგორც სისტემის, წონასწორობას არღვევს, ოჯახის სოციოლოგიის აქტუალური საკითხი გახდა.

ევოლუციური თეორია

დარვინის ევოლუციურმა თეორიამ ძლიერი გავლენა მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის აზროვნებაზე. გარემოსთან ბიოლოგიური ადაპტაციის იდეა ასევე შეეხო ოჯახის, როგორც სოციალური ორგანიზმის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის

ამხსნელ თეორიებს. *მორგანი (Morgan, L 1870)* მიჩნეულ იქნა ევოლუციური ანთროპოლოგიისა და ოჯახის ექვსი სტადიის მიხედვით განვითარების ამხსნელი თეორიის ფუძემდებლად. პირველ საფეხურს წარმოადგენს ეტაპი, რომლის განმავლობაშიც პრომისკვიტეტი ნორმადაა მიჩნეული, მამობის მოპოვება ამ ეტაპზე რთული იყო, ამიტომ ამ ეტაპზე ოჯახი მატრიარქალური იყო (*Popenoe, 1988*), ხოლო ბოლო ეტაპს მონოგამიური ოჯახი წარმოადგენდა.

ევოლუციური თეორია ადაპტირებულ იქნა ისეთ მეცნიერთა მიერ, როგორცაა *რობერტ სპენსერი*, დარვინიზმის ერთ - ერთი მიმდევარი. მან სცადა აეხსნა, თუ როგორ განვითარდა ოჯახი ელემენტარული ფორმებიდან რთულ ფორმებამდე და, როგორ მიაღწია განვითარების დღევანდელ ეტაპს.

სოციალური ევოლუციონიზმის იდეები მიუღებელი აღმოჩნდა მეოცე საუკუნის მრავალი კულტურული ანთროპოლოგისათვის, ისეთთათვის, როგორც იყვნენ: *Franz Boas* და მისი სტუდენტები, *Merville Herkovits, Ruth Benedict* და *Margaret Med*, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ევოლუციურმა თეორიამ არ გაითვლისწინა ოჯახთა ისეთი სახესხვაობანი, რომლებიც სხვადასხვა კულტურული კონტექსტის შედეგს წარმოადგენდა. მათ შეიმუშავეს კონცეფცია, რომელიც *კულტურული რელატივიზმის* სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კონცეფციის მიხედვით, ოჯახი და სოციუმის სხვა ასპექტები, სასურველია, შესწავლილ იქნას მოცემული კულტურის კონტექსტის ფარგლებში. ამასთანავე, მოცემული კონცეფცია უარყოფდა იდეას იმის შესახებ, რომ ზოგიერთი კულტურა მეტად ცივილიზებულია, ვიდრე - სხვა.

ევოლუციის თეორია გაკრიტიკებულ იქნა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს *Westermarck(1894-1901)* და *Howard (1904)* მიერ. მათ ვერ მოიძიეს მტკიცებულებანი, რომელნიც მეცნიერულ კონცეფციაში პრომისკვიტეტისა და მატრიარქატის ეტაპების არსებობას გაამართლებდა პრეისტორიული ოჯახის განვითარების აღწერის პროცესში. ევოლუციის თეორია მიჩნეულ იქნა ქრობად თეორიად მანამ, სანამ ის არ მოეწვინა მეცნიერებას მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ეკოლოგიური ანთროპოლოგიის სახით.

მარქსი და ენგელსი

ოჯახის ერთ - ერთ საკვანძო თეორიაზე გავლენა მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს. სოციალური დარვინიზმის ბიოლოგიური დეტერმინიზმის ამსხნელი ძალის საპირისპიროდ, მარქსისტულმა თეორიამ შემოიტანა ეკონომიკური დეტერმინიზმის კონცეპტი იმისათვის, რომ ახსნილიყო, თუ როგორ განაპირობებენ ეკონომიკური რესურსები სოციალურ ძაღას, რაც თავის მხრივ განაპირობებს კლასობრივ ბრძოღას.

სტრუქტურალიზმ - ფუნქციონალიზმი

სტრუქტურალიზმ - ფუნქციონალიზმის ბაზისური იღეები სპენსერმა ჩამოაყალიბა, ხოლო, მოგვიანებით, დიურკჰეიმმა განავითარა. ფუნქციონალიზმი ოჯახის არსებობასა და მის სტრუქტურაში, თუ ფუნქციაში არსებულ ცვლიღეებს განიხიღავს, როგორც სოციუმში არსებული ცვლიღეების ასახვას. ოჯახი დიდი მთღიანის ნაწიღი იყო, რომელშიც სხვა ნაწიღები წონასწორობის განმაპირობებღლნი იყვნენ და რომელიღე ერთი ნაწიღის ცვლიღებას სხვა ნაწიღების ფუნქციონირებაში ცვლიღეები შეჰქონდა. ამასთანავე, ცვლიღეებს, შესაძღლოა გააჩნდეს მრავალი მიზეზი, მხოლოდ ერთი ბიოლოგიური, თუ ეკონომიკური დეტერმინიზმის, სოციალური დარვინიზმისა, თუ მარქსისტული თეორიის საპირისპიროდ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფსიქოღოღია ექსპერიმენტულ ფსიქოღოღიასა და ფსიქოანალიზთან ასოცირდებღდა. მართღაც, დიურკჰეიმი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ფსიქოღოღიას თითქმის არაფრის შეთავაზება შეეძღლო ოჯახის კვღევისათვის, რადღან ოჯახში ცვლიღების შეტანა არა ფსიქოღოღიურ, არამედ სოციალურ პროცესებზე იყო დამოკიდებული.

ოჯახის შესწავღამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ემპირიული მიღღომა წამოაყენება განაპირობა.

2. ფუნქციონალური მიდგომა

ტალკოტ პარსონსი (1943, 1949, 1965) იყო სოციოლოგი, რომელმაც სტრუქტურალიზმ - ფუნქციონალიზმი განავითარა, როგორც თეორია, რომელიც ოჯახის ცვლილების ანალიზს ახორციელებს. სოციუმი სტრუქტურულ - ფუნქციონალური თვალსაზრისით განხილულ იქნა, როგორც ორგანიზმი, რომელიც ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ცვლილებას და შეინარჩუნოს წინასწორობის მდგომარეობა. პარსონსის მიხედვით, ოჯახს აქვს ორი ფუნქცია: *ინსტრუმენტული*, რომელიც დაკავშირებულია გადარჩენასთან და *ექსპრესიული*, დაკავშირებული მორალური მდგომარეობის შენარჩუნებასთან. ნუკლეარული ოჯახი ხდება ბინადრობისა და მოხმარების ქცევის ერთიანობა. მისი ფინანსური და აღმზრდელობითი ფუნქციები დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე, ხოლო მის ძირითად ფუნქციას, ისევედასევე, ბავშვთა სოციალიზაციისა და მშობელთა ფსიქოლოგიური წონასწორობის ფუნქცია წარმოადგენს. ნუკლეარული ოჯახის მშობლები, რომლებმაც ერთმანეთი თავისუფლად, სიყვარულით აირჩიეს, განსხვავებით გაფართოებული ოჯახის სისტემისაგან, სადაც ქორწინება ოჯახის ინტერებსა და არა რომანტიკულ სიყვარულზეა დაფუძნებული, იზოლირებულნი არიან ნათესაობისაგან და იზიარებენ რაციონალურ და პრაგმატულ ღირებულებებს.

პარსონსის სტრუქტურისა და ფუნქციის თეორიამ ძლიერი გავლენა იქონია ოჯახის ცვლილების კვლევაზე ორმოციან წლებში.

ამ მიდგომის მთავრი ღერძი იყო ის რომ, ოჯახში მამაკაცი ახორციელებს ინსტრუმენტალურ ფუნქციას, განაპირობებს რა ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას, ხოლო ქალი ასრულებს ექსპრესიული ლიდერის როლს, აძლევს რა მეუღლესა და შვილებს ემოციურ მხარდაჭერას. ოჯახში როლების ამგვარი განაწილების საშუალებით ხორციელდება ყველა ის ფუნქცია, რომელსაც საზოგადოება ოჯახს აკისრებს, მატერიალური შესაძლებლობების გაპირობება, ემოციური მხარდაჭერა და შვილების აღზრდა (Parsons & Bales, 1955).

2. სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორია

სიმბოლური ინტერაქციონიზმი წარმოდგენილ იქნა ბურგესის (**Burgess 1926**) მიერ იმისთვის, რათა ოჯახი შესწავლილიყო, როგორც “ურთიერთქმედ ელემენტთაგან შემდგარი მთლიანობა.” (**Burgess 1926**) მიდგომა, რომელმაც ოჯახის შესწავლისადმი მიდგომა შეცვალა, დიდი სოციალური თეორიების მახვილის უკუგდებას წარმოადგენდა, რომლებიც სოციალურ ცვლილებას ოჯახის სტრუქტურის ცვლილების დეტერმინანტად წარმოადგენდნენ. სიმბოლური ინტერაქციონიზმი ფოკუსირდებოდა ოჯახის წევრთა ინტერაქციულ ქცევაზე, როგორც დინამიურ მთლიანობაზე და წარმოშვა ისეთი კვლევა, როგორცაა სისტემატური დაკვირვება ჯგუფის ინტერაქციის პროცესზე, რომელმაც წარმოქმნა დიფერენციაცია ინსტრუმენტულსა და ექსპრესიულ როლებს შორის. (**Bales, 1950; bales and Staler, 1955**).

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის თანახმად ადამიანების რეაქცია სხვების ქმედებებზე გაშუალებულია იმ ინტერპრეტაციით, რომელსაც აღმქმელი სხვის ქცევას აძლევს. ამდენად რეაქცია მნიშვნელოვანწილად ემყარება სიმბოლოთა ინტერპრეტაციის პროცესს. (Cooly, /1912/ Mead /1934/) შესაბამისად ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გაზიარებული ცოდნის არსებობა, რომელსაც ემყარება ის სოციალური როლები(მეუღლე, შვილი, მშობელი, შემომტანი და ა.შ.) რომელსაც ადამიანები ოჯახში ასრულებენ.

3. სოციალური გაცვლის თეორია

გაცვლის თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც რაციონალურ არსებას, რომელიც ამა თუ იმ ქცევის განხორციელებაზე გადაწყვეტილებას იღებს იქიდან გამომდინარე თუ რა მოგებას ნახავს კონკრეტული ქცევის განხორციელებისგან, რის ფასად მიიღებს მოგებას და რა ალტერნატივა გააჩნია მას. ამ მიდგომის მიხედვით ქალი ხშირად აკეთებს არჩევანს შეასრულოს სახლის სამუშაო და მოუაროს ბავშვებს, რათა ისარგებლოს

მამაკაცის მიერ მოპოვებული მატერიალური დოვლათით, თუ მეუღლეს აქვს უფრო მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა (Becker, 1991).

4. სისტემური თეორია

ოჯახი ღია ცოცხალი განვითარებადი სისტემაა, რომელიც ბიოლოგიური და სოციალური სისტემების მსგავსად წარმოადგენს მუდმივად განვითარებად სისტემას.

სისტემური თეორია ოჯახს განიხილავს, როგორც სისტემას რომლის წევრები ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი არიან ოჯახი წარმოადგენს ღია სისტემას, რომლის წევრებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და გარემომცველ სისტემებზე (სკოლა, საწარმო, მეცნიერება, რელიგია, სახელმწიფო დასხვა).

ოჯახი, როგორც სისტემა ცდილობს შეინარჩუნოს არსებული კავშირები ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ცდილობს განვითარდეს და გადავიდეს ფუნქციონირების უფრო მაღალ დონეზე.

ამ მიდგომის თანახმად ოჯახის სპეციფიკის გასაგებად არ არის საკმარისი ოჯახის ცალკეულ წევრების ქმედებების აღწერა, მათი ჯამი არასდროს არ მოგვცემს ოჯახის სურათს. ოჯახი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთი მთელი, რომელშიც ნებისმიერი ელემენტის შეცვლა იწვევს ცვლილებას ყველა სხვა ელემენტში.

ოჯახს როგორც სისტემას აქვს შემდეგი თვისებები 1) სისტემა როგორც მთელი უფრო მეტია ვიდრე შემადგენელი ნაწილების ჯამი. 2) ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება ზემოქმედებს სისტემაზე როგორც მთელზე ზეგავლენას ახდენს სისტემის ყოველ ცალკეულ ელემენტზე. 3) სისტემის ერთი ნაწილის დარღვევა ან ცვლილება აისახება სხვა ნაწილების და მთლიანი სისტემის ცვლილებაში ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ოჯახის თერაპიაში, რადგანაც ოჯახის როგორც ერთი მთელის თერაპიას ბევრად ეფექტურია აქვს ვიდრე, ოჯახის ცალკეულ წევრებთან მუშაობა

ოჯახის თერაპიის აღიარებული ავტორიტეტები, როგორც არის მაგ. მინუხინი(Minuchin, 1974), სატირი (Ssatir 1988), ვიტკერი (Whitaker 1975), სწორედ ამ თეორიულ ჩარჩოს იყენებდნენ.

1.2 ოჯახის კვლევის ისტორია

ოჯახის როგორც ფსიქოლოგიური ერთეულის ფუნქციონირებით და მისი არსებითი თვისებებით დაინტერესება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტები ფროიდის ფსიქონალიზური თეორიის გავლენას განიცდიდნენ. ამ თეორიის კლინიკური პრაქტიკა კი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ცალკეული ადამიანების პრობლემებზე, მას ნაკლებად აინტერესებს ოჯახის ან ცალკეული სოციალური ჯგუფების პრობლემები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებამ, რაც გულისხმობს იმას, რომ მეტი შესაძლებლობები გაჩნდა ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანების ოჯახში მკურნალობის, ამ პრაქტიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია ოჯახში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამერიკაში არსებული ექვსი ძირითადი ფსიქიატრიული ცენტრის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ 1957 წელს ჩიკაგოში ოჯახების კვლევის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად. ამ შეხვედრას “ოჯახური მოძრაობის “საწყისად მიიჩნევენ.

ამჟამად ოჯახურ ფსიქოთერაპიის რამოდენიმე ძირითადი მიდგომა გამოიყოფა ფსიქოდინამიკური, სისტემური და ასევე ეკლექტური(Эпидемиллер Э. Юстицкис В. 1999)

ფსიქონალიტიკური (ფსიქოდინამიკური) ოჯახური თერაპია--- თერაპიის ამ მიმართულებამ დიდი გავლენა იქონია ოჯახური ფსიქოთერაპიის განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს რომ, თერაპია თავიდან ძირითადად ინდივიდზე იყო ფოკუსირებული, ოჯახის ფსიქოთერაპიაყურადღებას ოჯახის მნიშვნელობაზე

ამახვილებდა მეტად, თუმცა ფსიქოთერაპია იმ XXს 30-50 წლებში ინდივიდუალური იყო.

ფლუგელი (Flugel 1921), თავის პაციენტთან მუშაობისას ყურადღების აქცევდა ინტრაფსიქიკურ პროცესებს და მათ კავშირებს ოჯახურ გარემოსთან.

ფსიქოანალიტიკოსების ნაწილი დაინტერესდა ოჯახით და ოჯახების გამოკვლევით. ე. ერიკსონი(1963) მუშაობდა ეგო-ფსიქოლოგიის სოციოლოგიურ ასპექტებზე, იგი დიდ ყურადღებას უთმობს ეგოს და ცნობიერ რეგულაციას და ოჯახის გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ერიკსონი თვლიდა, რომ პიროვნების განვითარება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს, ადამიანი გარემოსთან ურთიერთობის დროს საკუთარი პიროვნების განვითარების პროცესში უფრო და უფრო კომპლექტური ხდება. მისი გარემო უპირველეს ყოვლისა არის მშობლები და ის კულტურული კონტექსტი რაშიც მისი ოჯახი იმყოფება. ერიკსონი გამოყოფს პიროვნების განვითარების 8 ფსიქოსოციალურ სტადიას 1. ახალშობილი- ნდობა 2. ადრეული ბავშვობა-მორცხვობა და ეჭვი 3. თამაშის ასაკი- ინიციატივა- დანაშაული 4. სასკოლო ასაკი-შრომოსმოყვარეობა და არასრულფასოვნება 5. ყმაწვილობა-ეგო იდენტურობა და როლური აღრევა 6. ადრეული მოზარდობის ასაკი-ინტიმურობა და იზოლაცია 7.საშუალო მოზარდობის ასაკი -პროდუქტულობა და უძრავობა 8.გვიანი მოზარდობის ასაკი- ეგო ინტეგრაცია და იმედგაცრეუება.

ე. ფრომის (From E 1973) ნაშრომებში კულტურულ ფსიქოანალიზში, ჰ. სალივანს (Sullivan H 1892-1945) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების თეორიაში, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა დედის როლს და იმ ფაქტს, რომ შიში და დაურწმუნებლობა ბავშვს დედისაგან გადაეცემა.

გენრი დისკმა (Dicks H.1967) ობიექტის ურთიერთობების თეორია გამოიყენა ცოლქმრული კონფლიქტების ასახსნელად. ნატან ეკერმანმა (Ackerman N. W 1958)- პირველმა გამოიყენა გუნდური (რამოდენიმე ადამიანი ერთად) მიდგომა ოჯახებთან მუშაობისას. თვითონ აკერმანი ბავშვთან მუშაობდა, ხოლო

სოციალური მუშაკი კი მშობელთან (დედასთან). ფროიდისგან განსხვავებით ის თვლიდა, რომ ოჯახი იცვლება გარემოსთან, გარემოცვასთან კავშირების შედეგად.

მელანი კლაინმა (Klein M 1948) აქცენტი ბავშვის ფანტაზიაზე გააკეთა, ფსიქოსექსუალური განვითარების ფაზის ნაცვლად, რომელიც ზ. ფროიდმა და ა. ფროიდმა გამოყვეს, მან გამოყო ორი ფაზა პარანოიდულ-შიზოიდური და დეპრესიული. მ. კლაინის მიხედვით ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე შესაძლებელია იმყოფებოდეს ან პარანოიდულ- შიზოიდურ, ან დეპრესიულ ფაზაზე.

მარგარეთ მალერმა (Maler, M 1975) ფსიქიკური განვითარების თავისი პერიოდიზაცია მოგვცა, სადაც ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აუტისტურ და სიმბიოტურ ფაზას. ოჯახის ფუნქციონირება დამოკიდებულია ოჯახის წევრების მე-ს მდგომარეობაზე. შესაძლებელია ზემოქმედება იქონიოს ბავშვის განვითარების ფაზებმაც. თუ ბავშვი ვერ ახერხებს განცალკევებას და ინდივიდუალიზაციას, შენარჩუნდება ემოციური მიჯაჭვულობა და დამოკიდებულება მშობლებთან, რომელიც ართულებს სოციუმში ეფექტურ ფუნქციონირებას.(Maler, M 1975)

ფსიქოანალიტიკოსებმა, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს ოჯახურ ფსიქოთერაპიაში, თავიანთი ყურადღება ინსტინქტებიდან ობიექტთან ურთიერთობებზე გადაიტანეს, ახალშობილთა მიჯაჭვულობა და ეგოს არასრული განვითარება. ეს პრობლემები უფრო უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული ვიდრე ოიდიპოს კომპლექსი და ინსტინქტების განდევნა.

ფსიქიკური ავადმყოფობის ძირითად მიზეზად აღიარებულ იქნა ობიექტთან ურთიერთობების შიში, რომელიც შესაძლებელია აღმოცენდეს ბავშვობის ადრეულ ასაკში. სიცოცხლის პირველი თვეების პრობლემა, როცა იწყება შვილების ურთიერთობები მშობლებთან.- განსაკუთრებით აღქმის პრობლემა- ფსიქოპათოლოგიის მიზეზი შეიძლება იყოს. 1905 წელს ზ. ფროიდმა აღწერა მოვლენა რომელსაც მოგვიანებით” გადატანა” ეწოდა, როცა მისმა პაციენტმა დორამ მამის და ოჯახის მეგობრის მიმართ არსებული გრძნობები გადაიტანა

ფსიქოპოთერაპევტზე. სხვა მკვლევარებიც აკვირდებოდნენ მსგავს ფენომენებს და მას სხვადასხვა სახელები უწოდეს “ განტევების ვაცის” ჩამოყალიბება”(Vogel, Bell J. E. 1960), და სხვა

ფსიქონალიზური ოჯახური თერაპიის მიზანი იყო შეეცვალა ფსიქოთერაპიაში მონაწილეების პიროვნება ისე, რომ მათ შესძლებოდათ მოქმედება, როგორც მთლიან, ჯანმრთელ პიროვნებებს, რეალობის შესაბამისად, და არა გაუცნობიერებელი წარსულის ხატების მიხედვით.

ნატან აკერმანი ურჩევდა თერაპიის პირველი სეანსებზე მონაწილეობა მიეღო მთელს ოჯახს, და მხოლოდ ამის შემდეგ ემუშავათ ოჯახის წევრებთან ცალცალკე.

გარდამტეხი მომენტი ოჯახის შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების გზაზე იყო მისი როგორც გარკვეული სისტემის წარმოდგენა.

პალო ალტოს სკოლის წარმომადგენლები იყვნენ პირველები, ვინც ოჯახი სისიტემად განიხილეს. დონ ჯექსონი(Jackson D.1965), ჯეი ჰეილი(Haley J 1963), მიურეი ბოუნი(Bown M1961)და სხვები შეიძლება ითქვას რომ იყვნენ ოჯახის სისიტემური ფსიქოთერაპიის ფუძემდებლები.

პალო ალტოს სკოლის ერთერთმა ლიდერმა დონ ჯექსონმა, პირველმა სცადა ოჯახის სისტემატიზირებულად გაანალიზება და აღნიშნა, რომ “ოჯახი ეს არის სისტემა რომელიც იმართება წესებით” (Jackson D.1965) არსებობს რამდენიმე მყარი ქცევა, რომელსაც ოჯახის წევრი ირჩევს ქცევის უამრავი სხვა სახეობებიდან და ეს არის სწორედ ის რასაც “ოჯახურ წესებს უწოდებენ”. “ოჯახური წესებით” ოჯახის წევრები იმყოფებიან ურთიერთკავშირში და სისტემის პრინციპი სწორედ აქ ჩანს. ოჯახური ურთიერთობების საფუძველი არის სიმყარე და განმეორებითობა

დონ ჯექსონმა-(1965) შემოიტანა “ოჯახური ჰომეოსტაზის” ცნება; ოჯახური ჰომეოსტაზი ანუ ოჯახური ბალანსი წარმოადგენს დინამიკურ ცნებას და უზრუნველყოფილია ოჯახური სტაბილურობით, ხოლო ოჯახის ცხოვრება ეს არის “სტაბილური ცვალებადობა”. ჯექსონს (Вопросы психологии №6 1991)

მეორე იდეა, რომელიც მან განავითარა ეს არის ოჯახების დიდ ნაწილში ქცევის პარტნიორების არსებობა. მან უარი თქვა ფსიქონალიზის ძირითად ცნებებზე: პროექცია, რეგრესია, ინდივიდუალური მოტივები ადამიანის ქცევის ასახსნელად ოჯახში და შემოიტანა "ოჯახური წესები" (Jackson D 1963) და აღწერა ამ წესების სამი ტიპი:

- 1) გახსნილი ნორმები- დარეგულირებულია ინფორმაციის გაცვლა (გახსნილად), ცნობილია ვინ რას აკეთებს.
- 2) ღირებულებები- ოჯახის წევრები ღიათ აღიარებენ რა არის მათთვის მთავარი და რა არ არის.
- 3) ჰომეოსტაზური მექანიზმები- განისაზღვრება წესები და ღირებულებები იყენებენ ცხოვრებაში.

ჯეკსონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის დისფუნქცია დაკავშირებულია წესების უკმარისობასთან, რომლითაც უზრუნველყოფილია ცვლილებები. ჯეკსონმა პირველმა აღწერა სიმეტრიული და კომპლემენტარული (შემავსებელი) ურთიერთდამოკიდებულება ოჯახებში. სიმეტრიული ურთიერთობები დამყარებულია ოჯახური პრობლემების გაგების და გადაჭრის დროს თანასწორობაზე და მსგავსებაზე—ორივე მშობელი ზრდის შეილებს, ორივეა დაკავებული საოჯახო მეურნეობით, ორივე იქმნის სამსახურეობრივ კარიერას.

კომპლემენტარული ურთიერთობა შენდება ურთიერთსაწინააღმდეგობის და ურთიერთშემგვსებლობის პრინციპზე. მაგ. კაცი-ლიდერი ქალი არა, კაცი-ლოგიკური ქალი-ემოციური.

ნიკოლსის აზრით ნაკლი ამ თეორიისა იყო ის რომ ყურადღების ცენტრში ოჯახში დიადური ურთიერთობა იყო და არა ურთიერთობა სამკუთხედში.

არსებული პალო ალტოს სკოლის გამორჩენილი ფიგურა ჯეი ჰეილი (J. Haley 1961)- ჯეკსონისაგან განსხვავებით თვლიდა, რომ ოჯახური ურთიერთობები განისაზღვრება მეუღლეებს შორის ბრძოლის საფუძველზე მოპოვებული ოჯახის წევრებზე განხორციელებული კონტროლის მექანიზმებით.

მთავარია ოჯახში აკონტროლო გარშემომყოფების ქცევა.

მიურეი ბოუენი (M.Bowen 1913-1950), იყო ერთერთი პირველთაგანი ვინც საფუძველი ჩაუყარა ოჯახურ ფსიქოთერაპიას ამერიკაში. იგიოჯახს განიხილავს როგორც ლაბორატორიას ადამიანის შესწავლისათვის. ბოუენის ოჯახური სისტემების თეორიის საფუძველია ემოციონალური სისტემების მდგომარეობა. ("ემოციონალური" ბოუენის მიერ განიმარტება როგორც ავტომატური რეაქციების სისტემა, რომელიც მართავს ძირითადად სიცოცხლეს.)

ბოუენის ოჯახური სისტემების თეორიაში 8 მდგომარეობაა:

- 1) მე-ს დიფერენციაცია,
- 2) ემოციონალური სამკუთხედი
- 3) ძირითადი ემოციონალური პროცესი ოჯახში
- 4) ოჯახში პროექციის პროცესი
- 5) ოჯახში მრავალ თაობებს შორის ტრანსფორმაციის პროცესი,
- 6) ემოციონალური განრიდება
- 7) ბავშვის პიზიცია და- ძმებს შორის, (სიბლინგის დედმამიშვილების პოზიცია)
- 8) საზოგადოებაში ემოციონალური პროცესი.

ბოუენი უჯრედული დიფერენციაციის მდგომარეობას იყენებს როგორც მეტაფორას შიდა ოჯახური ურთიერთდამოკიდებულებების აღწერისათვის. მან ივარაუდა, რომ ადამიანები, რომლებიც ჯანმრთელი უჯრედებივით ფუნქციონირებენ, ეფექტურობას აღწევენ როცა თავის თავს განიხილავენ როგორც ავტონომიურს, მაგრამ ამავე დროს დაკავშირებულნი არიან სხვა წევრებთან, რომლებიც ოჯახის, როგორც ემოციონალური ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი.

პალო ალტოს სკოლის ზოგიერთი წარმომადგენელი ასევე ითვლება სისტემური მიდგომის თეორეტიკოსად, ამ სკოლამ საფუძველი ჩაუყარა ოჯახის სისტემურ ფსიქოთერაპიას.

სისტემური მიდგომა ჩათვლილია ერთ-ერთ ყველაზე მიღებულ თერაპიულად ეფექტურ მიდგომად ოჯახურ ფსიქოთერაპიაში.

ოჯახის სისტემური ფსიქოთერაპიის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ: მარა სელვინი პალაცოლი, ლუიჯი ბოსკოლი, ჯან ფრანკო ჩეკინი, ჯეი ჰეილი, კლუ მადანესი, სალვადორ მინუჩინი, ხანა ვაინერი, ალან კუკლინი, ჯილ-გორედ ბარნსი და სხვები.

მნიშვნელოვანი გავლენა ოჯახური ფსიქოთერაპიის ამ მიმართულების განვითარებაზე მოხდინა სისტემების ზოგადმა თეორიამ.(Пригожин Н 1991) პირველი ვინც ინტერესი გამოიჩინა სისტემების თეორიის მიმართ იყო **მიურეი ბოუნი(Bown, M 1966)**.

ცოტა მოგვიანებით **სალვადორ მინუჩინმა** მოგვცა პარადიგმა ”ადამიანი გარემოებებში”, იგულისხმა არა ადამიანის ზემოქმედება გარემოებაზე არამედ გარემოებების ზემოქმედება ადამიანზე.

სალვადორ მინუჩინი, მიურეი ბოუენტან, ჯეი ჰეილისთან, კარლ ვიტეკერთან და ვირჯინია სატირთან ერთად იღვა 60-იან წლებში ოჯახური თერაპიის მოძრაობის საწყისებთან. ის წარმოადგენს ახალი მიდგომის “ოჯახური ფსიქოთერაპიის სტრუქტურული სკოლის” ფუძემდებელს. ამ სკოლის წარმომადგენლებისათვის შემდეგი ტერმინოლოგია- ოჯახური იერარქიის, ემოციური დისტანციის, ზღვარის, როლების და ქვესისტემის (სუბსისტემის) მართვისთვის არის მნიშვნელოვანი.

ოჯახური სისტემური ფსიქოთერაპიის მიხედვით ოჯახი განიხილება, როგორც მთელი სისტემა. კლასიკური თერმოდინამიკის და სისტემური მიდგომის მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ოჯახი როგორც ცოცხალი სისტემა ცვლის ინფორმაციას და ენერგიას გარე სამყაროსთან(Пригожин Н 1991, Minuchin S 1974. Minuchin S Fishman C., 1981)

თავისი არსებობის მანძილზე ოჯახი გაივლის “განვითარების კრიზისული პერიოდის” კანონზომიერ გზას, ეს კრიზისული მდგომარეობები თან ახლავს ოჯახს ოჯახური ციკლის გავლის პროცესში-(ოჯახის შექმნა, მშობლებისაგან გამოყოფა, მეუღლის ფეხმძიმობა, შვილი დაბადება, შვილის სკოლამდელი და სასკოლო ასაკი, გარდატეხის პერიოდი და სკოლის დამთავრება, თავისი გზის

არჩევა, შვილების მშობლებთან დაშორება, მშობლების მარტო დარჩენა პენსია, ოჯახის ერთერთი წევრის /მშობლის/ გარდაცვალება)(Caplan G, 1964, ციტირება (Семичев С.1972)

ოჯახები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს განსაზღვრული მექანიზმების დახმარებით, ეს მექანიზმებია ოჯახური როლების სტრუქტურა, ოჯახური ქვესისტემები და მათ შორის ზღვარი. ოჯახური როლების სტრუქტურა წევრებისათვის განსაზღვრავს როლებს და მათი შესრულების თანმიმდევრობას. გამეორებადი ურთიერთქმედებები ადგენენ განსაზღვრული ურთიერთობების სტანდარტებს (“ურთიერთქმედების სტანდარტები” Minuchin S 1974), ხოლო სტანდარტები თავის მხრივ განსაზღვრავენ ოჯახის წევრების ურთიერთქმედებას, ოჯახის წევრებთან, კერძოდ ვინ ვისთან და როგორ უნდა ურთიერთობდეს ოჯახში. ნორმალურ ოჯახებში ოჯახური როლების სტრუქტურა მთლიანია და დინამიური ხასიათს ატარებს. თუ ოჯახის წევრების მოთხოვნილებები, რომელიც ჩამოყალიბებულია ამ სტრუქტურის ჩარჩოებში და არ კმაყოფილდება, ოჯახური როლების შესრულების ალტერნატიული ვარიანტების პოვნისათვის მიიღება ზომები. ოჯახი ერთიანი ორგანიზმია სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის წევრების როლებსა და ფუნქციებს მთლიანობაში. ოჯახური ქვესისტემა ამ ერთიანი როლებისა და ფუნქციების ნაწილია. ოჯახში არის განსხვავებული ფუნქციის და რაოდენობის ქვესისტემები, მათ შორის ზღვარი არის ოჯახის წესები და მოლოდინები. რაც უფრო შეკრულია ოჯახი მით უფრო მტკიცეა ზღვარი და ქვესისტემებიც ნათლად არის განსაზღვრული.

არტურ კესტლერმა სიტყვების “მთელი” და “ნაწილი” თავიდან ასაცილებლად შემოიტანა ტერმინი “ჰოლონი” ბერძნული სიტყვისაგან “HOLLON” (/მთელი/სუფიქსით ონ, /როგორც პროტონი და ნეიტრონი/) რაც გულისხმობს ნაწილს. ოჯახურ თერაპიაში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ჰოლონი, რადგან გულისხმობს თავისთავში მთელსაც და ნაწილსაც. ნუკლეარული ოჯახი არის გაფართოებული ოჯახის ჰოლონი, გაფართოებული ოჯახი საზოგადოების ჰოლონი. არსებობს ინდივიდუალური ჰოლონი, მეუღლეების ჰოლონი, მშობლების

ჰოლონი, დედამამიშვილების (სიბლინგების) ჰოლონი. (ციტირება წიგნიდან
Минухин Ч Фишман Техники семейной терапии С1998)

ოჯახური სუბსისტემები (ჰოლონი)(Minuchin S. Fishman C1981), ეს უფრო დიფერენცირებული ერთობაა ოჯახური როლებისა, რომელიც საშუალებას იძლევა შერჩევით შესრულდეს გარკვეული ოჯახური ფუნქციები, უზრუნველყოფს ოჯახის სიცოცხლის უნარიანობას. ოჯახის ერთი წევრი შეიძლება იყოს რამოდენიმე ქვესისტემის წევრი (მშობლების, მეუღლეების, ბავშვების, მამაკაცების, ქალების და ა.შ .) ზღვარი ქვესისტემებს შორის არის წესები რომლებიც განსაზღვრავენ, ვინ და რა გზით ასრულებს ოჯახურ ფუნქციებს. ნორმალურ ოჯახებში ისინი ნათლად განსაზღვრულია. ოჯახი უფრო მეტია ვიდრე ცალკეული სუბსისტემების (ქვესისტემების) ნაკრები, ის დამოუკიდებელი ორგანიზმია.

ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ოჯახის სისტემური თეორიისა არის ვისკონსინის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ვიჯინია სატირი.

ვიჯინია სატირის მიხედვით (Satir V. 1988)სისტემა ორგანიზებულია გარკვეული მიმდევრობის მიხედვით. ის სიცოცხლის უნარიანია, მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მისი კომპონენტი წესრიგშია.

ადამიანის მთელი ცხოვრება წარმოადგენს განსაზღვრული სისტემის ნაწილს. სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან :

- 1) ძირითადი ელემენტები-- მოზრდილები და ბავშვები, ქალები და მამაკაცები.
- 2) სისტემის ელემენტების ფუნქციონირების მიმდევრობა. ოჯახებში ეს თავს იჩენს იმ წესებში რომლითაც ცხოვრობს ოჯახი. ოჯახის წევრების ურთიერთობების და მათი თვითშეფასების წესები.
- 3) სისტემის ენერგეტიკა, რომელიც აუცილებელია სისტემის ნაწილების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამ ენერგიას ოჯახში იძლევა საჭმელი, ჰაერი, წყალი, აქტივობა ასევე ოჯახის წევრების ცხოვრებისეული პოზიციების ერთმანეთთან შესაბამისობა.

4) ურთიერთქმედება გარემოსთან. ოჯახებში ეს დაკავშირებულია ცხოვრებაში მიმდინარე ცვალებადობასთან.

5) სისტემის ორი ტიპი არსებობს ღია და დახურული. ძირითადად ისინი განსხვავდებიან რეაქციით შინაგანი და გარეგანი ცვალებადობის მიმართ..

ოჯახის სისტემა დახურულია, თუ ის ხელს უშლის შინაგან ზრდას, თუ ოჯახური წესები მკაცრი, მოძველებული და საიდუმლოა, წევრები უძრავად არიან დაკავშირებული, ინფორმაციის გაცვალა აქ არ მიმდინარეობს, მნიშვნელობა არა აქვს ინფორმაცია გარედან მოდის თუ შიგნიდან.

ღია სისტემა ეს არის სისტემა სადაც წევრები ურთიერთდაკავშირებულნი, აქტიურნი, მგრძობელნი არიან ერთმანეთის მიმართ და ინფორმაციას ატარებენ სისტემის შიგნით და გარეთ. ღია სისტემა ხელს უწყობს შინაგან ზრდას, თუ ოჯახის წევრები ჰუმანურია

ერთხელ შექმნილი სისტემა აგრძელებს არსებობას და მუშაობას მაშინაც კი როცა ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. ერთხელ შექმნილი სისტემა რჩება უცვლელად სანამ ვინმე არ მოკვდება ან ვინმე მას არ შეცვლის. სისტემის ყოველი წევრი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისტემის შენარჩუნებაში და განვითარებაში. ოჯახური სისტემის ელემენტებია: ჩვენი თვითშეფასება, ურთიერთობის სტილი, ოჯახური წესები და ჩვენი რწმენები.

ოჯახური სისტემა სიცოცხლის უნარიანობისათვის, საჭიროა ოჯახის ყველა წევრს მიეცეს საშუალება დაიკავოს მისთვის კუთვნილი ადგილი და ამით კმაყოფილი იყოს.

ოჯახი, როგორც სისტემა- თანამედროვე შეხედულებები

გარდამტეხი მომენტი ფსიქოლოგიაში იყო ოჯახის როგორც სისტემის წარმოდგენა(Jakson D;1965) და " ოჯახური სისტემის", " ოჯახური ქვესისტემების", ტერმინების დამკვიდრება. ეს მიდგომა გულისხმობს რომ ოჯახში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, ოჯახი ერთიანი მთლიანი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ორგანიზმია და მას შემდეგი თვისებები აქვს:

1. სისტემა როგორც მთლიანობა უფრო მეტია, ვიდრე მისი ცალკეული ნაწილების ჯამი,
2. თუკი სისტემას რამე ეხება როგორც მათელს, ის აუცილებლად ეხება მის ცალკეულ ნაწილებს.
3. სისტემის მწყობრიდან გამოსვლა, ან მისი ერთიანობის რომელიმე ნაწილის შეცვლა, აისახება მთელი სისტემის სხვა ნაწილებზე, ამიტომაც ოჯახის საკითხის განხილვისას ეს აუცილებელია გავითვალისწინოთ.

ყველა ბიოლოგიური ორგანიზმის მსგავსად ოჯახი ცდილობს მისი შემადგენელ ელემენტებს შორის არსებული კავშირების შენარჩუნებასთან ერთად მთლიანი სისტემის ევოლუციას.

კლასიკური თერმოდინამიკის და სისტემური მიდგომის მიხედვით “ ოჯახი როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად აწარმოებს ინფორმაციის და ენერჯის გაცვლას გარემოსთან(Minuchin S, Fishman H.S 1981) ოჯახი არის ღია სისიტემა, რომლის ელემენტები ურთიერთქმედებენ როგორც ერთმანეთთან ასევე გარემოსთან, გარეგანი და შინაგანი ძალები როგორც დადებით, ასევე უარყოფით გავლენას ახდენენ ოჯახზე. თავის მხრივ ოჯახი ზემოქმედებას ახდენს სხვა სისტემებზე. ოჯახური სისტემა ორი კანონის: ჰომეოსტაზის და განვითარების კანონის ზემოქმედებით მუშაობს.

ჰომეოსტაზის კანონი – “ სისიტემა მთლიანობაში უცვლელი უნდა დარჩეს” ის მიხედვით ყოველი სისტემა თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობს, იგი ნებისმიერ გადახრას აწონასწორებს იმისათვის რომ დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას.

განვითარების კანონით ყოველმა ოჯახმა უნდა გაიაროს მისთვის დამახასიათებელი სასიცოცხლო ციკლი, ეს არის გარკვეული მოვლენების ცვალებადობა, რომელიც თან ახლავს ოჯახს მისი ფუნქციონირების მანძილზე.

ოჯახის როგორც სისტემის პარამეტრები

ოჯახი, როგორც სისტემა თავის ფუნქციას შემდეგი მექანიზმების დახმარებით ასრულებს

- 1.ოჯახური როლების სტრუქტურა
 - 2.ოჯახური ქცევის სტემები
 - 3.მათ შორის შინაგანი და გარეგანი საზღვრები
- ოჯახური სისტემის პარამეტრებია:
- ა) ოჯახური წესები
 - ბ) ურთიერთობების სტანდარტები(სტერეოტიპები)
 - ც) ოჯახური მითები
 - დ) ოჯახური ისტორიები
 - ე) ოჯახური სტაბილიზატორები

1. ოჯახური როლების სტრუქტურა

ოჯახური როლების სტრუქტურა წარმოადგენს ოჯახის ფუნქციონირების მექანიზმს, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ოჯახის წევრებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დროს რა, როდის, როგორი მიმდევრობით უნდა შეასრულოს (Minuchin S 1974)

გარდა აქტუალური ქცევის “როლის” ცნება მოიცავს სურვილებს, რწმენებს, გრძნობებს, სოციალურ განწყობებს, ღორებულებებს და ქცევას რომელსაც ადამიანისაგან მოელოდნენ ან მიაწერენ მას. გარემოს ან თვითონ ადამიანის რეაქცია როლის შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე იწვევს სანქციები დაწესებას.

ოჯახის წევრები ასრულებენ სხვადასხვა როლებს: მეუღლის, დედის, მამის, ქალიშვილის, ვაჟის, ბებიის, ბაბუის, დედამთლის, მამამთლის, სიდედრის, სიმამრის, რძლის, უფროსი ძმის და ა. შ.

ოჯახში სადაც სამი თაობა ცხოვრობს და საეთო მეურნეობა აქვს, ერთმა ადამიანმა უნდა შეძლოს მოქნილად შეასრულოს რამენიმე განსხვავებული როლი. (მეუღლე, ძმა, შვილი, მამა და ა. შ) წინააღმდეგ შემთხვევაში

შესაძლებელია სხვადასხვა როლური კონფლიქტების და ოჯახური დისფუნქციის განვითარება.

თითოეული როლი, როგორც ცალკე ასევე მოცემული ოჯახის მთელ სისტემაში უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს.

1. ისინი უნდა იყვნენ მთლიანნი. თუკი მოლოდინები ამ როლის შემსრულებლისაგან წინააღმდეგობრივია ეს წარმოშობს სიძნელეებს როლის შესრულებისას (მაგალითად დედა ვაჟისაგან მოელის ერთდროულად იყოს ნაზი და რბილი, და ასევე ვაჟაკური და დამოუკიდებელი, რაც თავისთავად სირთულეებს წარმოშობს შვილისათვის).
2. ინდივიდის როლების ერთიანობას, რომლებსაც ის ოჯახში ასრულებს, თან უნდა ახლდეს პატივისცემის, აღიარების და სიმპათიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. (მეუღლის როლი ოჯახში მამაკას აკისრებს მეუღლის არა მარტო მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ აძლევს მას უფლებას ცოლისაგან ელოდეს სიყვარულს, სიახლოვეს და გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.)
3. მნიშვნელოვანია ასევე როლები შეესაბამებოდეს ინდივიდის შესაძლებლობებს. როცა მოთხოვნები დაუძლეველია, წარმოიშობა ფსიქონერვული დაძაბულობა და შფოთვა. (როგორც შინაგანი დაურწმუნებლობა, რომ ვერ შეძლებს რლის შესრულებას) ამის მაგალითი შეიძლება იყოს “ბავშვი რომელიც მშობლის როლს ასრულებს”, უფროსების არყოფნის შემთხვევაში. ბავშვი თავის თავზე იღებს მშობლების მოვალეობებს, რაც მისთვის ძალიან რთულია და შესაძლებელია გარკვეულწილი დაბრკოლების შემთხვევაში მძიმე შედეგები გამოიწვიოს.
4. სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს არა მარტო კონკრეტული როლის შემსრულებელთა, არამედ ასევე ოჯახის სხვა წევრების მოთხოვნილებებს. ოჯახის ერთი წევრის დასვენება სხვა წევრების დაუღალავი შრომის ხარჯზე ან ერთი წევრის განმუხტვა სხვებზე აგრესიის გადატანის ხარჯზე შესაძლებელია გახდეს ფსიქოტრავმის საფუძველი.

ნორმალურად ფუნქციონირებადი ოჯახის სტრუქტურა მთლიანია, დინამიური და ალტერნეტიულ ხასიათს ატარებს. თუმცა არ არის იშვიათი, როცა ოჯახური როლები ფსიქოტრავმატულ გავლენას ახდენენ ოჯახის წევრებზე. “ ოჯახური განტევების ვატი”, “ ოჯახური მოწამე, რომელიც ახლობელი ადამიანებისათვის არ ზოგავს თავს”, “ ოჯახის ავადმყოფი წევრი” და ა. შ. (Riccchter H. E. 1970; Barker Ph. 1981) . ზოგიერთ ოჯახში ოჯახის ერთი წევრი იძულებულია შეასრულოს ისეთი სოციალური როლი, რომელიც მისთვის ტრავმატულია, მაგრამ ფსიქოლოგიურად მომგებიანი (ღირებული) მისი ნათესავებისათვის.

2.ოჯახური ქვესისტემები და საზღვრები

ოჯახური ქვესისტემები- არის ოჯახური როლების ლოკალური, დიფერენციალური ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ოჯახს შერჩევით შეასრულოს განსაზღვრული ფუნქციები და უზრუნველყოს ოჯახის სიცოცხლისუნარიანობა. (Nicholos M, 1984; Минухин С Фишман Ч 1998)

ოჯახის ერთი წევრი შესაძლებელია, რამოდენიმე ქვესისტემის წევრი იყოს- მშობლის, მეუღლის, შვილის, ქალის და ა. შ.

ერთდროულად რამოდენიმე ქვესისტემის ფუნქციონირება ხშირად არა არის ეფექტური. როცა დედა უბრაზდება შვილს სკოლაში მიღებული ცუდი ნიშნის გამო, და ამასთანავე ამატებს “ეს იმის ბრალია რომ მამაშენი უვარგისია, ვერ გაჩვენებს, როგორია ნამდვილი მამაკაცი”, ამ შემთხვევაში, ის ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა ქვესისტემას- მშობლის და მეუღლის, რაც არ არის დადებითი ოჯახის ფუნქციონირებისათვის .

შინაგანი და გარეგანი საზღვრები—ეს არის წესები, რომლების განსაზღვრავენ, ვინ და როგორ ასრულებს ოჯახური ცხოვრების განსაზღვრულ ასპექტში

ოჯახის მიერ განსაზღვრულ როლებს - მეუღლეების, მშობლები და სხვა ბავშვების ჯგუფებში (Minuchin S 1974)

გარეგანი საზღვრები ხელს უწყობს ოჯახში იდენტურობის ფორმირებას, შინაგანი საზღვრების არსებობა კი მისი ფსიქოლოგიური გარემოს სტრუქტურირებას, რაც საბოლოოდ განვითარების იმპულსს იძლევა.. საზღვრები შეიძლება იყოს მკაცრი, წაშლილი და შეღწევადი, გამტარი, თუ გარეგანი საზღვრები მკაცრია (ოჯახი ცხოვრობს ძალიან ჩაკეტილად, სტუმრები იშვიათად მოდიან, ისიც კინკრეტული მიზეზის გამო და მხოლოდ მოწვევით), მაშინ ოჯახის წევრებს უჩნდებათ შიში გარემომცველი სამყაროს მიმართ, არ უვითარდებათ ადამიანებთან ურთიერთობის ჩვევები. შედეგად შინაგანი საზღვრები ქვესისტემებს შორის წაშლილია. ასეთ ოჯახში მშობლები ბევრ დროს უთმობენ ბავშვებს ამის გამო მათი საქმეებზე პასუხისმგებლობას თავიანთ თავზე იღებენ. წარმოიშობა წაშლილი საზღვრების ქცევითი განმტკიცება: დედა შვილთან ერთად ამზადებს გაკვეთილებს, და ამიტომაც შემდეგ მასთან ერთად პასუხს აგებს და თუ ბავშვი იღებს ორიანს, ეს დედის ორიანიცაა.

არასაკამრისად ზუსტი საზღვრები ქვესისტემებს შორის არა მარტო ოჯახის განვითარებას და მისი წევრების ზრდას აფერხებს, არამედ ხელს უწყობს (ნათესავეების) ოჯახის წევრების გაერთიანებების --- კოალიციების წარმოშობას. კოალიციები როგორც წესი, ოჯახს ორ წევრს შორის წარმოშობილი კოფლიქტის მესამე პირის მონაწილეობით გადაჭრას სთავაზობენ. მაგ. მამა, რომელმაც ვერ შეძლო თბილი ურთიერთობების დამყარება “საქმიან” მეუღლესთან, ძალიან უახლოვდება ქალიშვილს, (ქმნის მასთან კოალიციას) გაუცნობიერებლად აღიქვამს მას არა მხოლოდ შეილად არამედ, როგორც მეგობრად.

თუ გარეგანი საზღვრები წაშლილია, მაშინ ოჯახი ემსგავსება ღია ორგანიზმს, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება შემოიჭრას უცხო ვინმე. ამ დროს ქვესისტემის შინაგანი საზღვრები მისი შენარჩუნების მიზნით უფრო მკაცრდება.

ნორმალურ, ჯანმრთელ ოჯახებში ქვესისტემებს შორის საზღვრები განსაზღვრულია, დისფუნქციურ ოჯახებში კი ქვესისტემებს შორის ძირითადად მკაცრი ან წაშლილი საზღვრები არსებობს. (თუ საზღვრები მკაცრია ამ შემთხვევაში ოჯახის წევრები ვერ ახდენენ ინფორმაციის გაცვლას, წაშლილი საზღვრების შემთხვევაში, ერთი ქვესისტემის განცდები ადვილად აისახებოდა სხვა ქვესისტემაზე, რაც ოჯახის დისფუნქციას გამოიწვევს)

ა) **ოჯახური წესები**- არის ოჯახის ასეობის საფუძველი. ოჯახური წესები პიროვნებას და ოჯახს რეალობაში ორიენტაციის საშუალებას აძლევს, მისი საშუალებით ყველამ კარგად იცის თავისი უფლებები და მოვალეობები. წესები ეხება, ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს- როლების, ფუნქციების, იერარქიაში ადგილების განაწილებას, ასევე საკუთარი აზრის გამოხატვის ნების დართვას და დღის წესრიგის დადგენას.

წესები უჩვენებენ რა არის კარგი და რა ცუდი, რა არის ნებადართული და რა არა ე.ი წესები ოჯახის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენენ. **წესები იყოფა აღიარებულ და უხმოდ მიღებულ წესებად.** “ბავშვებმა უფროსებს არ უნდა გააწყვეტინონ საუბარი”, “ მშობლები წყვიტავენ ბავშვებმა როდის უნდა დაიძინონ” ეს არის წესები რომელიც აღიარებულია, მაგრამ არის წესების ნაწილი, რომლებიც ოჯახის ყველა წევრისათვის არის ცნობილი, მაგრამ არ გამოითქმება ღიად “თუ გინდა მამას შეურიგდე აღიარე დანაშაული და ითხოვე პატიება”, “ყველაფერი საუკეთესო ბავშვს, ის ავად არის”. წესების ნაწილი იმდენად გაუცნობიერებელია ოჯახის წევრებისათვის რომ, არც კი ფიქრდებიან იმაზე, ეს რატომ არის ასე და არა სხვანაირად.

წესები შეიძლება იყოს კულტურით განპირობებული, ანუ განსაზღვრული იმ საზოგადოებრივი გარემოთი სადაც ოჯახი ცხოვრობს და ასევე შეიძლება იყოს უნიკალური, განსაკუთრებული ცალკეული ოჯახებისათვის.

ჰომეოსტაზის კანონი ითხოვს რომ, ოჯახური წესები მუდმივად შენარჩუნებული იყოს. მისი დარღვევა მტკივნეულად აღიქმება ოჯახის წევრების მიერ, წესების დარღვევა გამოიწვევს ოჯახის დისფუნქციას, რასაც მძიმე შედეგებამდე მიჰყავს

ოჯახი. ოჯახური წესები უნდა იყოს მოქნილი, მათ რიგიდულობას (მკაცრად მოცემულობა და ძნელად ცვალებადობა) ასევე ოჯახის დისფუნქციამდე მივეყვართ. ოჯახური წესები აუცილებელია, მის არარსებობა სეროიოზულ საშიშროებას უქმნის ოჯახის წევრთა ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ოჯახური წესების და ნორმების განუსაზღვრელობა ურთიერთსაწინააღმდეგოობა, შეუთანხმებლობა ხელს უწყობს ოჯახში შფოთვის დონის ზრდას და ოჯახში პიროვნების არასტაბილურობას.

ოჯახური წესები ურთიერთდაკავშირებულია და მთლიანობაში წარმოადგენს ურთიერთქმედების სტანდარტებს.

ბ) ურთიერთქმედების სტანდარტები (სტერეოტიპები) ოჯახის წევრების ქცევის განხორციელების მყარი საშუალება, ეს არის მათი მოქმედებები, რომლებიც ხშირად მეორდება. სტერეოტიპებში, როგორც წესი დომინირებს განსაზღვრული ემოციური დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან: ბრალდება გაღიზიანება, აღიარება, აღტაცება, ზიზღი, გაუცხოება, ტანჯვა, შიში და სხვა. ოჯახის ერთი წევრის ქცევის სტანდარტი დაკავშირებულია სხვა ოჯახის წევრის ქცევის სტანდარტთან და ხშირად მართავს კიდევაც მას. (ზოგჯერ ის წრიულ ფორმას იღებს მაგ. ქალიშვილი მუსკას უსმენს, ხმამაღალი მუსიკის ხმით გაღიზიანებული მამა უბრაზდება დედას, დედა გულდაწყვეტილი ტირის, შეწუხებულ დედას უმცროსი შვილი ეფერება, ამ სურათით გაღიზიანებული მამა ჯოხს ურტყამს ძაღლს, აურზაურით შეწუხებული ქალიშვილი კი მუსიკას ხმას კიდევ უფრო ხმამაღლა უწევს) ოჯახში ხშირად მოვლენები განმეორებით ხასიათს ატარებს ეს კი გარკვეულ წილად ინფორმაციულია ოჯახის წევრებისათვის. ურთიერთქმედების სტანდარტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ოჯახური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ შეტყობინებას, მას ოჯახის წევრებისათვის განსაზღვრული აზრი აქვს.

გ) **ოჯახური მითები**-ეს რთული ოჯახური იფორმაციაა, რომელიც გაუცნობიერებლად შეთანხმებულია ოჯახის წევრებს შორის. სინონიმად შეიძლება გამოვიყენოთ "ოჯახის ხატი", "ჩვენ ხატი", "რწმენა", "ოჯახური კრედი", " შეთანხმებული მოლოდინები" (Ferreira A. J. at all.1966 Мишина Т.М.1978, 1983, Эйделмилер Э Юстицкис В 2000)

"ოჯახის ხატი" ოჯახური თვითცნობიერებას, როგორც მთლიან ინტეგრირებულ ქმნილებას წარმოადგენს, რომელიც ფუნქციაა ოჯახის ქცევის რეგულაცია.

"შე" ხატი წარმოადგენს ოჯახური მითის ფორმას. მისი ფუნქციაა დაუმალოს ცნობიერებას ოჯახზე და თითოეული ოჯახის წევრზე მიღებული ინფორმაცია. ასე რომ ოჯახური მითი ეს არის თავისებური დამცავი მექანიზმი ოჯახური ერთიანობის შესანარჩუნებლად.(Ferreira A. J. at ai.1966)

მარია სელვინ პალაციოლი კოლეგებთან ერთად(2002) აანალიზებს ისეთ ტიპურ მითებს როგორცაა "ჩვენი მეგობრული ოჯახი", "ჩვენი გმირების ოჯახი", "ჩვენ მაშველების ოჯახი". ნაჩვენებია რომ, ოჯახური მითები ფორმირდება დაახლოებით სამი თაობის განმავლობაში და აუცილებელია პირველი მათგანის (ოჯახის) ფუნქციონირებისათვის. ოჯახური მითები მნიშვნელოვანია რთული და სახიფათო პირობებში ოჯახის არსებობისა და გადარჩენისათვის, მაგრამ ყოველთვის როდია აქტუალური. ის აქტუალური ხდება როდესაც ოჯახში ახალი წევრი შემოდის, სერიოზული სოციალური ცვალილებების დროს და ოჯახური დისფუნქციისას. ოჯახური მითები თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც საშუალებას გვაძლევს ოჯახური ისტორიის საფუძველზე ოჯახური კონტექსტი შევისწავლოთ.

დ) **ოჯახური ისტორიები**-ეს სპეციალური ემოციური დატვირთვის მქონე პრობლემაა, რომლის გარშემოც თავს იყრის ოჯახში არსებული და პერიოდულად განმეორებადი კონფლიქტები. თემა განსაღვრავს სასიცოცხლო მოვლენების ორგანიზაციის საშუალებას და გამოიხატება ქცევით სტერეოტიპებში, რომელიც თაობიდან თაობაში იჩენს თავს. ამ პრობლემის კვლევა დაიწყო მიურეი ბოუენმა(Bowen M 1978) რომელმაც უჩვენა რომ ოჯახში

დროთა განმავლობაში გროვდება დისფუნქციური (პატერნები) ნიმუშები და ბოლოს და ბოლოს მიყვარათ მისი წევრების პათოლოგიამდე (ტრანსმისიის კონცეფცია) მან ოჯახური ისტორიების შესასწავლად შემოგვთავაზა გენოგრამის მეთოდი. აქედან იღებს სათავეს “ოჯახური სცენარის” ცნება-ოჯახის მიკროდინამიკის და სტრუქტურული ორგანიზაციების მყარი ნიმუშები (პატერნები), რომელიც მეორდება თაობიდან თაობაში.

ე) **ოჯახური სტაბილიზატორები**- ყოველ ოჯახურ სისტემაში არის პარამეტრები, რომლებიც მას სიმტკიცეს და სტაბილურობას განაპირობებენ, სწორედ მათ უწოდებენ სტაბილიზატორებს. სტაბილიზატორებად შეიძლება განვიხილოთ ოჯახის საცხოვრებელი ადგილი, შვილები, მატერიალური და სულიერი ღირებულებები, ტრადიციები და რიტუალები, ერთობლივი საქმიანობები და გართობა, ოჯახის წევრებს შორის ემოციური ურთიერთობები, ავადმყოფობები და პრობლემები. სტაბილიზატორები შეიძლება იყვნენ ფუნქციონალურები და დისფუნქციონალურები. პირველები ხელს უწყობენ ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მეორენი ხელს უშლიან ფუნქციების რეალიზაციას.

1.3 ოჯახის ფორმები

ოჯახებს განასხვავებენ შემდეგი ნიშნის მიხედვით:

1. ბავშვების რაოდენობით

- ა) უშვილო (ინფერტილური),
- ბ) ერთშვილიანი,
- გ) მრავალშვილიანი

2. შემადგენლობის მიხედვით

- ა) არასრული ოჯახი (მარტოხელა დედა)
- ბ) ცალკე ოჯახი (ნუკლეარული ანუ ბირთვული ოჯახი)
- გ) მრავალწევრიანი ოჯახი
- დ) რთული ოჯახი (შედგება რამოდენიმე თაობისაგან)
- ე) დიდი ოჯახი (გაფართოებული ოჯახი შედგება სამი ან მეტი წევლისაგან, მშობლები თავიანთი დაქორწინებული შვილებით)

3. სტაჟის მოხედვით

- ა) ახალდაქორწინებულები,
- ბ) ახალგაზრდა ოჯახი
- გ) ოჯახი რომელიც ბავშვს ელოდება
- დ) საშუალო ცოლქმრული ასაკის ოჯახი (3 დან 10 წლამდე)
- ე) უფროსი ცოლქმრული ასაკის ოჯახი (10-20 წლის)
- ფ) ხანში შესული წევრები (როცა მათი შვილები დაქორწინდნენ)

4. სოციალური შემადგენლობის მიხედვით

- ა) ჰომოგენური ოჯახი (როცა ცოლ-ქმარი ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან მაგ. მოსამსახურეების, კულტურის წარმომადგენლები, მუშების და ა. შ.)
- ბ) ჰეტეროგენული

5. კლიმატის მიხედვით (ოჯახური ურთიერთობების მიხედვით) (კეთილგანწყობილი ურთიერთობები)

- ა) ბედნიერი ოჯახები

- ბ) მყარი, მტკიცე ოჯახები
- გ) კონფლიქტური ოჯახები
- დ) სოციალურად არასტაბილური(ბედნიერებას მოკლებული)
- ე) დეზორგანიზებული ოჯახები (სადაც ოჯახის წევრები მჭიდროდ არ ურთიერთქმედებენ)

6. გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით

- ა) ქალაქი
- ბ) სოფელი

7 .მომხმარებლური ქცევის ტიპის მიხედვით

- ა) ფიზიკური (სადაც პირველადია ბიოლოგიური მოთხოვნილებები– ჭამა- სმა, ტანსაცმელი)
- ბ) ინტელექტუალური (არაფრით განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ოჯახისაგან მატერიალურად, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვა ღირებულებები– პრესტიჟული ნივთს წიგნი ურჩევნია)
- გ) შერეული ტიპის ოჯახი (ჰარმონიულად არის შერწყმული მატერიალური და ფიზიოლოგიური სულიერ-კულტურულ ინტერესებთან)

8. განსაკუთრებული ოჯახური პირობების მიხედვით

- ჰ) სტუდენტური ოჯახები
- ი) დისტანტური ოჯახები(მეზღვაურების მსახიობების, გეოლოგების, სპორტსმენების) (Зацепин " молодая семья" Киев 1991)

9. მმართველობის სტილის და ოჯახში ძალაუფლების განაწილების მიხედვით არსებული კლასიფიკაცია, ცნობილია, რომ, ოჯახი ისევე როგორც ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი განმტკიცებულია ძალაუფლების სისტემით, გამოიყოფა 3 ტიპის ძალაუფლების სტრუქტურა , სადაც პირველი ორი ავტორიტარულ მმართველობის სტილს გულისხმობს.

1. პატრიარქალური სადაც ძალაუფლება ქმარს აქვს
2. მატრიარქალური სადაც ძალაუფლება ცოლს აქვს
- 3.ეგალიტარული(თანასწორუფლებიანი,პარტნიორული ოჯახი) სადაც ძალაუფლება განაწილებულია ცოლქმარს შორის

1.4 ოჯახის სასიცოცხლო(განვითარების) ციკლი

ოჯახი განვითარება ციკლური ხასიათისაა.

ოჯახის განვითარების პერიოდიზაცია სხვადასხვა ავტორების მიერ.

I . ე. დიუვალი(1957) - ოჯახური ურთიერთობის დინამიკის განხილვისას ყურდნობოდა ერისონის და სხვა მისი კოლეგების - მიერ გამოყოფილ პერიოდებს. გამოყოფილ იქნა ოჯახის განვითარების შემდეგი სტადიები:

1. ფორმირებადი ოჯახი
2. ოჯახი 3 წლამდე ასაკი შვილებით
3. ოჯახი სკოლამდელი ასაკის შვილებით
4. ოჯახი სკოლის ასაკის შვილებით
5. ოჯახი შვილებით რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ
6. შუა ხნის ცოლ-ქმარი
7. ცოლ-ქმარი მოხუცებულობაში (პენსიაში)

II . მ. ვასილევა(1992) გამოყოფს საოჯახო ციკლის ხუთ სტადიას:

1. ოჯახის შექმნა (ქორწინებიდან პირველი შვილი გაჩენამდე)
2. შვილების დაბადება და მათი აღზრდა
3. ოჯახის აღზრდელობითი ფუნქციის დასრულება
- 4.ზრდასრული შვილები აგრძელებენ მშობლებთან ცხოვრებას
5. ცოლქმარი ცხოვრობს ცალკე ან შვილებთან რომელთაც საკუთარი ოჯახი აქვთ.(Ю Алешина 1987)

III . ვ. სატირი (1992)გამოყოფს ოჯახის განვითარების განსაზღვრულ ეტაპებს შესაბამისი ამოცანების მიხედვით.

- 1) ქორწინებამდელი ურთიერთობები
- 2) ქორწინება,
- 3) “ თაფლობისთვის პერიოდი”,
- 4) ახალგაზრდა ოჯახის ეტაპი,
- 5) ზრდასრული ოჯახი,

6) უფროსი ასაკის ადამიანების ოჯახი.(В. Сатир " Как строить себя и свою семью " M.1992)

გ. სატირის მიხედვით ოჯახის რომელიმე წევრის ასაკის მატებასთან ერთად, თითოეულმა წევრმა უნდა გაიაროს განსაზღვრული ეტაპები. ყველა ამ ეტაპს თან ახლავს კრიზისი, მომატებული შფოთვის დონით. სატირმა მოგვცა კრიზისული პერიოდების კლასიფიკაცია

- I. ფეხმძიმობა და ბავშვის დაბადება
- II. ბავშვის მიერ მეტყველების დაწყება
- III. ბავშვი ამყარებს გარესამყაროსთან ურთიერთობებს
- IV. დგება გარდატეხის პერიოდი
- V. შვილი ზრდასრული ხდება და ტოვებს ოჯახს (მშობლების მიერ ეს აღიქმება როგორც დანაკარგი)
- VI. ახალგაზრდები ქორწინდებიან და ოჯახში შემოდის ახალი წევრი
- VII. ქალის ცხოვრებაში დგება კლიმაქსის პერიოდი
- VIII. მამაკაცთან დგება სექსუალური აქტივობის შემცირების პერიოდი (ეს არის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემა)
- IX. მშობლები ხდებიან ბებია და ბაბუა
- X. გარდაიცვლება ერთერთი

გ. სატირი აღნიშნავს, რომ ეს კრიზისული მდგომარეობები ბუნებრივია რომელსაც ადამიანების უმრავლესობა გადალახავს.

IV. რ. ჰილის (1986) ოჯახური ცხოვრების ციკლის პერიოდიზაციით გამოიყოფა:

- 1) მონადის სტადია
- 2) ქორწინების სტადია
- 3) ბავშვის დაბადების სტადია
- 4) შვილთან ცხოვრება გარდატეხის ასაკამდე

- 5) “ შვილების ბუდიდან აფრენის სტადია”
- 6) მეუღლის გარდაცვალების სტადია
- 7) ისევ მონადის სტადია

V. დროთი და რაფაელ ბეკვარების აზრით ოჯახის განვითარებათან ერთად ხდება პიროვნების განვითარება შემდეგი ეტაპების მიხედვით: დაუქორწინებელი ადამიანი, ქორწინება, დაბადება, სკოლამდელი ასაკის ბავშვი, უმცროსი ასაკის, სკოლის მოსწავლის, გარდატეხის ასაკის, მოზრდილის მშობელი, შუა ხნის ადამიანი, მოხუცი.

ოჯახი კი ვითარდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

- 1) ქორწინება (1-2 წელი ერთობლივი ცხოვრებისა)
- 2) ოჯახის ადრეული პერიოდი (2-10 წელი)
- 3) შუა პერიოდი (10-25წელი)
- 4) ხანგრძლივი პერიოდი (25– და მეტი წლები)

(Шнейдер Л.Б. Психология семейных отношении ст 150)

VI . მ. ერიკსონის (1963) მიერ მოცემული ოჯახური ცხოვრების ციკლის პერიოდიზაცია

- 1) პარტნიორის ძებნის პერიოდი
- 2) ქორწინება და მისი შედეგები
- 3) შვილების გაჩენა და მათთან ურთიერთობა
- 4) ქორწინების მოწიფული სტადია
- 5) შვილების მშობლებისაგან განცალკევება
- 6) პენსია და მოხუცებულობა

(Шнейдер Л.Б. Психология семейных отношении ст 151)

მოკლედ განვიხილოთ მილტონ ერიკსონის მიერ შემოთავაზებული ეტაპები, რადგანაც ჩვენი აზრით ეს პერიოდიზაცია მოიცავს ზემოთ მოცემულ ყველა ეტაპს და ამასთან უფრო სრულყოფილია.

1. პარტნიორის ძეგლის პერიოდი

გარკვეულ ასაკში ყველა ახალგაზრდა აქტიურად იწყებს პარტნიორის ძეგლს. ახალგაზრდა ადამიანები ქორწინდებიან მარტივი მიზეზის გამო, ისინი შეყვარებულნი არიან, მათ უნდათ ყავდეთ შვილები. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის ურთიერთობა პარტნიორის ოჯახთან. მის ოჯახს უნდა შეეგუოს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი მშობლები არიან. ისინი ხელს უშლიან შვილებს სახლიდან წასვლაში, დიდხანს აკავებენ ოჯახში, სანამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადებენ. ბევრი ახალგაზრდა მთლიანად ვერ წყვეტს კავშირს ოჯახთან. ამ შემთხვევაში პარტნიორის არჩევა მშობლების პრეროგატივაა. როგორც კი ახალგაზრდა გადაწყვეტს ცხოვრება დაუკავშიროს პარტნიორს მშობლები ორივე მხრიდან იღებენ მონაწილეობას, თუ ის თვითონ ირჩევს მშობლების რჩევის საწინააღმდეგოდ პარტნიორს, ეს იწვევს უკმაყოფილებს და დავის მიზეზი ხდება მშობლების მხრიდან. თუ ახალგაზრდა თავისი ოჯახის თანხმობით არ ქორწინდება, მას შეიძლება მოუხდეს ოჯახთან კავშირის გაწყვეტა და ახალი საკუთარი ოჯახის შექმნა.

2. ქორწინება და მისი შედეგები

უმეტეს ქვეყნებში ტრადიციული ცერემონიები დაკავშირებული დაბადებასთან, ქორწილთან, სიკვდილთან და ა. შ.

როცა წყვილი დაქორწინებას გადაწყვეტს, ამ კავშირის დასამყარებლად იმართება ცერემონია. (ზოგჯერ პირველი შვილის გაჩენამდე წყვილები ცდილობენ თაფლობისთვე გაიხანგრძლივონ). ქორწინების სიმბოლური აქტი ნიშნავს, უპირველს ყოვლისა რომელიც ახალგაზრდებს ერთმანეთთან ცხოვრებისათვის აკავშირებს. თანაცხოვრების დასაწყისში ახალგაზრდები ბევრ რამეზე უნდა შეთანხმდნენ, რაც ყველა წყვილისათვის აუცილებელია. ისინი უნდა შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ თავიანთი მშობლების ოჯახებთან, თავიანთ მეგობრებთან.

ძირითად გადასაწყვეტ საკითხებს წყვილი მშობლების გამოცდილებით წყვეტს, ზოგჯერ მშობლებთან კონსულტაციით. ახალგაზრდა ოჯახისათვის შეიძლება საზიანო გამოდგეს მშობლების მხრიდან ზედმეტად ჩარევა მათი ცხოვრებაში (გაწეული ზედმეტი კეთილი სურვილებით დახმარება ისევე როგორც უადგილო კრიტიკა).

3. შვილების დაბადება და მათთან ურთიერთობა

ბავშვის დაბადება ახალ სიტუაციას ქმნის. პირველი ბავშვის დაბადებამდე ოჯახი არის ორი ინდივიდის ინტიმური გარემო. პარტნიორები სწავლობენ ერთმანეთთან მოქცევას, პრობლემის გადაჭრას. ბავშვის დაბადების შემდეგ ავტომატურად აღმოჩნდება ხოლმე სამკუთხედში. ბავშვის დაბადებით ორივე მხრიდან მშობლები ბებია- ბაბუები ხდებიან, და- ძმები დეიდები და ბიძები. როცა ბავშვი ჩნდება, მშობლები უკვე ზრდასრულებს მიეკუთვნებიან და არა ბავშვებს. ბავშვი ღრმად იჭრება ნათესაურ წრეში. ძველი კავშირები იცვლება, ახალი კავშირებიცაა იბადება. ბავშვებისადმი სიხარული მშობლებს ზოგჯერ სტრესში გადაეზრდებათ ხოლმე. პრობლემები რომელიც დედის და მამის მოვალეობების დიფერენციაციას ახლავს თან ყველა ოჯახისათვის გარდაუვალია. სანამ ბავში დაიბადება მეუღლეებს ერთნაირად შეუძლიათ დაკავებული იყვნენ სწავლით, საკუთარი კარიერით და სხვა საქმეებით. ბავშვის დაბადებასთან ერთად ჩნდება გარკვეული შეზღუდვები. ეს ძირითადად დედებს შეეხებათ. შვილების ყოლა დედებისათვის ფუნქციონირების ახალი ფორმაა, რომელიც ხშირად იწვევს მათი ცხოვრების სტილის შეცვლას. როცა ბავშვები პატარები არიან, გარკვეული სიძნელეები იჩენს თავს, თუმცა კრიზისი დგება უფრო ხშირად სასკოლო ასაკის მოახლოებისას. კრიზისული პერიოდი გრძელდება გარდატეხის ასაკამდე, რაც მათთან ურთიერთობების გართულებას იწვევს. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ორივე მშობელმა გაითავისოს საკუთარი ფუნქციები.

4. ქორწინების მოწიფული სტადია

მშობლები წლების განმავლობაში ზრუნავენ შვილებზე, მაშინაც კი როდესაც ისინი ბავშვები აღარ არიან. როდესაც ქალი და მამაკაცი აღწევს ცხოვრების საშუალო ფაზას, დაქორწინებულნი არიან 10-15 წელიწადი, ხშირად ეს არის ცხოვრების სასიამოვნო პერიოდი. მამაკაცს შეუძლია იამაყოს თავისი პროფესიული წარმატებებით, რომელშიც მეუღლეს მიუძღვის გარკვეული წვლილი. ქალს მეტი დრო აქვს თავისი ტალანტი განავითაროს, ადრეული სიძნელეები გადალახულია და მათი შეხედულებები ცხოვრებაზე უფრო საღიაა. ეს არის პერიოდი როცა ოჯახური ურთიერთობები ღრმავდება ნათესავეებთან და მეგობრების წრესთან. პატარა ბავშვის აღზრდის სიძნელეებიდა მისი გადალახულია საშუალო ასაკამდე წყვილს ბევრი პრობლემა შეხვდათ ცხოვრებაში, რომელსაც ისინი თავს ართმევდნენ და სტაბილურობას ამყარებდნენ ოჯახში, როცა ბავშვები გაიზარდნენ ოჯახმა ცვლილება განიცადა. როცა შვილებს მშობლიური სახლის დატოვება სურთ, ოჯახში იწყება სიძნელეების ახალი ფაზა. თუმცა წყვილს ადრე შეიძლება ბევრი პრობლემა ჰქონდეს გადაჭრილი, საშუალო ასაკში შესაძლებელია შექმნას წყვილის გაშორებით დასრულდეს. სერიოზული დაძაბულობა და დაცილება კი. უმეტესი ოჯახური სიძნელეებისა თავს იჩენს, როცა ვიღაც ახალი მოდის ოჯახში ან რომელიმე მიდის ოჯახიდან: როცა ბავშვები უკვე დიდები არიან, იცვლება ურთიერთობება მშობლებსა და შვილებს შორის. ქორწინების საშუალო ფაზაში პრობლემის მოხსნა უფრო ძნელია, ვიდრე ქორწინების პირველ წლებში. კრიზისი თავს იჩენს, მაშინ, როცა შვილები მშობლების სახლს ტოვებენ. წყვილი ისევ მარტო რჩება.

5. შვილების მშობლებისაგან განცალკევება

ყველა ოჯახისათვის კრიზისის პერიოდი იწყება, როცა შვილებს მშობლების სახლის დატოვება სურთ. შედეგი სხვადასხვაგვარია, ხშირად ოჯახი დეპრესიაში ვარდება, როცა შვილები მიდიან. მშობლები, როგორც წყვილები ახალ ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან. ისინი კარგად აგვარებენ თავიანთ კონფლიქტებს და მზად არიან შვილებს თავიანთი დახმარება შესთავაზონ. ისინი

გადადიან ბებია- ბაბუის ფაზაში. იმ ოჯახში, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია შვილის წასვლა აღიქმება როგორც მარტობის დასაწყისი. მაგრამ დანაკლისი გადატანილ უნდა იქნას და ახალი ინტერესებით შეივსოს.

მშობლების ოჯახიდან წასვლით, შვილი ზრდასრული ხდება, ეს ინიციატივა შვილს ახალ სტატუსს აძლევს და მშობლებისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ზოგ ოჯახში კი შვილისთვის ხდება ხელისშეშლა, რომ არ წავიდეს. ზოგიერთში მშობლები თავიანთ შვილებს ყოველგვარი სიძნელეების გარეშე ნებას რთავენ წასვლაზე, მაგრამ შემდეგ, როცა ყველაზე უმცროსი შვილი ამ ასაკს მიაღწევს, ჩნდება პრობლემა. ეს შვილი ოჯახისათვის განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ის არის მშობლების დამაკავშირებელი, ცოლ- ქმრის ერთობლივი მოვალეობა და საზრუნავი. ასეთ დროს შეიძლება თავი იჩინოს ასეთმა პრობლემამ. მშობლები მიიჩნევენ, რომ მათ ერთმანეთთან აღარაფერი აქვთ სათქმელი და ერთობლივი ინტერესებიც არა აქვთ. წლების განმავლობაში ისინი მხოლოდ შვილებზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

მასინ როცა მშობლები ბებია-ბაბუები ხდებიან, ისინი ხშირად არ არიან მზად ამისათვის, მათ უნდა ისწავლონ როგორ გახდნენ კარგი ბებია და ბაბუა.

6. პენსია და მოხუცებულობა

როცა მშობლები შვილებთან განცალკევებას გადაიტანენ, ხშირად აღწევენ ჰარმონიას. ზოგჯერ სიმშვიდემ შეიძლება უფრო გაართულოს ურთიერთობები, როცა ცოლ-ქმარი მთელი დღე მარტო არის. მოხუცი ადამიანების პრობლემები შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზით იქნას გამოწვეული. თუმცა ბევრი მოხუცი ცდილობს გამოეყოს შვილებს, მაგრამ მათი უმრავლესობისათვის ოჯახი ისევ წარმოადგენს მათი ინტერესების ცენტრს, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ადგილს, მათი მოქმედების უმნიშვნელოვანეს სფეროს.

ოჯახი არის დახმარების და თანადგომის შეუცვლელი, უნიკალური წყარო ხანდაზმული და მოხუცი ადამიანებისათვის.

როცა ერთი-ერთი პარტნიორი კვდება, რასაკვირველია მეორემ მარტო უნდა გააგრძელოს ცხოვრება, უნდა გამონახოს სასარგებლო საქმე. ამ დროს

ახალგაზრდა თაობამ უნდა იზრუნოს მასზე. ის თუ როგორ იზრუნებენ მოხუცზე, ასევე იზრუნებენ შემდეგ მათზეც, როცა მოხუცდებიან, რადგანაც ოჯახური ციკლი დაუსრულებელია.

1.5 ოჯახის ფუნქციები

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება ოჯახის სხვადასხვა ფუნქციის მნიშვნელობა, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარე მატერიალურ, სულიერ და სოციალურ პირობებთან არის დაკავშირებული.

ოჯახისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფუნქციები

1. რეპროდუქციული ფუნქცია(სექსუალურ- ეროტიკული ფუნქცია)
2. აღმზრდელობითი ფუნქცია
3. ემოციური ფუნქცია
4. სულიერი ფუნქცია
5. მატერიალური (ყოფითი) ფუნქცია
6. რეკრეაციული (აღმდგენითი) ფუნქცია
7. რეგულაციური ფუნქცია
8. ოჯახის ფელიციტოლოგიური(ბედნიერების მომნიჭებელი) ფუნქცია
9. კომუნიკაციური ფუნქცია-

ოჯახის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფუნქცია განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე იქნდა მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობას და სხვა ფუნქციებთან ურთიერთკავშირში იმყოფებოდა.

1. ფუნქცია რომელიც ოჯახს დასაბამიდან აქვს არის **რეპროდუქციული ფუნქცია**. ამ ფუნქციით ხდება ოჯახის წევრების სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
2. ოჯახის შემდეგი ფუნქცია არის **აღმზრდელობითი ფუნქცია**. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რეპროდუქციულ ფუნქციასთან. მოსახლეობის კვლავ წარმოქმნაში

არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური მომენტიცაა, ე.ი. არა მხოლოდ შვილის გაჩენაა არამედ აღზრდაც. სწორედ ოჯახის კეთილგანწყობილ გარემოში ხორციელდება ბავშვის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ძირითადი თავისებურებების შექმნა. გარდა ამისა ოჯახი უზრუნველყოფს ბავშვის მსოფლმხედველობის, განწყობების, ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებას, განაპირობებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას ჩვევების ზნეობრივ ფსიქოლოგიური მახასიათებლების დახვეწას.

3. ემოციური ფუნქცია—ადმიანის ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორცაა სიმპათია, პატივისცემა, ემოციური მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური დაცვა. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების ემოციურ სტაბილურობას, ხელს უწყობს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

4. მატერიალური ფუნქცია და 5. სულიერ ფუნქცია

ზოგიერთი სულიერი ფუნქციის განხორციელებისათვის აუცილებელია მატერიალური (ბავშვების აღზრდა და განათლება). მაგრამ სულიერი ფუნქციის რეალიზაცია აუცილებელია მატერიალური ფუნქციის შესასრულებლად. ოჯახის ეკონომიური, ყოფითი ფუნქციები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე წარმოადგენდა საშუალებას სოციალური, პროფესიული, ღირებულებითი და სამართლებრივი აღზრდის საფუძველს მომავალი თაობებისათვის.

6. რეკრეაციული (აღმდგენითი) ფუნქცია—ცნობილია, რომ ფორმირებული პიროვნება საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევაში. ყოველდღიური შრომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ძალების მოკრებისა და დასვენებისათვის არის სწორედ ოჯახი.

7. ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს ოჯახის რეგულაციურ ფუნქციას (პირველადი სოციალური კონტროლის) რომელიც წარმოადგენს ოჯახის წევრებს შორის, სხვა ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების რეგულაციას, ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ოჯახის წევრების მიერ სოციალური ნორმების შესრულებას, განსაკუთრებულად მათ მიერ ვინც რიგი გარემოებების გამო

(ავდემოფობა, ასაკი) ვერ შეძლებს დამოუკიდებლად სოციალური ნორმების შესაბამისად მოქმედებას. რადგანაც ოჯახი განაპირობებს ადამიანების ქცევის წარმართვის თავისებურებებს გარემომცველ სამყაროსთან.

8. საზოგადოების ჰუმანიზაციის შესაბამისად უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ოჯახის ფელიციტოლოგიური ფუნქცია, ფელიციტო” ლათინურად ნიშნავს “ბედნიერებას, ე.ი. ფელიციტოლოგიური ფუნქციაა ოჯახის ყოველი წევრის ბედნიერებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ამ ფუნქციის შესრულება შეუძლია მხოლოდ მეგობრული, კულტურულ, მორალურ-ფსიქოლოგიური კუთხით სრულფასოვან ოჯახს. (Смелзер Н 1998)

9. კომუნიკაციური ფუნქცია- აკმაყოფილებს ადამიანის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნას ურთიერთობის და განმარტობის ოჯახის ფუნქციაში შედის მის წევრთა ფიზიკური კეთილდღეობის გაპირობება, ადამიანის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ისეთების როგორცაა მაგ. თავშესაფარი, უსაფრთხოება, სექსუალური სურვილი, ბავშვთა სოციალიზაცია.

II თავი ოჯახური ურთიერთობების მახასიათებლები

2.1 ურთიერთაღქმის ბუნება და ოჯახის როლი მეს აღქმაში

ოჯახი წარმოადგენს ღრმა პიროვნებათშორისო ურთიერთობების განხორციელების არეალს. ურთიერთობანი თავის მხრივ ემყარებიან პიროვნებების მიერ ერთმანეთის აღქმას. ოჯახში აღქმის როლი განსაკუთრებით დიდია, რადგან ის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს რთული პროცესია, რომელიც სულ ცოტა ორ სოციალურ ერთეულს, აღსაქმელსა და აღმქმელს გულისხმობს. იგი დეტერმინირებულია, როგორც აღმქმელით, მისი თვისებებით, გამოცდილებით, მოთხოვნილებებით და მდგომარეობით და ასევე აღსაქმელით. აღქმას ასევე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიტუაცია და ის მოლოდინები, რომელიც აღმქმელს ამ სიტუაციის მიმართ გააჩნია.

ოჯახში ადამიანისათვის შექმნილია ისეთი უსაფრთხო გარემო, რომელიც იძლევა საკუთარი აღქმის სიზუსტის შემოწმების, მიღების, ახალი ქცევების მოსინჯვის შესაძლებლობას.

აღქმის შესატყვისობა განსაზღვრულია როგორც თანხმობა პიროვნებია მიერ საკუთარი თავის აღქმასა და სხვის მიერ ამ პიროვნების აღქმას შორის. შესატყვისობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ეხმარება ადამიანს განსაზღვროს საკუთარ მოქმედებათა სტრატეგია. თუ ჩვენ გვსურს რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევა და ეს სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ აღგვიქვავს ჩვენ სხვა და რამდენად შეესატყვისება ეს ჩვენს წარმოდგენას საკუთარ თავზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ აღქმის შესატყვისობა თავისთავად დიადური ხასიათისაა და მას ოთხი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს (Funder & Colvin, 1997). ეს ფაქტორებია:

- ა) აღმქმელის თვისებები. აქ შეიძლება გავარჩიოთ კარგი აღმქმელი ცუდი აღმქმელისაგან.

- ბ) აღსაქმელის თვისებები. შეიძლება გავარჩიოთ ადვილად აღსაქმელი პიროვნება ძნელად აღსაქმელ პიროვნებისაგან,
- გ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. თვით-აღქმა უფრო მეტად შეესატყვისება სხვის მიერ პიროვნების აღქმას იმ შემთხვევაში, როდესაც სხვას დიდი ინფორმაცია აქვს აღსაქმელის შესახებ, ვიდრე მაშინ როდესაც იგი შეზღუდულ ინფორმაციას ფლობს.
- დ) აღსაქმელი თვისება. ზოგი თვისება, მაგ. ხილული თვისებები-სიმაღლე, უფრო ადვილად აღსაქმელია და ზოგი, მაგ. ფარული თვისებები-სანდობა უფრო ძნელად აღსაქმელია.

ინტერპერსონალური აღქმის ფორმები ოჯახში

ინტერპერსონალური ურთიერთობები განპირობებულია როგორც სოციალური, ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორებით. ინტერპერსონალური ურთიერთობები – ეს არის უშუალო კავშირები, რომელიც ყალიბდება რეალურ ცხოვრებაში ცოცხალ, მოაზროვნე და მგრძობიარე ინდივიდებს შორის. იმაზე თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები ერთმანეთს, დამოკიდებულია მათი ურთიერთობების განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებათა შორის ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აშკარად უნივერსალური ტენდენცია არის ის, რომ ადამიანები შთაბეჭდილებას სხვების შესახებ ძალიან მცირე რაოდენობის ინფორმაციის საფუძველზე აყალიბებენ. ინტერპერსონალური ურთიერთობები არსებითად დეტერმინირებულია ინტერპერსონალური მოლოდინებით, რაც ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის გაგებას, მის ცოდნას მოითხოვს, ერთი სიტყვით დგება საკითხი იმის შესახებ რამდენას შეუძლი ინდივიდს სხვა ინდივიდის გაგება. რა განსაზღვრავს ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის გაგებას, მის აღქმას. როდესაც ერთი ინდივიდის მიერ მეორე ინდივიდის აღქმაზეა ლაპარაკი ფაქტიურად იგულისხმება მისი შეფასება, ლაპარაკია ინდივიდის პიროვნული თავისებურებების აღქმაზე, ინდივიდი ბოროტია თუ კეთილი, ინტელექტუალურია თუ არა, თბილია

თუ ცივი და ა.შ. ამის "დანახვა" აუცილებელია, რათა განხორციელდეს ეფექტური ინტერპერსონალური ურთიერთობა.

ადამიანებს ტენდენცია აქვთ შეიქმნან წარმოდგენა (შთაბეჭდილება) სხვების დამახასიათებელ ნიშან-თვისებების შესახებ, ამ თვალსაზრისით პიროვნების აღქმა განსხვავდება საგნის ან მოვლენის აღქმისაგან. ადამიანთა უმრავლესობა თვლის, რომ შეუძლია განსაზღვროს სხვათა ემოციები და გაიგოს თუ რას წარმოადგენენ ეს პიროვნებები, მაგრამ რამდენად ზუსტია ადამიანის აღქმა?

აღქმა ემყარება სიმბოლოების-სიტყვების გამოყენებას, იგი უფრო ხშირად შეფასებითია. ინდივიდის მიერ ინდივიდის აღქმაში შეფასებითი განზომილება განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ახდენს შთაბეჭდილების ორგანიზაციას. ჩვენ ადამიანების აღწერას ძირითადად ზედსართავების საშუალებით ვახდენთ, რომელთა უმრავლესობაც შეფასებითია. მართალია ეს შეფასება სხვადასხვა ზედსართავებში განსხვავებული ინტენსივობით და სიცხადით არის წარმოდგენილი (შეადარებისათვის კარგი, ბოროტი და ცელქი, ნაღვლიანი). ადამიანის მიერ ჩვენში შექმნილი შთაბეჭდილებისათვის სიტყვების მიწერა პროცესია, რომლის დასწავლაც ხდება. იგი აშკარად არის დაკავშირებული პიროვნების ვერბალიზაციის დონესთან მასთან ერთად ვითარდება და გავლენას ახდენს ადამიანების თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე.

თვითშეფასება და მისი ზოგიერთი ასპექტი

თვითშეფასება- საკუთარი პიროვნების სუბიექტურად შეფასებაა. იგი შეიძლება განვიხილოთ განსაკუთრებულ განწყობად, განწყობად საკუთარი თავის მიმართ. თვითშეფასება განისაზღვრება იმ დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით(ან მათი ბალანსით), რომლებსაც ადამიანი მიაწერს საკუთარ თავს. მნიშვნელოვან როლს სასრულებს აგრეთვე სხვათა დადებითი თუ უარყოფითი შეფასებები, ამასთანავე ის მძიმე თუ სასიამოვნო სიტუაციები, რომლებშიც ადამიანი მუდმივად იმყოფება.

თვითშეფასების დადებითობა- უარყოფითობას განსაზღვრავს თვითობის ასპექტების კონსისტენტობა, ინკონსისტენტობა, კერძოდ, სტანდარტებსა და ქცევას.

ზოგად თვითშეფასებასთან ერთად ზოგიერთი ავტორი გამოყოფს თვითშეფასების ცალკეულ სფეროეფიკურ ასპექტებს: ინტელექტუალურს, ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურს, რომლების იერარქიულად არიან ორგანიზებულნი თვითშეფასებაში. თვითშეფასება არ შეადგენს მათ უბრალო ჯამს (დღემდე საკამათოა თვითშეფასების ცალკეულ ასპექტის და ზოგადი თვითშეფასების ურთიერთმიმართების საკითხი), ან სხვადასხვა სფეროების თვითშეფასებების ინტეგრირად დადგენილ საშუალოს. ზოგადი თვითშეფასებისათვის ცალკეული სფეროების სპეციფიკურ თვითშეფასებას სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ქონდეს სხვადასხვა პიროვნებებთან, რაც ცალკეული პიროვნებათა მოტივებსა და სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული.

განასხვავებენ ქრონიკულ და ხანმოკლე (მომენტალურ) თვითშეფასებას (მათი ურთიერთმიმართება მთელისა და ნაწილების ურთიერთმიმართების ანალოგიურია) *საინტერესოა მე-ს კონსისტენტობის თეორიის განხილვა*, ამ თეორიის თანახმად ადამიანი მუდამ ესწრაფვის მე-ს ხატის ინტეგრირებულობას, თანმიმდევრობულობას და სტაბილურობას, და იმთავითვე მყარ თვითშეფასებებს აყალიბებს, რომლის მართებულობაშიც შემდგომ მტკიცედ არის დარწმუნებული და ცდილობს ინფორმაციის სელექციას, ატრიბუციის და მოლოდინის შესაბამისი წარმატების მისაღწევად საჭირო ძალისხმევის საშუალებით საკუთარი მე-ს ხატი განამტკიცოს. მე-ს კონცეფციის ინტეგრირებულობის შენარჩუნების მოთხოვნილებას შედეგად მოსდევს კოჰერენტულობის მუდმივი ძიება. ადამიანები ცდილობენ ისეთ სოციალურ გარემოში მოხვედრას, რომელიც მათ მე-ს ხატის შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფს. თვითშეფასება მე-კონცეფციის დადგენის, კვლევის ყველაზე გავრცელებულ მეთოდად მიიჩნევა.

თვითშეფასების სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება თვითაღქმა და თვითგახსენება.

თვითაღქმა საკუთარი სხეულის, ფიზიოლოგიური პროცესების და ქცევის შესახებ თვითობის რელევანტური ინფორმაციის წყაროა, რომლის სიზუსტეც დიდად არის დამოკიდებული მე-კონცეფცია და თვითშეფასება. თვითაღქმა არ არის სინამდვილის პასიური ასახვა, იგი წარმართება მე- კონცეფციის

შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ადამიანი მიდრეკილია მუდმივად განიმტკიცოს საკუთარი მე-ს ხატი, რადგან საკუთარი თავის აღქმა შეუძლია მხოლოდ არსებული მე-კონცეფციის ფონზე (ამ უკანასკნელის სქემატიზირებადი ეფექტის მოქმედებით).

თვითგახსენება მე- კონცეფციისათვის რელევანტური ინფორმაციის წყაროა. იგი გულისხმობს წარსულ სიტუაციებში საკუთარი პიროვნების, განცდების და ქცევის გახსენებას.

თვითპრეზენტაცია არსებითად სოციალური ქცევაა, ემსახურება ა) მე-კონცეფციის კონსისტენტობას- ადამიანი წარმოაჩენს თავის თავს ისე, რომ მიიღოს სხვათა მხრიდან მე- კონცეფციის განმამტკიცებელი რეაქციები, ბ) თვითშეფასების ამაღლებას- ადამიანი წარმოაჩენს საკუთარ თავს ისე, რომ დაიმსახუროს სხვათა მოწონება. ე.ი. ორივე შემთხვევაში ადამიანი ცდილობს სხვებზე მოხდენილი შთაბეჭდილება მართოს.

თვითობა შედგება ოთხი სუბსისტემისაგან, თვითობის ოთხი სფეროსაგან. ესენია დიფუზური მე (სხეულებრივი), საზოგადოებრივი მე, პიროვნული მე (კერძო, საკუთარი) და კოლექტიური მე (ჯგუფთან იდენტიფიცირებული). ოთხივე სფერო თანმიმდევრობით ვითარდება ცხოვრების მანძილზე. ზრდასრულობის ასაკში ყოველი მათგანის მიზნების მიღწევამ გაწონასწორებული და სტაბილური თვითშეფასება უნდა მოგვცეს.

თვით შეფასების პროცესის ახსნას გთავაზობენ სხვადასხვა თეორიები თვითშეფასების სტაბილურად შენარჩუნებისა თუ ამაღლების საჭიროება ინდივიდს სოციალური ურთიერთობის პროცესში დგება. სოციალური ინტერქციის საშუალებით ხდება მე-სთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვება. ინდივიდს აქვს შესაძლებლობა ერთის მხრივ შეიტყოს სხვათა აზრი საკუთარი პიროვნების შესახებ " დაინახოს საკუთარი თავი სხვის თვალებში" ("looking glass" concept, Cooley, 1902) და მეორეს მხრივ შეაფასოს საკუთარი თავი რეპრეზენტატულ სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში.

სოციალური შედარების პროცესების მეშვეობით საკუთარი უნარ-შესაძლებლობების გადამოწმება ზოგჯერ საფრთხეს უქმნის თვითშეფასებას

(Festinger,1954) ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ტესერის(Tesser, 1988) თვითშეფასების სტაბილურად შენარჩუნების თეორია, რომელიც ძირითადად, მიღწევაზე ორიენტირებულ ქცევას ეხება.

სოციალური შედარების პარალელურად, თვითშეფასებისათვის განმსაზღვრელ როლს პიროვნების შინაგანი ეტალონები თამაშობს, რომლებიც მე-ს იდეალური თუ სავალდებულო ხატების სახით არის წარმოდგენილი. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები იმის მიხედვით, თუ როგორ რეაგირებენ პიროვნებები სავარაუდო განსვლებზე მე-ს რეალურ ასპექტებსა და სტანდარტებს, ანუ იდეალურ და სავალდებულო მე-ებს შორის.

ამასთან დაკავშირებით ჰიგინსმა(Higgins,1988) ჩამოაყალიბა მე-ს განსვლის თეორია და მე-ს სამი სახე განასხვავა: რეალური, იდეალურ და სავალდებულო. თითოეულ მათგანს აქვს ორი ასპექტი 1. საკუთარი წარმოდგენები მე-ს შესახებ და 2. მე-ს შეფასებები სხვათა მხრიდან, ე.ი. საბოლოო ჯამში ჰიგინსი თვითობის ექვს სახეს განასხვავებს :1. რეალური მე (საკუთარი) როგორ აღვიქვამ საკუთარ თავს; 2. რეალური მე (სხვების) როგორ აღმიქვამენ სხვები; 3. იდეალური მე (საკუთარი)- როგორი მინდა ვიყო; 4.იდეალური მე (სხვების)- როგორი უნდათ სხვებს, რომ ვიყო; 5. სავალდებულო მე (საკუთარი) როგორი უნდა ვიყო; 6. სავალდებულო მე (სხვების) როგორი უნდა ვიყო სხვების აზრით.

ჰიგინსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მე-ს ხატებს შორის განსვლებს, რომლებიც ძირითადად ნეგატიურია- მოლოდინი მეტია, ვიდრე რეალური მიღწევები.

არსებობს თვითშეფასების ორი დამოუკიდებელი განზომილება (Franks D & Marolla J 1974) შინაგანი და გარეგანი თვითშეფასება. შინაგანი თვითშეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს აკონტროლოს საკუთარი გარემო, განახორციელოს საკუთარი სურვილები და იცხოვროს საკუთარი მრწამსის მიხედვით. გარეგანი თვითშეფასება კი განისაზღვრება იმით თუ როგორ აფასებენ ადამიანს სხვები.

მე-ს კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა.

ადამიანის მე-ს ფორმირება სხვებთან ურთიერთობის პროცესში ხდება. აღქმა, როგორც უშუალო ასევე არეკლილი, (განსაკუთრებით კი იმ ადამიანების აღქმას, რომელთაც პიროვნება მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სიმბოლური ინტერაქციონიზმის ტერმინოლოგიის თანახმად “მნიშვნელოვანი სხვები”,) მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ურთიერთობებს და შესაბამისად მე-კონცეფციის ე.ი. საკუთარი თავის შესახებ წარმოდგის ჩამოყალიბებას.

ა) არეკლილი აღქმა

ჯემსის, კულის და მიდის თანახმად მე არის სოციალური წარმონაქმნი. იზოლაციაში გაზრდილ ადამიანს მე არ უვითარდება, რადგან მე სოციალურ გამოცდილებას და უკუკავშირს საჭიროებს. ეს ხაზს უსვამს მე-ს შესახებ ცოდნის შექმნაში ოჯახის, როგორც სოციალური გარემოს მონაწილეობას.

ჯემსის (James W 1890) მიხედვით მე-ში ორი საკმაოდ განსხვავებული ასპექტი I და Me გამოიყოფა. I-მე როგორც სუბიექტი-არის აქტუალური მე, ცნობიერების აწმყო ნაკადი; Me- მე როგორც ობიექტი შეიცავს ყველაფერს, რაც კი ვიცით ჩვენი მე-ს შესახებ." მე როგორც სუბიექტი" ვწერ ამჟამად ამ პარაგრაფს , მაგრამ როცა გაგჩერდები და დავეფიქრდები ჩემს ნამუაშევარზე, ვიწყებ ფიქრს ჩემს Me ზე, ჩემი წერის მანერაზე, იმაზე რაც წარსულში დამიწერია, ან იმაზე, რომ დავიღალე "-წერს უ. ჯემსი.(1) ამრიგად I -ში იგულისხმება მე-ს შედარებით მკაფიო და შემოსაზღვრული განცდა. მასში გამოხატულია ის, რომ ადამიანი განიცდის თავს საკუთარი ქცევის, აღქმის, ემოციის სუბიექტად და აცნობიერებს თავის იგივეობას და განუყოფელობას იმისგან, რაც გუშინ იყო. ამ უშუალო განცდას რაიმე კონკრეტული შინაარსი არ გააჩნია. Me -მე, "თვითონ" ინდივიდუალური შინაარსის შემცველია.

მე-ს სოციალურ ბუნებას შემდგომში კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ჩარლზ კულიმ და ჰერბერტ მიდმა. მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანებს მე მხოლოდ სხვა ადამიანთან ურთიერთობით უყალიბდებათ. მე-ს ხედვა რომელიც სხვა ადამიანებთან

სიმბოლური (ლინგვისტური) კომუნიკაციით გვექვს. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ მე-ს ერთიანობას ინდივიდს ორგანიზებული საზოგადოება, ჯგუფი ანიჭებს.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიერ შემოთავაზებული იყო იდეა " სარკისებური მე" შესახებ, რომელიც კულის ეკუთვნის (სოციალური სარკის მეტაფორა ანუ სარკისებრი მე) **კულის (Cooley C,1912)** შეხედულებების თანახმად, ადრეული ბავშვობისან დაწყებული, მე-ს ხატის განვითარების წყაროს წარმოადგენს ჩვენს მიერ აღქმული მნიშვნელოვანი სხვების რეაქციები ჩვენს ქცევებზე. ჩვენ მიდრეკილები ვართ თავიდან გავიზიაროთ და შემდგომ მთლიანად მივიღოთ მათი მოსაზრებები ჩვენს შესახებ, შესაბამისად იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება გვაქვს ამ სხვების მიმართ. "სარკისებური მე" იშნავს, რომ მე-ს კონცეფცია წარმოადგენს იმის არეკლვას, თუ როგორ აღიქვამენ გარშემომყოფები ამ ადამიანს. უკუკავშირის როლი რომელასაც იღებს ადამიანი გარშემომყოფებისაგან შეუფასებელია. მშობლები, თანატოლების ჯგუფი, მასწავლებლები ახორციელებენ რა უკუკავშირს, ახდენენ უშუალო და მნიშვნელოვან გავლენას ინდივიდის მე-ს კონცეფციის ჩამოყალიბებაზე.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის წამყვანი თეორეტიკოსი **მიდი (Mead G 1934)** საუბრობდა მე-ს ხატზე, როგორც სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტზე გამოყოფს I და Me . I და Me ერთიან "მე"-დ არიან გაერთიანებული და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ჯ. მიდისათვის სხვაობა I და Me-ს შორის ნაწილობრივ მესხიერების საკითხს უკავშირდება. I მოცემულია ამ მომენტში , ხოლო შემდგომ მომენტში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, I არის მოცემული მომენტის სპონტანური ავტორი, ხოლო Me რეფლექსიურ ცოდნას შეიცავს. I არის მე-ს აქტიური კომპონენტი და ინდივიდს ქცევისკენ უბიძგებს. მისგან საპირისპიროდ Me არის ობიექტი, განწყობებისა და მოლოდინების ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც საერთოა კონკრეტული ჯგუფისათვის. იგი უკვე არჩეული მოქმედების განხორციელების საშუალებაა. მე-ს კონცეფცია, მე-ს ხატები, მე სქემები- ეხება Me-ს და არა I-ს. მიდი ამტკიცებდა, რომ ინდივიდი აღიქვამს თავის თავს, არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ მხოლოდ ირიბად სხვა ინდივიდების თვალსაზრისის

გათვალისწინებით, იმ ინდივიდებისა, რომლებიც იმავე სოციალური ჯგუფის წევრები არიან, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, ან მთელი სოციალური ჯგუფის განზოგადებულ თვალსაზრისს. სარკისებური მე- მიდთან წარმოადგენს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სხვების “არეკლვას” არამედ, მთელი სოციალური და კულტურული გარემოს განზოგადებას.

კინჩმა (Kinch J 1963) შეაგსო სიმბოლური ინტერქციონიზმის მე-ს თეორია, მიუთითა, რა რომ ის სწავლობს 4 კომპონენტის ურთიერთქმედებას: ჩვენი საკუთარი მე- კონცეფცია, ჩვენი აღქმა სხვა ადამიანების განწყობების და რეაქციებისა ჩვენზე, რეალური განწყობები და რეაქციები სხვა ადამიანებისა ჩვენზე და ბოლოს ჩვენი საკუთარი ქცევა.

მოგვიანებით **ბემმა (Bem S 1967,1972)** ხაზი გაუსვა იმას, რომ სოციალურ გარემოში სხვები ჩვენს შესახებ ინფორმაციის პირველწყაროები არიან, და რომ თვითაღქმა წარმოადგენს პიროვნებათაშორისი აღქმის კერძო შემთხვევას. თვითშეფასება დაფუძნებულია ინდივიდის მიერ საკუთარი ქცევების დაკვირვებაზე და გარემოში პირობებზე სადაც ეს ქცევები ხორციელდება. ამასთან ინდივიდის მტკიცებები ფუნქციონალურად მსგავსი იქნება იმ მტკიცებებთან რომელსაც გააკეთებდა ნებიმიერი ადამიანი, რომელიც ამ ინდივიდს აკვირდება.

ტერმინ "მნიშვნელოვანი სხვების" ქვეშ იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც მთავარნი და მნიშვნელოვანნი არიან ბავშვისათვის იმდენად, რამდენადაც ბავშვი გრძნობს მათ, როგორც მის ცხოვრებაზე უშუალო გავლენის მქონე არსებებს. ადრეულ ბავშვობაში უმნიშვნელოვანესი ადამიანები მის ცხოვრებაში არიან მშობლები, მოგვიანებით მათ უერთდებიან მასწავლებლები და თანატოლთა ჯგუფი. ფსიქოლოგიური კვლევების ნაწილი მიმართულია სარკისებური მე-ს თეორიის ექსპერიმენტული შესწავლისაკენ ბუნებრივი ურთიერთქმედების პირობებში. მასში ასახულია საკმაოდ მაღალი კორელაცია თვითშეფასებასა და გარშემომყოფთა შეფასებას შორის.

მე კონცეფციის განვითარების შესწავლის სფეროში, სარკული მე-ს გარდა (არეკლილი მე), არსებობს ასევე იმიტაციის თეორია, რომელიც მე-ს ჩამოყალიბების

პროცესში მნიშვნელოვნად თვლის ქცევის მოდელირებას. ეს თეორია პირველ რიგში დაკავაშირებულია ჯემსის, მიდის და კულის სახელებთან და სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიულ თვალსაზრისს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მე-კონცეფცია განიხილება, როგორც იმ შეფასებათა არეკლვა, რომელსაც აკეთებს გარემო, მნიშვნელოვანი სხვები.

ასევე მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური შედარება. როგორც **ფესტინჯერმა(Festinger L 1954)** აჩვენა, ადამიანი მუდმივად განიცდის მოთხოვნილებას შეაფასოს საკუთარი მოთხოვნილებები და შეამოწმოს საკუთარი აზრის სამართლიანობა მათზე. ცალსახაა, რომ ადამიანებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორია მათი მომხიბლველობა და ღირებულება სხვის თვალში. ამიტომაც ისინი უცვლელად ადარებენ საკუთარ თავს ადამიანებს არ მხოლოდ საკუთარი გარემოცვიდან არამედ სხვა ადამიანებს რამდენსაც ტელევიზიით უყურებენ ან მათზე კითხულობენ მას მედიაში

თეორია სოციალური დასწავლის კონცეფციიდან იღებს სათავეს, პირველ რიგში **ბანდურას (Bandura,A., Ross,D., Ross,A. (1963a.,1963b).** ამ მოსაზრების თანახმად ქცევითი მახასიათებლების უმრავლესობა და მათი გავლით განწყობებსაც ბავშვი იძენს სხვათა ქცევის შესწავლისა და იმიტირების საშუალებით, იმ ადამიანების (უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანი სხვები), რომლებიც მათ სოციალური გარემოში არიან.

არსებული ორივე თეორია ხსნის მე-ს ფორმირებას, ორი განსხვავებული პროცესით. სარკული-მეს თეორია ხაზს უსვამს სხვების შეფასებითი რეაქციების მნიშვნელობას, ხოლო იმიტაციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ პირობებზე, რომლის დროსაც ადამიანი სწავლობს სხვების მახასიათებლებს, როგორც მისთვის დამახასიათებელს.

არსებული ემპირიული გამოკვლევები ამტკიცებს ორივე თეორიის საფუძვლიანობას. სიმბოლური ინტერაქციონიზმის საზღვრებში ჩატარებული გამოკვლევები ავლენენ კავშირს ინდივიდის მე-კონცეფციასა და გარშემომყოფთა მის შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სხვების მოსაზრებას შორის. ასე,

რომ ამ მიდგომის ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვის მე-კონცეფცია პირდაპირ არის დაკავშირებული მშობლების შეფასებასთან.

მეორეს მხრივ, კვლევები, რომელიც ბიჰევიორისტული პოზიციებით არის ჩატარებული ადასტურებს ქცევის მოდელირების თეორიის მოსაზრებას, რომ ბავშვის მე - კონცეფცია მშობლების- მე-კონცეფციის გავლენას განიცდის.

მნიშვნელოვანია გაირკვეს საკითხი ბავშვის მე- კონცეფციის განვითარება, რომელ პროცესთან არის დაკავშირებული (ასაკი, ბავშვის სქესი, მშობლის სქესი და ა.შ.)

მაგალითად **ბანდურა (Bandura, A 1965)** მოდელირების მნიშვნელობა იზრდება როცა შვილი და მშობელი ერთი და იმავე სქესია, ამავე დროს სარკისებური პროცესი უჩვენებს დიდი გავლენას იმ შემთხვევაში როცა მათი (მშობლის და შვილის) სქესი განსხვავებულია. რადგანაც ბავშვზე შესაბამისი სქესისათვის დამახასიათებელი თვისებები ახდენს მნიშვნელოვან სოციალურ გავლენას, ამ შემთხვევაში მას უწევს ამ სქესთან იდენტიფიკაცია, იგივე სქესის მშობელთან ახდენს, ე.ი მისი ქცევის მოდელირება. საწინააღმდეგო სქესის მშობლის და ბავშვის ურთიერთობა შეიძლება იყოს, უფრო თავისუფალი და გახსნილი, რადგანაც იდენტიფიკაციას ნაკლებას აქვს ადგილი, შედეგად ბავშვის მე- კონცეფციაზე უფრო მეტ გავლენა შეიძლება მოახდინოს საწინააღმდეგო სქესის მშობლის შეფასებითი რეაქციებმა.

გეკასის (Gecas, V 1974წ) კვლევა ნაწილობრივ ადასტურებს ამ წინასწარმეტყველებას. ბიჭების თვითშეფასება უფრო არის დაკავშირებული დედების შეფასებებთან, ვიდრე შეფასებებთან, რომელიც მამას ეკუთვნის. გოგონების თვითშეფასება მეტწილად ასახავენ მამის შეფასებას, ვიდრე დედებისას. ასე, რომ თვითაღქმისათვის ამ კვლევის მიხედვით საწინააღმდეგო სქესის მშობლის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია.

სხვა მხრივ ქცევის მოდელირების თეორიის კვლევები არ ადასტურებენ ამ პროცესის მნიშვნელოვნებას როცა შვილები და მშობლები ერთი და იმავე სქესისანი არიან. ყველა პარამეტრების მიხედვით თვითშეფასება უფრო გავლენიან მოდელად, როგორც გოგონებისათვის ასევე ვაჟებისათვის არის მამის შეფასება. ამ

თეორიის წარმომადგენლები ამას ხსნიან იმით, რომ ბავშვები მეტად მიდრეკილები არიან მიბაძონ მას, ვინც მათი აღქმის შესაბამისად ფლობს ძლაუფლებას.

რაც შეეხება ასაკს, რაც უფრო პატარაა ბავშვი მით უფრო მიდრეკილია მშობლების იმიტაციისაკენ. ეს ეთანხმება დაკვირვებას, რომ ასაკთან ერთად და მათი ურთიერთობების სფეროს გაზრდასთან ერთად ისინი ნაკლებად ახდენენ მშობლებთან იდენტიფიცირებას, თუმცა მათი შეფასება და მსოფლმხედველობა ასე თუ ისე ნარჩუნდება ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. როცა ბავშვი იზრდება და ტოვებს სახლს, როლი მშობლებისა და მნიშვნელოვანი სხვებისა მცირდება.

შოთა ნადირაშვილი საკუთარ მე-ს შესახებ შეხედულებებს ფსიქიკურ ავტოპორტრეტს უწოდებს. ადამიანი ფსიქიკურ ავტოპორტრეტს ობიექტივაციების აქტების მთელი სერიის საფუძველზე ქმნის. ფსიქიკური ავტოპორტრეტი წარმოადგენს პიროვნების გარკვეულობას ერთის მხრივ დროს და სივრცეში, ხოლო მეორეს მხრივ სოციალურ ურთიერთობათა პროცესში. ამიტომ მის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის წარმოდგენები საკუთარი პიროვნების შესახებ და ისიც, თუ რა ადგილს იკავებს ის საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორია სოციალური გარემოს რეაქცია მის მიმართ. ფსიქიკური ავტოპორტრეტი მხოლოდ საკუთარი თავის უშუალო განცდისა და თვითდაკვირვების მონაცემის საფუძველზე არ იქმნება, მისი ფორმირებისათვის მონაცემების ერთერთ სერიოზულ წყაროს პიროვნებისადმი სხვა ადამიანების რეაქციები წარმოადგენენ.

ფსიქიკური ავტოპორტრეტის ფორმირებისას თავისი თავისა და თავის ქცევათა უშუალო განცდის გვერდით დიდი მნიშვნელობა ავს იმას, თუ რა რეაქციებს იღებს ადამიანი საკუთარი სოციალური გარემოდან მისი „მე“-ს შეფასების მიმართულებით. უშუალო განცდებისა და იმ შეფასებათა ერთიანობის საფუძველზე, რომელიც, მისი აზრით, რსებობს საზოგადოებაში მასზე, ადამიანს უყალიბდება ფსიქიკური ავტოპორტრეტი. ფსიქიკური ავტოპორტრეტი წარმოადგენს თვითგანცდისა და ფსიქიკური ურთიერთქმედების აქტიობათა ნაყოფს, რის გამოც

ის სოციალურ ფსიქოლოგიურ ფენომენტა რიცხვს უნდა მიაუთვნოს. (შ. ნადირაშვილი სოციალური ფსიქოლოგია გვ 309-311)

ფსიქიკური ავტოპორტრეტის შექმნაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ოჯახი, რადგანაც საკუთარი თავის და საკუთარი ქცევების აღქმა მეტწილად ოჯახში ყალიბდება.

ჩვენი ინტერესიც სწორედ საკუთარი და სხვების აღქმის თავისებურებების შესწავლაა ოჯახში. ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ აღქმა როგორც საკუთარი თავის ასევე სხვების, ამ შემთხვევაში ოჯახის წევრებისა, მნიშვნელოვანწილად ყალიბდება ოჯახში.

2.2 ნდობა, როგორც პიროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელი ოჯახში

ჯეკსონის (Jackson1965) ის თანახმად, კარგი ოჯახი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: მიმტკეველობა, ნდობა, ურთიერთპატივისცემა, პატიოსნება, ერთად ყოფნის სურვილი, ინტერესების და ღირებებულებების მსგავსება. ოჯახის სტაბილურობას განაპირობებს ოჯახის წევრების მიერ ერთობლივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე მოლაპარაკების წარმოების ანუ კონფლიქტების კონსტრუქტულად მოგვარების უნარი. ოჯახური ურთიერთობების ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ნდობა წარმოადგენს, რომელზეც აგებულია ურთიერთობები ოჯახში.

ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით ნდობა ადამიანის არსებობისათვის გადამწყვეტი და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იმისათვის რომ ეფექტურად იფუნქციოს ადამიანური ურთიერთობების ყველა დონემ: ინდივიდუალურმა, დიადურმა, ჯგუფურმა, ორგანიზაციულმა და ერების (Rotenberg,1991; Rotter,1967 Stak,1978)ნდობის არსებობა აუცილებელია

სკოტი (Scott 1980) თვლის, რომ ნდობა ორგანიზაციული ეფექტურობის პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მაღალი ნდობის მქონე ჯგუფები უკეთ მუშაობენ გარკვეულ დავალებებზე ვიდრე დაბალი ნდობის მქონე ჯგუფები, ფაქტიურად, დამტკიცებულია, რომ ნდობა არის ჯგუფური პროცესის მამოძრავებელი. (Golembiewski & McConkie, 1975). დიადურ ურთიერთობებზე აშკარად ზემოქმედებს თითოეული წევრის ნდობა მეორის მიმართ. ზოგიერთ ავტორს (მაგალითად Erikson, 1950; Rotter, 1967; Erightsman, 1974) მიაჩნია, რომ ნდობა არის ნებისმიერი პიროვნული ურთიერთობის განვითარების აუცილებელი ბაზა. აგრეთვე, არსებობს აზრი, რომ ნდობის განვითარება არის მორგებულობის მნიშვნელოვანი კომპონენტი და “ ჯანსაღ პიროვნების” საფუძველი. მაგალითად Schill, Toves & Ramanaiah (1980) მიხედვით, დაბალი ნდობის მქონე ინდივიდებს ტენდენცია აქვთ ჰქონდეთ უფრო მაღალი სტრესის მაჩვენებელი და მეტი ემოციონალური და ფიზიკური დისტრესი, ვიდრე ნდობის მაღალი მაჩვენებლების მქონე პიროვნებებს.

ნდობის შესწავლის ეტაპები

არსებობს ნდობის შესწავლის რამდენიმე მიდგომა;

1. **ერიკსონი (Erikson, 1963)** ავითარებს ნდობის ზოგად თეორიას როგორც პიროვნების განვითარების დასაყრდენს. ამ თეორიის თანახმად, ყველა პიროვნებამ უნდა ისწავლოს ენდოს სულ მცირე ერთ სხვა პიროვნებას მასზე საზრუნავად ან მის გადასარჩენად. ერიკსონის მიერ შემოთავაზებულია პიროვნების განვითარების რვა ფსიქოსოციალური სტადა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნდობას. ის თვლის, რომ ჯანმრთელი პიროვნების ფორმირების ქვაკუთხედს ნდობა წარმოადგენს. ერიკსონის მიხედვით ნდობის ხარისხი რომელიც ბავშვს უვითარდება სხვა ადამიანების მიმართ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ოჯახზე, კერძოდ დედის მზრუნველობაზე. Erikson-ის მიერ აღწერილია “ საწყისი ნდობა”, როგორც შემდგომ სოციალური ზრდის საწყისი.

2. **დოიჩი (Deutsch 1958)** მიუთითებს, რომ ნდობის ცნება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური ცხოვრების და აგრეთვე პიროვნული განვითარების გასაგებად, კერძოდ დოიჩი ხსნის რისკიანი ქცევების მნიშვნელობას რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნდობასთან და გვიდასტურებს, რომ ნდობა და სანდოდ ყოფნა ურთიერთდაკავშირებულია.

3. **როტერმა (Rotter 1967)** შემოიტანა ინტერპერსონალური ნდობის ცნება, როგორც პიროვნების ან ქცევის მოლოდინი დაკავშირებული იმის ალბათობასთან, რომ დანაპირები შესრულებულ იქნება. ამ კონცეფტუალიზაციამ (და სკალამ, რომელიც შეიქმნა მის გასაზომად) ფართო გავრცელება ჰპოვა ლიტერატურაში, მათ შორისაა მაგალითად, გამოკვლევები, რომელთა საგანია ინტერპერსონალური ნდობის დინამიკა, კლიენტ-თერაპევტის ნდობა, ნდობა გუნდური მუშაობის სიტუაციებში (თამაშების ჩათვლით). ნდობის განვითარება ბავშვებში, და პოლიტიკური ანუ საჯარო ნდობა. მრავალმა მკვლევარმა გამოიყენა როტერისეული ნდობის განსაზღვრება ოდნავ განსხვავებული აზრით, რომელშიც იგულისხმება მოლოდინები ზოგადად ადამიანების სანდობასთან დაკავშირებით (Stack, 1978; Wrightsman, 1974).

ზოგი ავტორი ცდილობს მოახდინოს ნდობის როგორც ფენომენის დიფერენციაცია

დრისკოლი (Driscoll 1978) გვთავაზობს დავყოთ ნდობა ორ შემდეგ კატეგორიად: ზოგადი ატიტუტუდურ/ემოციონალური კომპონენტად და სპეციალური სიტუაციურ-კოგნიტური კომპონენტად.

სტაკი (Stack 1978) გვთავაზობს სიტუაციური ნდობის ხუთ დეტერმინანტს: კომუნიკაცია, რისკი, დაპირებების რეალობასთან სიახლოვე, სოციალური შეფასება და გენერალიზებული ნდობა. თითოეული ეს დეტერმინანტი დანახულია წარსული, აწმყო და მომავალი მოვლენების ტერმინებში.

ნდობის ტიპებში უფრო ხშირად გამოყოფენ გენერალიზირებულ და ურთიერთობით ნდობას. ნდობა ხშირად აღწერილია (Wrightsman, 1974) როგორც

გენერალიზირებული მოლოდინი, რომ სხვა ადამიანები სერთოდ არიან სანდო და გულთადები. ნდობის ქვეშ შესაძლოა წარმოვიდგინოთ სხვების ნდობა ან საერთოდ ადამიანების ნდობა, მათი სპეციფიკური ქცევებისაგან დამოუკიდებლად (ე.ი. სანდობა) ან მათი პირადი მახასიათებლებისაგან დამოუკიდებლად. გენერალიზირებული ნდობა ხასიათდება სოციალური იდენტურობით; ე.ი. ადამიანი საერთოდ ენდობა სხვებს იმდენად, რამდენადაც ისინი გარკვეულწილად მისი მსგავსნი არიან, მაგალითად ნდობისათვის მნიშვნელოვანია იგივე ჯგუფის, ერისა თუ რასისადმი კუთვნილება. ურთიერთობით (ან დამოკიდებულებით) ნდობას უწოდებენ ნდობას, რომელიც ადამიანს აქვს კონკრეტული ადამიანისა თუ ადამიანების ქცევის მიმართ. ურთიერთობითი ნდობა მომდინარეობს ადამიანის კონკრეტული ურთიერთობებიდან (მაგალითად, ქორწინება, მეგობრობა, უფროსის და დაქვემდებარებულის ურთიერთობა, ოჯახური ურთიერთობები, სამსახურში, მეზობლებთან ურთიერთობები)

გენერალიზირებული ნდობა

თემის შესახებ არსებული ლიტერატურის თანახმად, გენერალიზირებული ნდობის დონე განისაზღვრება ადამიანის ზოგადი მოლოდინებით სხვების სოციალური მოტივებისადმი ან სამყაროს ბუნებისადმი (ანუ ადამიანის ცხოვრების ფილოსოფიით). თუ პიროვნება მოელის სხვებისაგან კეთილშობილურ და უბოროტო ქცევას (ანუ ენდობა სხვებს განსხვავებულ სიტუაციაში), მაშინ ვამბობთ რომ ამ ადამიანს აქვს მაღალი გენერალიზირებული ნდობა. ეს ნდობა ნიშნავს დარწმუნებულობას სხვა ადამიანებში. და პირიქით, თუ ადამიანი ძლიერ უნდობლობას იძენს სხვების მიმართ, მაშინ ის უნდა განხილულ იქნეს როგორც დაბალი გენერალიზირებული ნდობის მქონე. გენერალიზირებული ნდობის გარკვეული დონე აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისათვის. თუმცა ნდობის

განსაკუთრებით მაღალი დონე შესაძლოა დანახულ იქნეს როგორც მიმნდობლობა; თუმცა მრავალ კვლევაში ნაჩვენებ იქნა, რომ მაღალი ნდობის მქონე ადამიანები არ არიან უფრო მიმნდობლები, ვიდრე დაბალი ნდობის მქონე ადამიანები (Rotter 1971,1980).

გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ მაღალი ნდობის მქონე ადამიანები საკუთარ თავს აღიქვამენ სხვების მიერ აღქმულის მსგავსად ბედნიერად, საწინააღმდეგო სქესისათვის უფრო მიმზიდველად და ახალი მეგობრებისათვის უფრო სასურველად (Rotter, 1980). სხვა კვლევები ადასტურებენ იმ მოსაზრებას, რომ მაღალი ნდობის მქონე ადამიანები უკეთ შემგუბელი ინდივიდები არიან (Schill at all 1980)

ურთიერთობითი ნდობა

ურთიერთობებში ნდობის შესახებ კვლევები საკმაოდ ახალია. მაგრამ ნდობა, როგორც ურთიერთობის ცვლადი არა არის ახალი. თვითგახსნასთან დაკავშირებული მრავალი კვლევა მიუთითებს ძლიერ კავშირზე თვითგახსნას და ურთიერთობით ნდობას შორის. მაგალითად, ნდობა განხილულია როგორც თვითგახსნის ცენტრალური კომპონენტი (Broder. 1987), და ეს ორი კონსტრუქტი დადებით კორელაციაშია (Steel, 1991). ნდობა აგრეთვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთობით კმაყოფილებასთან (Canary & Spitzberg, 1989. Fic. Jones, 1991; Larzelere and Huston, 1980), ურთიერთობაში კონფლიქტისა და მის გადაწყვეტასთან (Canary and Cupach, 1958; Canary and Spitzberg, 1989; Collins and Read, 1990; Pozertt; and Cate, 1986; Simpson, 1990), მიჯაჭვულობასთან (Simpson 19990), სიყვარულთან (Larselere and Huston 1980; Rempel და სხვა 1985) და ერთგულებასთან (Besker 1987; Ficman and Levinthal, 1991; Larselere and Huston, 1980)

არსებობს სამი ძირითადი მიდგომა ურთიერთობითი (დამოკიდებულებითი) ნდობის შესწავლისადმი. თითოეული მათგანი მიიჩნევს, რომ ნდობა ახლო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ თითოეული მიდგომა მიმართავს ამ პროცესის სრულიად განსხვავებულ ასპექტებს. ამ მიდგომების

განხილვაში უშუალო წვლილი შეტანილი აქვთ ჯონ ჰომლესს და ჯონ რემპელს.

1. პირველი მიდგომა მოიცავს მთელ რიგ თეორიებს, რომლებიც შეეხება ნდობის განვითარებას ურთიერთობების სტადიების მიხედვით.
2. მეორე არის ნდობის კომპონენტებისაგან შემდგარი მოდელი.
3. მესამე მოდელი, შეეხება ნდობის ზეგავლენას უკვე ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

1. ურთიერთობითი ნდობისადმი განვითარებითი მიდგომა.

ნდობისადმი განვითარებითი მიდგომა აღწერილია ინტიმურ ურთიერთობებთან კავშირში. რომანტიულ სიყვარულის ადრეულ სტადიებზე ნდობა შეიძლება იქნეს დაზარალებული თავად სიყვარულის მიერ. იმის ნაცვლად, რომ უარყოფის პოტენციურ ტკიველს პირირსპირ შეხედონ, ადამიანები უარყოფენ ნდობის დღის წესრიგში დაყენებას. **Lazlere and Huston (1980)**-მა აღმოაჩინეს, რომ ნდობას ტენდენცია აქვს დაკავშირებული იყოს სიყვარულის გრძნობასთან ურთიერთობის განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე **Dion და Dion (1976)** გვაცნობენ, რომ სიყვარული და ნდობის გრძნობა ჩნდება ერთად რომანტიული ურთიერთობების საწყის არასტაბილურ პერიოდში. ნდობა გახდება ცხადი მხოლოდ მაშინ, თუ გაჩნდება ასიმეტრიული მიჯაჭვეულობის გრძნობა; მაგალითად, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ ურთიერთობისას პარტნიორი კარგავს ინტერესს, მაშინ ჩნდება უნდობლობა პარტნიორის სიტყვების თუ ქცევების მიმართ. შემდეგ, ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იზრდება პარტნიორზე დამოკიდებულება, რის შემდეგაც უნდობლობის რისკი უფრო ცხადი ხდება. ეს არის შეფასების სტადიის მახასიათებელი.

ერიკსონის მიერ გამოყოფილ ადამიანის განვითარების ფსიქოსოციალურ სტადიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნდობას, ის ფსიქოსოციალური განვითარების პირველ ეტაპს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას თუ რა დიდი როლი უჭირავს ნდობას ადამიანის ცხოვრებაში.

ცნობილია ნდობის როლის სამი თეორიული შეხედულება.

პირველი აცხადებს, რომ სიყვარული და ნდობა წრიულად უერთიანდებიან (Holmes, 1991). თუ ნდობას არა აქვს ადგილი, მაშინ არ შეიძლება შედეგად მივიღოთ დამაკამყოფილებელი ურთიერთობა. **ალტერნატიული თეორიის** თანახმად ნდობა შესაძლოა აღწერილი იქნას როგორც დაურწმუნებლობის შემცირება (Kelley and Thibaut, 1978). რადგან ურთიერთობების დროს ძირითადი საკითხები გადაწყვეტილია, ჩნდება კითხვები მომავალი ურთიერთობების შესახებ. ამ შეხედულების თანახმად პარტნიორების ქცევები გამოვლენს იმ ნიშნებს, რომელიც ალბათ მომავალშიც გაგრძელდება. თუ პარტნიორის ქცევა წინასწარმეტყველებადია საწყის ეტაპზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იდვიდი ენდობა ამ პარტნიორს.

მესამე თეორიული თვალსაზრისი კი ურთიერთმიჯნაველობას უსვამს ხაზს. ამ თვალსაზრისის მიხედვით თითოეულმა პარტნიორმა უნდა დაარწმუნოს მეორე, რომ მათი გრძნობები ურთიერთსაპასუხო იქნება ურთიერთობის ყველა სტადიაზე, რათა განვითარდეს ნდობა. რომანტიული ურთიერთობების განვითარებაში ცხადია არსებობს უარყოფის რისკი. მაგრამ თუ პარტნიორი პასუხობს ინდივიდს გრძნობებს და თავისი მოქმედებებით ავლენს ერთგულების ადექვატურ დონეს, ეს ამცირებს დაურწმუნებლობას და რისკს იმით, რომ უზრუნველყოფს თანასწორობას რისკშიც და ურთიერთობაში ურთიერთჩართულობაშიც (Holes, 1991; Holmes and Rempel, 1989).

რიგი მეცნიერების (Larzelere and Huston, 1980) კვლევის შედეგები მხარს უჭერენ ნდობის განვითარებით მოდელს. ამ კვლევის მიხედვით ნდობა და სიყვარული ძლიერ კორელაციაში იყო, ისევე როგორც ნდობა და თვითგაცნობა (ინტიმურობა), კერძოდ კი უფრო დიდი ხნის დაქორწინებულ წყვილებთან. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნდობა უფრო ორმხრივია, ვიდრე სიყვარული ან ინტიმურობის დონე, და ნდობა იცვლებოდა ურთიერთობებისადმი ერთგულების დონესთან ერთად.

2. ურთიერთობითი ნდობის კომპონენტის მოდელი

რემპელი და სხვებმა (Rempel at all 1985) შემოგვთავაზეს ურთიერთობითი ნდობის კომპეტენტური თეორია. ეს მოდელი ეფუძნება შემდეგ ვარაუდებს:

- (1) ნდობა მომდინარეობს წარსული გამოცდილებიდან და ვითარდება ურთიერთობების პროცესში;
- (2) იმისათვის, რომ პარტნიორმა იქონიოს ნდობა, ის უნდა გამოიყურებოდეს როგორც სანდო
- (3) ნდობა შეიცავს პარტნიორის სიმყარეზე დაყრდნობის, ინტიმური გახსნის, მომავალი მიზნებისათვის აწმყოს მსხვერპლად მიტანის რისკს.
- (4) ნდობა ინტერპრეტირებულია, როგორც დარწმუნებულობა პარტნიორის ზრუნვაში.

აღწერილია ნდობის სამი კომპონენტი: წინასწარმეტყველებადობა, საიმედოობა და რწმენა.

წინასწარმეტყველებადობა- ყველაზე კონკრეტული და სპეციფიკური კომპონენეტია, ის უბრალოდ შეეხება პარტნიორის მხრიდან სპეციფიკური ქცევითი ნიმუშების განხორციელების მოლოდინს. თუ პარტნიორი აკმაყოფილებს ამ მოლოდინს, ინდივიდს შეუძლია იმოქმედოს თავისი პარტნიორის სტაბილურობის საკითხიდან ნდობის უფრო ძირეული საკითხებისაკენ. წინასწარმეტყველებადობაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორისა ურთიერთობაში გამოცდილების ოდენობა, მიმდინარე ქცევების თანამიმდევრულობა და სოციალური გარემოს სტაბილურობა (Rempel და სხვა 1985)

ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ნდობა გადადის სპეციფიკური აქტივობებიდან სხვა პიროვნებებზე, ეს კომპონენტი ცნობილია როგორც პარტნიორის საიმედოობა, დამოკიდებულებითი ნდობის მეორე კომპონენტი. **საიმედოობა** მჭიდროდ არის დაკავშირებული წინასწარმეტყველებადობასთან, ვინაიდან პარტნიორის ქცევის წინასწარმეტყველება ძალიან ინფორმაციულია.

მაგალითად, თუ პარტნიორი იქცევა სტაბილურად და პასუხობს ინდივიდის მოთხოვნებს, მაშინ მას(პარტნიორს) შეიძლება მიეწეროს საიმედოობა. ნდობის პირველი ორი კომპონენტი, წინასწარმეტყველება და საიმედოობა, ყურადღებას აქცევენ წარსულს. მაგრამ ნდობის საკითხი აგრეთვე შეეხება მომავალს, ყოველივე ამის შემდეგ, ჭეშმარიტი “ტესტი” ნდობისათვის შეიძლება ჩატარდეს როდესაც წარმოიქმნება ახალი სიტუაციები, რომელთათვისაც შესაძლოა მიუწვდომელი იყოს სათანადო გამოცდილება ან ცოდნა. ეს საჭიროებს რწმენას, ნდობის მესამე კომპონენტს.

რწმენა განხილულია ნდობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად. ადამიანს შეიძლება ახასიათებდეს ისეთი რამ, რაც შესაძლებლობას მისცემს მას მიიღოს შეუცნობელი მომავალი და წარმატებით გაართვას თავი . რწმენა დაკავშირებულია ორივესთან- წინასწარმეტყველებადობასთან და საიმედოობასთან იმით, რომ წარსული არის მნიშვნელოვანი ბაზა მომავალი სიტუაციების გენერალიზირებისათვის. თუმცა ამ სამ კომპონენტს შორის არის განსხვავებაც წინასწარმეტყველებადობა და სანდობა მნიშვნელოვანწილად ასახავენ პარტნიორს, მაშინ როდესაც რწმენა უკვე არის იმ ინდივიდის თვისება, ვინც ენდობა, და შესაძლოა აგრეთვე დაკავშირებული იყოსმის ისეთ პიროვნული ფაქტორებთან- როგორცაა თვითშეფასება და პიროვნული უსაფრთხოება.

3. შეფასებითი მოდელი

სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ახალ მოდელს წარმოადგენს შეფასებითი მოდელი, რომელიც ჩამოაყალიბეს Holmes and Rempel(1989) - Holmes(1991) რომელიც ფოკუსირებულია ჩამოყალიბებულ ურთიერთობაში ნდობის შედეგებზე. მაღალი, საშუალო და დაბალი ნდობის მქონე ადამიანები თავიანთ ურთიერთობებს განსხვავებულად აფასებენ და ამდენად მოვლენებს აძლევენ თავიანთ ინტერპრეტაციას. ნდობის მქონე პიროვნებებს ტენდენცია აქვთ შეაფასონ ურთიერთობაში მოვლენათა მსვლელობა უფრო დიდი დროის პერსპექტივაში(Holmes1991) მაღალი ნდობის მქონე ინდივიდები არ აფასებენ ცალკეულ მოვლენებს როგორც დიდი წონის მქონეს ურთიერთობების შედეგის

ან ხარისხის განსაზღვრისას. მათ მიერ პოზიტიური მოვლენები განხილულია როგორც ნდობის დასტური, ხოლო ცალკეული ნეგატიური მოვლენები არ არის დანახული როგორც ურთიერთობების საშიშროება.

ნდობაში დაურწმუნებელი ინდივიდები, (ისინი ვისაც ნდობის უფრო ზომიერი დონე აქვთ) განსხვავებულ მონაცემებს ავლენენ. რამდენადაც ისინი მოტივირებულნი არიან შეამცირონ დაურწმუნებლობა ეს ინდივიდები აქტიურად აფასებენ ურთიერთქმედების დროს მათი პარტნიორების მოტივებს და გულისხმიერების დონეს. ზომიერი ნდობის მქონე ადამიანები იმედოვნებენ, რომ მათი შეფასებები მოიტანს პოზიტიურ შედეგებს და შესაძლებლობას მისცემს ენდონ პარტნიორს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი მოლოდინები შეზღუდულია მათი მოწყვლადობის შიშით(Holmes 1991). პოზიტიური ქცევები განიხილება, ისეთი საკითხების მიმართ, როგორცაა სიყვარული და ზრუნვა. ნეგატიური ქცევები ასევე აღქმულია როგორც ძალიან მნიშვნელოვანი და დაკავშირებულია ურთიერთობების საერთო შეფასებასთან. რისკი მაქსიმალურია ნდობის ამ დონეზე, ვინაიდან ცალკეული ნეგატიური შემთხვევა ამცირებს ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას. ნდობასთან დაკავშირებული მოსაზრებების განხილვისასა შეიძლება დავასკვნათ;

1. კვლევები ადასტურებენ იმას, რომ როგორც გენერალიზირებული ასევე ურთიერთობითი ნდობის მაღალი დონეები განპირობებულია ინდივიდების ქცევების თანხვედრასთან ოპტიმალურ პირობებში (მაგ. როცა სხვები იქცევიან პატიოსნად); სავარაუდოა, რომ გენერალიზირებული ნდობის გარკვეული მინიმალური დონე “ ნორმალური “ სოციალური ცხოვრებისათვის და გარკვეული ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია.

უფრო მაღალი ნდობა დაკავშირებულია უკეთეს კომუნიკაციასთან, მრავალფეროვანი ურთიერთობებით მეტ კმაყოფილებასთან.

2. ურთიერთობითი ნდობა აუცილებელია ურთიერთობის განვითარების მრავალი ძირითადი მექანიზმებისათვის(მაგ. კომუნიკაცია და თვითგახსნა) თუმცა არსებობს იმის გარკვეული დასტური, რომ ურთიერთობითი ნდობა შესაძლოა

შეზღუდულია დამკვირვებლის დისპოზიციური მახასიათებლებით, ისევე როგორც მოქმედი პირის მსგავსებითა და სანდოობით

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ნდობა აუცილებელი პირობაა ჯგუფის არსებობისა და კონკრეტული ურთიერთობების განვითარებისათვის და ნდობის უფრო მაღალი დონეები დაკავშირებულია არა მხოლოდ მიმზიდველობასთან-როგორც ეს მოსალოდნელია, ასევე ადაპტაციასთან და ბედნიერებასთან. ოჯახი არის ის ორგანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბავშვის ადაპტაცია სოციალურ გარემოსთან და ასევე მისი ბედნიერება ოჯახურ გარემოში. ნდობა, როგორც გენერალიზებული ასევე ურთიერთობითი მნიშვნელოვანია ადამიანისათვის მისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. ნდობის ჩამოყალიბება ხდება ბავშვის დაბადების პირველი დღეებიდან და იგი ძირითადად ოჯახში მიმდინარეობს და განაპირობებს ოჯახური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს.

თვითგახსნა და მისი განმაპირობებელი ფაქტორები

1) თვითგახსნა

ოჯახის წევრები ოჯახში ურთიერთობებს გარკვეული სქემის მიხედვით წარმართავენ. ოჯახის ფუნქციონირებისათვის საჭირო პროცესებთან ერთად ოჯახში მნიშვნელოვანია თვითგახსნის პროცესი.

თვითგახსნასთან დაკავშირებული მრავალი კვლევა მიუთითებს ძლიერ კავშირზე თვითგახსნას და ურთიერთობით ნდობას შორის. მაგალითად, ნდობა განხილულია როგორც თვითგახსნის ცენტრალური კომპონენტი (Broder, 1987), და ეს ორი კონსტრუქტი პოზიტიურ კორელაციაშია (Steel, 1991).

თვითგახსნა წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც ხდება საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის სხვისათვის ვერბალური სახით მიწოდება (Jorard, 1964)

თვითგახსნის ოდენობა არ იზრდება სწორხაზოვნად ურთიერთობის ხანგრძლივობასთან ერთად. იგი უფრო დიდია ურთიერთობის საწყის ეტაპზე, თუმცა მისი სიღრმე და განხილული საკითხების მრავალფეროვნება მატულობს ურთიერთობის ხანგრძლივობასთან ერთად. საკითხი რომლის შესახება ერთხელ შესდგა გულწრფელი საუბარი, მუდამ ღიად რჩება, ისე რომ ადამიანები მოგვიანებით თავისუფლად უბრუნდებიან. ამის მიუხედავად, ნებისმიერ ურთიერთობაში რჩება დახურული, ტაბუ დადებული თემები, რომლის განხილვასაც ადამიანები შეგნებულად თავს არიდებენ.

თვით-გახსნის ძირითადი მახასიათებლები

თვით-გახსნა რთულ კონსტრუქტს წარმოადგენს. იგი შესდგება შინაარსისაგან, სიხშირისა და დროის მომენტისაგან.

შინაარსი

შინაარსი თვით-გახსნის ძირითად თვისებას წარმოადგენს და შეიძლება აღწერილი იქნას ორი განზომილების,- სიფართოვის და სიღრმის მიხედვით (Altman & Taylor, 1973). სიფართოვე ეხება იმ საკითხთა, რომელთა განხილვაც ხდება, და ამ ინფორმაციის რაოდენობას, ხოლო სიღრმე ინფორმაციის ინტიმურობას აღწერს. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზედაპირულ, ასევე ღრმა დონეზე, ზოგი საკითხი თავისთავად სხვებზე უფრო ინტიმურია. საკითხის განხილვიდან თავის არიდება საკითხის ინტიმურობის ნიშნად შეიძლება იქნეს მიჩნეული. გამოკვლევების შედეგების თანახმად, ადამიანები თავს არიდებენ საუბარს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის, პიროვნული თვისებების და ფიზიკური მახასიათებლების შესახებ და მეტი ენთუზიაზმით ლაპარაკობენ საკუთარ განწყობებზე, გემოვნებასა და სამუშაოზე (Jourard & Lasakow, 1958). Altman-მა და Taylor-მა (1973) ინფორმაციის ინტიმურობის შემდეგი მაჩვენებლები გამოყვეს:

1. **გენერალიზაცია.** ინფორმაცია ინტიმურად არის მიჩნეული, როცა მეტი შესაძლებლობაა, რომ მოხდეს თვისებების გენერალიზაცია.

2. უნიკალობა. თვისებები, რომლებიც ერთ პიროვნებას მეორისაგან განასხვავებენ უფრო ინტიმურად არის მიჩნეული.

3. ნაკლები ხილვადობა. ფარული ინფორმაცია, ე.ი. მოტივები, შეგრძნებები, ფანტაზიები, შფოთვა, თვით შეფასება და ემოციები უფრო ინტიმურად არის აღქმული, ვიდრე უფრო ადვილად დაკვირვებულ ინფორმაცია, ისეთი როგორცაა ქცევა და მოვლენები (Reis & Shaver, 1988; Morton, 1978)

4. აღქმული სისუსტე. ინფორმაცია პიროვნების სუსტი მხარეების შესახებ მიჩნეულია უფრო ინტიმურად, ვიდრე ინფორმაცია მის ძლიერ მხარეებზე.

5. სიხშირე

თვით-გახსნის სიხშირე სიტუაციური, ურთიერთობის და პიროვნული ფაქტორებით განისაზღვრება. ცხადია, რომ ინტიმური ინფორმაციის რაოდენობა შეზღუდულია. თვით-გახსნა უფრო მცირეა იმ პირებთან, რომლებსაც ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებთ, ვიდრე მათთან, ვისი მეგობრობა ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია.

დროის მომენტი

თვით-გახსნისათვის დროის შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნდობის აღქმასთან. საკუთარი თავის შესახებ ინტიმური ინფორმაციის მიწოდება მიუთითებს ურთიერთობისადმი ინტერესზე და ამგვარად მას სიმბოლური მნიშვნელობაც გააჩნია. Wortman, Adelman და Herman-მა (1976) შეამოწმეს ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ თვით-გახსნა გამსწავლს უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღმქმელი ამას ნდობის გამოვლინებად მიიჩნევს.

2. თვით-გახსნის ფაქტორები

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ თვით-გახსნაზე შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ურთიერთობის წევრებთან, ურთიერთობებთან ან მის კონტექსტთან.

დიადის წევრებთან დაკავშირებული ფაქტორები---სქესი, პიროვნული თვისებები, თვით-გახსნის მოთხოვნილება და გამსწავლის შინაგანი მდგომარეობა, ისევე,

როგორც ურთიერთობის მეორე მონაწილის სქესი, ფიზიკური მომხიბლაობა და თვით-გახსნის ხარისხი, ზეგავლენას ახდენს თვით-გახსნაზე.

ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტორები---- ორმხრიობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თვით-გახსნის ოდენობას. Jurard-I(1986) მიუთითებს, რომ ერთი ადამიანის თვითგახსნა იწვევს გახსნას ურთიერთობის პარტნიორში. მაგრამ თვით-გახსნა არასდროს არ არის აბსოლუტურად სიმეტრიული. წყვილიდან ერთი ყოველთვის მეორეზე მეტად იხსნება და ეს დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ რომელმა დაიწყო თვით-გახსნის პროცესი(Davis,1976).

ურთიერთობის ტიპი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თვით-გახსნას.ადამიანები უფრო მეტად ახლო და პიროვნულ ურთიერთობებში იხსნებიან. მეუღლე, შეყვარებული, მეგობარი და მშობელი უფრო ხშირად არიან თვით-გახსნის ობიექტები(Mikulincer & Nacshon,1991; Nezlek,1993). დაქორწინებულები ჩვეულებრივ უფრო იხსნებიან მეუღლესთან, და შესაბამისად ნაკლებად მეგობრებთან ან მშობლებთან(Jourard & Lasakow,1958). ეს ისევე და ისევე თვით-გახსნის მოთხოვნილების არსებობაზე მიუთითებს, მას შემდეგ, რაც ის დაკმაყოფილებულია ადამიანი აღარ ცდილობს გახსნას.

ნდობა არის თვითგახსნის საფუძველი, როგორც ურთიერთობის გაღრმავების და ბედნიერების საწინდარი. ოჯახი არის სწორედ ასეთი ადგილი, სადაც შეგიძლია იყო მაქსიმალურად გულდია და გახსნილი, რადგანაც აქ არიან ადამიანები ვისაც ენდობი. ოჯახური ურთიერთობების დროს ადამიანი თითქოს ჩამოიხსნის სოციალურ ნიღბებს, რომელსაც ის ატარებს მაშინ როდესაც ასრულებს გარკვეულ როლს საზოგადოებაში, პოლიტიკურ თუ პროფესიონალურ სფეროში. ოჯახში პიროვნება განიცდის თვითმყოფადობას და ინდივიდუალობას. ასე რომ ოჯახური ურთიერთობები სხვა ადამიანური ურთიერთობებისაგან განსხვავებით ასრულებს სრულიად განსხვავებულ ფუნქციებს. ამ ფუნქციებთან მიახლოებულად შეიძლება ჩაითვალოს მეგობრობა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მეგობრობა და სიყვარული ასრულებს მნიშვნელოვან ფსიქოთერაპიულ ფუნქციას, რომლის არსს დაცულობა, კომფორტი, მზრუნველობა წარმოადგენს. თუ ოჯახი არ აძლევს

პიროვნებას ემოციურ და ფსიქიკურ თანადგომას, მაშინ მეუღლეები გრძნობენ გაუცხოებას, და ოჯახური თანაცხოვრება კარგავს თავის აზრს, მნიშვნელობას და ღირებულებას პიროვნებისათვის.

თვითგახსნა ადამიანისათვის ძალიან რთული პროცესია, რომლის დროსაც მისთვის მნიშვნელოვან ემოციას ის უზიარებს სხვას და ამავე დროს ის დარწმუნებულია, რომ ის სხვა მას მიიღებს ჯეროვნად და შესაბამისად. ოჯახი ის გარემოა სადაც ურთიერთობები განსაზღვრულია გარკვეული წესებით, მაგრამ თითოეული ოჯახის წევრისათვის ყოველთვის არის რომელიმე განსაკუთრებული ოჯახის სხვა წევრი, რომელთანაც ის უფრო მეტად იხსნება.

თვითგახსნის გამოკვლევები გვიჩვენებენ რომ ადამიანებს უჭირთ საკუთარ თავთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, თავიანთ პრობლემებზე საუბარი სხვებთან, ოჯახში წევრები მყარად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და შესაბამისად გახსნილობა ოჯახის წევრებს შორის მაღალი უნდა იყოს.

II ნაწილი - ემპირიული ნაწილი

მე-3 თავი

თავი 3-ში წარმოდგენილია დასმული საკითხები და მათი შესწავლის მეთოდოლოგია.

თავი მე-4-ში წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი.

3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1 საკითხის დასმა:

ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან დელფოსის მისნები ადამიანს მოუწოდებდნენ შეეცნო საკუთარი თავი. ამ იდეის ყველაზე თანმიმდევრულ გამტარებლად მიჩნეულია სოკრატე, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტებისა და ბედნიერების გზა სწორედ საკუთარ თავის შეცნობაზე გადის (Robins & John, 1997).

მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი სხვა ადამიანებს, მათ მიერ პიროვნების აღქმას და პიროვნების მიერ ამ სხვისი აღქმის შეცნობას უკავია.

მე-კონცეფციის ჩამოყალიბება უწყვეტი პროცესია, თუმცა მას საფუძვლები ბავშვობასა და მოზარდობაში ეყრება. ოჯახის წევრები წარმოადგენენ იმ “მნიშვნელოვან სხვებს” რომელთა აღქმის რეფლექსია ახდენს მე-ხატის ფორმირებას.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის თანახმად ადამიანების რეაქცია სხვების ქმედებებზე გაშუალებულია იმ ინტერპრეტაციით, რომელსაც აღმქმელი სხვის ქცევას აძლევს. ამდენად რეაქცია მნიშვნელოვანწილად ემყარება სიმბოლოთა ინტერპრეტაციის პროცესს. (Cooley, 1912 Mead 1934) შესაბამისად ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გაზიარებული

ცოდნის არსებობა, რომელსაც ემყარება ის სოციალური როლები (მეუღლე, შვილი, მშობელი შემომტანი და ა.შ.) რომელსაც ადამიანები ოჯახში ასრულებენ.

ოჯახი არის ის უსაფრთხო გარემო, სადაც ადამიანი ახდენს თავის ქცევების მოსინჯვას, გრძნობის, აზრების, მოლოდინების, შიშების და იმედების გაზიარებას და სადაც იგი იღებს შეუღლამაზებელ და ღია უკუკავშირს საკუთარ მოქმედებებზე. ფაქტიურად ოჯახი წარმოადგენს ლაბორატორიას, სადაც ხდება სოციალური ქცევების დასწავლა, სოციალური კომპეტენციის შექმნა.

ოჯახი მოქმედებს, როგორც სისტემა, ერთიანი ორგანიზმი. ოჯახის ნებისმიერ წევრში მიმდინარე რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილება ყველა სხვა წევრზეც პოულობს გარკვეულ ასახვას.

ნდობა პიროვნების ფორმირების ქვაკუთხედს და ნორმალური ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს (Rotter 1967,1980).

გენერალიზებული ნდობა, ანუ რწმენა იმისა რომ ადამიანების დიდი ნაწილი ნდობას იმსახურებს წარმოადგენს პიროვნულ მახასიათებელს, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ინტერპერსონალურ აღქმასა და ურთიერთობებს. ნდობის ჩამოყალიბება ოჯახში ხდება. იგი იწყება ჩვილობის ასაკში (Erikson,1963).

ინტერპერსონალური აღქმის ერთერთ თავისებურებას “დადებითი მიკერძოება” ადამიანების დადებითად შეფასების ტენდენცია წარმოადგენს (Sears, 1983). მიკერძოება განსაკუთრებით ვლინდება საკუთარი თავის პოზიტიურად აღქმის ტენდენციაში (Taylor & Brown, 1988 ციტირებულია Robins & John, 1997 მიხედვით). ეს მიკერძოება სხვადასხვა ოდენობით ოჯახის წევრების მიმართაც მოქმედებს.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ინტერპერსონალურ აღქმის შესატყვისობის ოდენობისა და მისი განსმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა.

კერძოდ შემდეგი საკითხების გარკვევა:

1. რამდენად შეესატყვისება პიროვნების თვით-აღქმა ოჯახის წევრების მიერ მის აღქმას (თვითწარდგენის სიზუსტე -A მახასიათებელი).
2. რამდენად შეესატყვისება პიროვნების თვით-აღქმას მისი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამენ მას ოჯახის წევრები. (აღქმის მიკერძოება -B მახასიათებელი)
3. რამდენად ზუსტია პიროვნების წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამენ მას ოჯახის წევრები. (აღქმის სიზუსტე -C მახასიათებელი)
4. რა ზეგავლენა აქვს A, B და C მახასიათებლებზე ისეთ ურთიერთდამოკიდებულ ცვლადებს, როგორცაა როლი (დედა, მამა, უფროსი შვილი, უმცროსი შვილი), ურთიერთობის ტიპი (მშობლები, შვილები, მშობლები-შვილები) აღმქმელის ასაკი და სქესი.
5. ოჯახის რომელი წევრების მიმართ არის უფრო მეტად გამოკვეთილი “დადებით მიკერძოება” - ადამიანებისათვის დადებითი თვისებების მიწერა

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გარდა გამოკვლევა მიზნად ისახავდა ორი ჰიპოთეზის შემოწმებას:

1. გენერალიზებული ნდობა, როგორც პიროვნული მახასიათებელი უშვებს უფრო დიდ განსვლას თვით-აღქმასა და არეკლილ აღქმას შორის (B მახასიათებელი). ე.ი. მაღალი ნდობის ადამიანთა თვით-აღქმა და წარმოდგენა სხვის მიერ მათ აღქმაზე უფრო განსხვავებული შეიძლება იყოს, ვიდრე ეს დაბალი ნდობის მქონე პიროვნებებთან არის.
2. თვით-გახსნა განაპირობებს უფრო მეტ შესატყვისობას თვით-აღქმასა და სხვის მიერ პიროვნებას აღქმას შორის (A მახასიათებელი).

3. 2 გამოკვლევის მიმდინარეობა და რესპონდენტები

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები არის ნაწილი გამოკვლევის “ ოჯახები სხვადასხვა კულტურებში ღირებულებები, კომუნიკაცია, ინტერპერსონალური აღქმა

და ჯანმრთელობა” გახორციელებული ლეიდენის უნივერსიტეტის, ლონდონის სიტი უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ INTAS-ის მხარდაჭერით

ოჯახების თავისებურებების დადგენისა და ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლის მიზნით ჩატარდა ოჯახების გამოკვლევა. გამოკითხვა ტარდებოდა რესპონდენტთა სახლებში. მკვლევართა სამ-კაციანი ჯგუფი ორი საღამოს განმავლობაში ატარებდა (მკვლევარები ოჯახებში მუშაობდნენ 10 საათი) კვლევას ოჯახებში.

გამოკითხვა კვლევისათვის სპეციალურად შედგენილი ანკეტისა და ასევე სტანდარტიზებული ინსტრუმენტების მეშვეობით ხორციელდებოდა. კვლევაში გამოყენებული იყო სხვადასხვა ემპირიული მეთოდი: გაკითხვა კითხვარის მეშვეობით, პროექციული ტესტი, ჯგუფური დისკუსია და თამაში. ოჯახის ყოველი წევრი სხვა წევრებისაგან დამოუკიდებლად მკვლევარის თანდასწრებით ავსებდა კვლევისათვის სპეციალურად შედგენილ კითხვარს. ოჯახი ერთად მონაწილეობდა დისკუსიასა და თამაშში, რაც ვიდეოფორზე ფიქსირდებოდა.

გამოკითხვა ჩატარდა ორ ეტაპად სულ გამოკითხული იყო 55 ოჯახი (პირველი ეტაპის დროს გამოკითხულ იქნა 24, ხოლო მეორე ეტაპის დროს 31 ოჯახი). გამოკვლევისათვის ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა ნუკლეარული ოჯახები, ანუ ოჯახები, რომელიც ოთხი წევრისგან-დედის, მამის და ორი შვილისაგან შედგებოდა.

გამოკითხვის მეორე ეტაპზე დამატებული იყო მთელი რიგი ინსტრუმენტებისა. ქვემოთ განხილული მონაცემების ძირითადი ნაწილი (აღქმის შესატყვისობა, თვით-გახსნა ეყრდობა ორივე ეტაპის შედეგებს, ხოლო ნდობა მხოლოდ მეორე ეტაპის შედეგებს).

გამოკითხულ დედების ასაკი ცვალებადობდა 32-დან 60 წლამდე ($M=44.0$; $SD=6.5$), მამების ასაკი ცვალებადობდა 37-დან 63 წლამდე ($M=48.0$; $SD=6.7$), უფროსი შვილის ასაკი ცვალებადობდა 10-დან 24 წლამდე ($M=19.4$; $SD=3.8$).

უმცროსი შვილის ასაკი ცვალებადობდა 9-დან 23 წლამდე ($M=15$; $SD=3.9$) გამოკითხულ შვილების 51.2%-ს ბიჭები, ხოლო 48.2%-ს გოგოები წარმოადგენდნენ.

მშობლების განათლების დონე იყო მაღალი- დედეების 87.1%, და მამების 80.6% ქონდა უმაღლესი განათლება.

გამოკითხვა ჩატარდა თბილისში. შერჩეულ ოჯახებში ყველა წევილს ჰქონდა სულ მცირე ათი წლის ერთად ცხოვრების გამოცდილება.

3.3 ინსტრუმენტები

მოცემული კვლევისათვის შეიქმნა მშობლების და შვილების კითხვარები.

სპეციალურად შედგენილი 2 კითხვარი ორიგინალურ კითხვებთან ერთად შეიცავდნენ მთელ რიგ სტანდარტულ ინსტრუმენტებს, რომლებიც ეხება პიროვნებისა და ინტერპერსონალური ურთოერთობების გაანალიზებას.

კითხვარების გარდა გამოყენებული იყო პროექციული ტესტი, ჯგუფური დისკუსია და ჯგუფური თამაში

ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებს, რომელთა ანალიზსაც ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი. ესენია:

1. სემანტიკური დიფერენციალის ჰენტშელის და ჰიკელის მიერ ოჯახის კვლევისათვის მოდიფიცირებული ვარიანტი (*Hentschel & Hickel, 1984*).
2. მოცემული კვლევისათვის მოდიფიცირებული თვითგახსნის კითხვარი (*Jourard, 1971*)
3. ინტერპერსონალური ორიენტაციის სკალის კითხვა, რომელიც ზომავს გენერალიზებულ ნდობას (*Holmes & Rempel, 1989*)

სემანტიკური დიფერენციალი.

ოჯახის ყოველ წევრს მოეთხოვებოდა აღეწერა საკუთარი თავი (თვით-აღქმა), ოჯახის ყოველი წევრი (რეალური სხვა) და ის, თუ მათი აზრით, როგორ აღიქვამდა მათ ოჯახის ყოველი წევრი (არეკლილი სხვა). დავალების

შესასრულებლად მათ ეძლეოდათ ჩვენ კვლევაში გამოყენებული სემანტიკური დიფერენციალის ჰენტშელის და ჰიკელის მიერ ოჯახის კვლევისათვის მოდიფიცირებული ვარიანტი (Hentschel & Hickel, 1984). რომელიც შედგება 51 ბიპოლარული შვიდსაფეხურიანი შკალისაგან. იგი ეყრდნობა სემანტიკურ დიფერენციალის ორიგინალურ ვარიანტს (Osgood, Tannenbaum & Suci, 1957). სკალა საქართველოში არის ადაპტირებული (სუმბაძე, 1991-1993). ოჯახის თითოეული წევრი ამ 51 წევრილ მახასიათებლის მიხედვით (მაგ. ოპტიმისტი-პესიმისტი; ძლიერ-სუსტი, გულუხვი-წვრილმანი, დინჯი-სწრაფი) აკეთებდა 7 შეფასებას.

თვითგახსნის კითხვარი

ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გამოკვლევაში იზომებოდა პიროვნებაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პარამეტრით, თვით-გახსნის ოდენობით.

თვით-გახსნა პროცესია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი საკუთარი ნებით, ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია სხვისთვის ხელმისაწვდომს ხდის (Jourard, 1964).

ოჯახის წევრების თვითგახსნა ერთმანეთთან ნაკვლევით იყო თვითგახსნის მოდიფიცირებული კითხვარით მშობლებისა და შვილებისათვის (Jourard, 1964, 1971). ცდის პირს სამქულიანი სკალის მეშვეობით უნდა შეეფასებინა, თუ რამდენად ხშირად უსაუბრია (1- საერთოდ არ მისაუბრია, 2- ზოგადად მისაუბრია, 3- სრულად და დეტალურად მისაუბრია) ოჯახის წევრებთან, ქალ მეგობართან, მამაკაც მეგობართან და სხვასთან კითხვარში დასახელებულ საკითხებზე.

მშობლების თვითგახსნის კითხვარი შეიცავდა შემდეგ საკითხებს: პოლიტიკური შეხედულებებს, სატელევიზიო პროგრამებს, საკითხავად სასურველ ლიტერატურას, ტანსაცმელს, თავისუფალი დროის გატარებას, სასიცოცხლო

მისწრაფებებსა და მიზნებს, სამსახურეობრივი პრობლემებს, რა მოსწონთ ყველაზე მეტად სამსახურში, რას ფიქრობენ თანამშრომლებზე, რის სცხვენიათ ან რით ამაცობენ, რას ფიქრობენ თავიანთ ოჯახზე, რისი ემინიათ ცხოვრებაში, რა იწვევს მათში სევდას და სიხარულს, ბავშვობის მოგონებებზე, საკუთარ სიზმრებზე, აგრეთვე, მათი აზრით სხვების თვალში როგორ გამოიყურებიან. სულ 18 საკითხი.

შვილების თვითგახსნის კითხვარი აერთიანებდა შემდეგ საკითხებს: რა მოსწონთ გოგონებსა და ბიჭებს, პოლიტიკურ ლიდერებს, საყვარელ წიგნებს, სატელევიზიო პროგრამებს, თავისუფალი დროის გატარებას, სიზმრებს, შიშებს, რა მიაჩნიათ სკოლაში ამჟამად ყველაზე ძნელ საგნად, რა მოსწონთ სკოლაში, პრობლემებს სკოლაში, აგრეთვე რას ფიქრობენ თანაკლასელებზე, ან თანაკლასელები რას ფიქრობენ მათზე, რისი მიღწევა სურთ და როგორ გრძნობენ თავს სახლში. სულ 15 საკითხი.

გენერალიზებული ნდობა

ნდობის საზომად გამოყენებული იყო ნდობის სტანდარტული ინსტრუმენტი ეს იყო დათანხმების ან არ დათანხმების ინტერპერსონალური ორიენტაციის სკალიდან კითხვა “ვფიქრობ ადამიანთა უმრავლესობა ნდობას იმსახურებს”

4. შედეგების ანალიზი

შედეგები დამუშავებული იქნა სოციალურ მეცნიერებებისათვის განკუთვნილი სტატისტიკური პაკეტის (SPSS) მეშვეობით.

აღქმის შესატყვისობის საზომად გამოყენებული იყო განსვლის აბსოლუტური მნიშვნელობები:

- 1. სამიზნე პიროვნების თვით-აღქმასა და ოჯახის წევრების მიერ მის აღქმას შორის (თვითწარდგენის სიზუსტე - მახასიათებელი)*
- 2. სამიზნე პიროვნების თვით-აღქმასა და მის წარმოდგენას შორის თუ ოჯახის სხვა წევრები როგორ აღიქვამენ მას (აღქმის მიკერძოება -B მახასიათებელი)*
- 3. ოჯახის წევრების მიერ სამიზნე პიროვნების აღქმასა და სამიზნე პიროვნების წარმოდგენას შორის თუ როგორ აღიქვამენ მას ოჯახის წევრები (აღქმის სიზუსტე -ჩ მახასიათებელი)*

4.1 ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის ასპექტები

მონაცემები საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ საკუთარი თვით-წარდგენის სიზუსტეზე (A), აღქმის მიკერძოებაზე (B), და აღქმის სიზუსტეზე (C).


თვით-წარდგენის სიზუსტე (A) იგულისხმება განსვლა საკუთარი თავის აღქმასა და სხვის მიერ პიროვნების აღქმას შორის (მე-რეალური სხვა), გმონგრეშებულ იქნა სამი მახვენებელი ოჯახის ყოველი წევრისათვის, სულ თორმეტი მახვენებელი. მაგ. დედის შემთხვევაში გამოთვლილ იქნა განსხვავება დედის თვით-აღქმასა და მამის, უფროსი შვილის და უმცროსი შვილის მიერ მის აღქმებს შორის ცალცალკე.

აღქმის მიკერძოება (B)- იგულისხმება განსვლა თვით-აღქმასა და რეფლექსურ სხვას შორის (მე-არეკლილი სხვა), ანუ იმას შორის, თუ როგორ აღიქვამს რესპონდენტი საკუთარ თავს და მისი აზრით, როგორ აღიქვავს მას ოჯახის ყოველი ცალკეული წევრი. ამ შემთხვევაშიც მივიღეთ სამი მახვენებელი ოჯახის ყოველი წევრისათვის, სულ თორმეტი მახვენებელი. მაგ. დედის შემთხვევაში გამოთვლილ იქნა განსხვავება დედის მიერ საკუთარი თავის აღქმასა და მისი აზრით მამის (მეუღლის), უფროსი შვილის და უმცროსი შვილის მიერ მის აღქმებს შორის.

აღქმის სიზუსტე (C)- განსვლა არეკლილ და რეალურ აღქმას შორის. (არეკლილი სხვა-რეალური სხვა), ანუ იმას შორის, თუ რესპონდენტის აზრით, როგორ აღიქვავს მას ოჯახის ყოველი წევრი და რეალურად, როგორ აღიქვავს მას ოჯახის ყოველი წევრი. აქაც მიღებული იქნა სამი მახვენებელი ოჯახის ყოველი წევრისათვის, სულ თორმეტი მახვენებელი. მაგ. დედის შემთხვევაში გამოთვლილ იქნა განსხვავება დედის წარმოდგენასა იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამს მას მამა (მეუღლე), უფროსი და უმცროსი შვილი და მამის, უფროსი და უმცროსი შვილის მიერ დედის აღქმას შორის.

ოჯახის წევრების აღქმის შესაბამისობა

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე დიდი განსვლა დაფიქსირდა თვით-წარდგენის სიზუსტეში ანუ პიროვნების მიერ საკუთარი თავის აღქმასა და ოჯახის სხვა წევრების მიერ მის აღქმას შორის (იხ.ნახ.1);



ნახაზი 1. ოჯახის წევრების ალქმის შესაბამისობა

ნახაზი 1-დან ჩანს, რომ განსვლა ყველაზე დიდია A მაჩვენებელში, თვით-წარდგენის სიზუსტეში ანუ პიროვნების მიერ თვით-აღქმასა და სხვის მიერ მის აღქმას შორის; ყველაზე მცირე კი B მაჩვენებელში - ალქმის მიკერძობაშია, ანუ განსვლაში თვით-აღქმასა და პიროვნების მიერ იმის აღქმას შორის, თუ ოჯახის წევრი როგორ აფასებს მას. ამ მონაცემებს შორის არის შესაბამისად C მაჩვენებელი, ალქმის სიზუსტე ანუ განსვლა იმას შორის თუ პიროვნების აზრით, როგორ აღიქვამს მას ოჯახის ყოველი წევრი და რეალურად როგორ აღიქვამს მას იგივე წევრი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რესპონდენტების მიერ საკუთარი თავის აღქმა და ოჯახის წევრების მიერ მათ რეალურ აღქმას შორის განსვლა შედარებით დიდია, მაშინ როდესაც რესპონდენტები საკმაოდ მიკერძობულნი არიან და მიიჩნევენ, რომ ოჯახის წევრები მათ ისევე აღიქვამენ, როგორც ისინი აღიქვამენ საკუთარ თავს.

ეს სამი მაჩვენებელი ერთმანეთთან დაკავშირებულია და კორელაცია მათ შორის საკმაოდ მაღალია ($p < .01$), როგორც ეს ცხრილ 1-დან ჩანს.

ცხრილი 1. კორელაცია ალქმის შესატყვისობის მაჩვენებლებს შორის

	A	B	C
თვით-წარდგენის სიზუსტე A		.611 $p < .01$.533 $p < .01$

მიკერძოება	B			.348 p<.01
აღქმის სიზუსტე	C			

აღქმის შესატყვისობა და ურთიერთობის ტიპებისა და რაოდენობის მიხედვით


ნუკლეარულ ოჯახის პირობებში ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ სამი ტიპის ურთიერთობაზე(ანუ ოჯახური ქვესისტემაზე). ეს არის მშობლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის და შვილებს შორის. აქედან ორი (მშობლებს შორის და შვილებს შორის) მეტ-ნაკლებად თანასწორია, ხოლო ერთი – მშობლებსა და შვილებს შორის იერარქიული.

ცხრილი 2. აღქმის შესატყვისობა ურთიერთობების ტიპების (ოჯახური ქვესისტემების) მიხედვით


ურთიერთობის ტიპი	თვით- წარდგინების სიზუსტე		აღქმის მიკერძოება		აღქმის სიზუსტე	
	A		B		C	
	<i>M</i>	<i>SD</i>	<i>M</i>	<i>SD</i>	<i>M</i>	<i>SD</i>
მშობლების ერთმანეთთან	1.34	.60	1.10	.62	1.33	.67
მშობლები და შვილები	1.40	.62	1.13	.62	1.37	.62
შვილების ერთმანეთთან	1.43	.66	1.18	.63	1.33	.63
სულ	1.39	.63	1.14	.62	1.34	.64

ცხრილი 2 საშუალებას გვაძლევს ზოგადად მიმოვიხილოთ სამივე მაჩვენებელი ურთიერთობის ტიპების - მშობლების, შვილების და მშობლებისა და შვილების


ურთიერთობების პერსპექტივიდან. ურთიერთობებს შორის არცერთი განსხვავება არცერთ მაჩვენებელში არ არის სტატისტიკურად სანდო, თუმცა მაინც საინტერესოდ გვეჩვენება გამოკვეთილი ტენდენციების განხილვა. ცხრილიდან ჩანს, რომ განსვლა A და B შეფასებებში ყველაზე მცირე მშობლების მიერ ერთმანეთის, ხოლო ყველაზე დიდი შვილების მიერ ერთმანეთის აღქმაშია. აღქმის სიზუსტე კი ყველაზე ნაკლებია მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობებში.



ნახაზი 2. A- თვითწარღვევის სიზუსტე (განსვლა საკუთარი თავის აღქმასა და სხვის მიერ პიროვნების აღქმას შორის (მე-რეალური სხვა) ურთიერთობების ტიპების მიხედვით



ნახაზი 3. B- მიკერძოებული აღქმა (განსვლა თვით-აღქმასა და რეფლექსურ სხვას შორის (მე-არეკლილი სხვა) ურთიერთობების ტიპების მიხედვით



ნახაზი 4. C- ალქმის სიზუსტე(განსვლა არეკლილ და რეალურ ალქმას შორის. (არეკლილი სხვა-რეალური სხვა) ურთიერთობის ტიპების მიხედვით ცხრილ 2-ში წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობა განსვლებს 12 ურთიერთობაში. ცხრილებში 3-5 წარმოდგენილია განსვლები როლური ურთიერთობების მიხედვით. ანსხვავება აღმოჩნდა 12 სახის ურთიერთობაში, რომელიც მოცემულია მე-3 ცხრილში. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე ზუსტია დედის თვითწარდგენა მამასთან (=1.28), ხოლო ყველაზე არაზუსტი - უმცროსი შვილის დედასთან (=1.51) და უფროს და-ძმასთან (= 1.51) თვითწარდგენა.

ცხრილი 3. თვითწარდგენის სიზუსტის რანჟირება როლური ურთიერთობების მიხედვით

			შ
1	განსვლა დედის თვითაღქმასა და მამის მიერ მის ალქმას შორის	1.28	.58
2	განსვლა მამის თვით-აღქმასა და უფროსი შვილის მიერ მამის ალქმას შორის	1.32	.59
3	განსვლა დედის თვითაღქმასა და უფროსი შვილის მიერ მის ალქმას შორის	1.34	.54
4	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმას და უმცროსი შვილის მიერ უფროსი შვილის ალქმას შორის	1.35	.60

5	განსვლა დედის თვითაღქმასა და უმცროსი შვილის მიერ დედის აღქმას შორის	1.37	.62
6	განსვლა მამის თვით-აღქმასა და დედის მიერ მამის აღქმას შორის	1.39	.62
7	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმას და დედის მიერ უფროსი შვილის აღქმას შორის	1.39	.61
8	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმას და მამის მიერ უფროსი შვილის აღქმას შორის	1.39	.57
9	განსვლა მამის თვით-აღქმასა და უმცროსი შვილის მიერ მამის აღქმას შორის	1.41	.60
10	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და მამის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის	1.47	.71
11	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და დედის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის	1.51	.63
12	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და უფროსი შვილის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის	1.51	.72

ცხრილი 4. აღქმის მიკერძოების რანჟირება როლური ურთიერთობების მიხედვით

			შ
1	განსვლა დედის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს უმცროსი შვილი	0.08	.55
2	განსვლა მამის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს მას უფროსი შვილი	0.96	.55
3	განსვლა მამის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ დედა აღიქვამს	1.02	.61

4	განსვლა დედის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს მას უფროსი შვილი	1.09	.56
5	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს დედა	1.13	.55
6	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს მამა	1.13	.51
7	განსვლა უფროსი შვილის თვით-აღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს უმცროსი შვილი	1.15	.57
8	განსვლა დედის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ მამა აღიქვამს	1.18	.62
9	განსვლა მამის თვითაღქმასა და იმას შორის თუ როგორ გონია, რომ აღიქვამს უმცროსი შვილი	1.19	.61
10	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და იმას, შორის თუ როგორ გონია, რომ მას აღიქვამს უფროსი შვილი	1.21	.69
11	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და იმას, შორის თუ როგორ გონია, რომ მას აღიქვამს მამა	1.23	.70
12	განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმას და იმას, შორის თუ როგორ გონია, რომ მას აღიქვამს დედა	1.28	.74

ამრიგად, როლების მიხედვით ყველაზე მიკერძოებულია აღქმა უმცროსი შვილის დედასთან მიმართებაში ($t=1.28$), რაც იმას ნიშნავს, რომ დიდია განსვლა უმცროსი შვილის თვით-აღქმასა და იმას შორის, თუ მისი აზრით როგორ აღიქვამს მას დედა. ყველაზე ნაკლებად მიკერძოებულია განსვლა დედის თვით-აღქმასა და მის წარმოდგენას შორის იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამს მას უმცროსი შვილი ($t=0.08$).

ცხრილი 5. აღქმის სიზუსტე როლების მიხედვით

			შ
1	განსვლა იმას შორის თუ მამას როგორ გონია, რომ უფროსი შვილი აღიქვამს მას და უფროსი შვილის მიერ მამის აღქმას შორის	1.29	.50
2	განსვლა იმას შორის თუ დედას როგორ გონია, რომ უფროსი შვილი აღიქვამს მას და უფროსი შვილის მიერ დედის აღქმას შორის	1.32	.60
3	განსვლა იმას შორის თუ მამა როგორ გონია, რომ დედა აღიქვამს მას და დედის მიერ მამის აღქმას შორის	1.32	.66
4	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უმცროსი შვილის, რომ უფროსი შვილი აღიქვამს მას და უფროსი შვილის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის	1.32	.56
5	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უფროსი შვილის, რომ უმცროსი შვილი აღიქვამს მას და უმცროსი შვილის მიერ უფროსი შვილის აღქმას შორის	1.33	.70
6	განსვლა იმას შორის თუ დედას როგორ გონია, რომ მამა აღიქვამს მას და მამის მიერ დედის აღქმას შორის	1.35	.69
7	განსვლა იმას შორის თუ დედას როგორ გონია, რომ უმცროსი შვილი აღიქვამს მას და უმცროსი შვილის მიერ დედის აღქმას შორის	1.36	.67
8	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უფროსი შვილის, რომ მამა აღიქვამს მას და მამის მიერ უფროსი შვილის აღქმას შორის	1.36	.60
9	განსვლა იმას შორის თუ მამას როგორ გონია, რომ უმცროსი შვილი აღიქვამს მას და უმცროსი შვილის მიერ მამის აღქმას შორის	1.37	.61
10	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უმცროსი	1.40	.68

	შვილის, რომ მამა აღიქვამს მას და მამის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის		
11	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უმცროს შვილის, რომ დედა აღიქვამს მას და დედის მიერ უმცროსი შვილის აღქმას შორის	1.41	.61
12	განსვლა იმას შორის თუ როგორ გონია უფროს შვილის, რომ დედა აღიქვამს მას და დედის მიერ უფროსი შვილის აღქმას შორის	1.43	.67

ცხრილი 5-დან ჩანს, რომ ყველაზე ზუსტია მამის აღქმა უფროს შვილთან მიმართებაში ($M=1.29$), ანუ მცირეა განსვლა იმას შორის თუ მამას როგორ გონია, რომ უფროსი შვილი აღიქვამს მას და უფროსი შვილის მიერ მამის რეალურ აღქმას შორის. ხოლო ყველაზე ნაკლებად ზუსტია უფროსი შვილის აღქმა დედსთან მიმართებაში ($M=1.43$), ანუ განსვლა დედის მიერ უფროსი შვილის რეალურ აღქმასა და იმას შორის თუ როგორ ჰგონია უფროს შვილს, რომ დედა აღიქვამს მას და

აღქმის შესატყვისობა, შემფასებლის ასაკი და სქესი

ურთიერთობის ტიპები და სახეები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ურთიერთობის მონაწილეთა ასაკთან.

აღქმის შესატყვისობაზე აღმქმელის ასაკის ზეგავლენის დადგენის მიზნით შვილები ორ ასაკობრივ ჯგუფში გავაერთიანეთ: 9-17 და 18 - 27 წლის. მესამე ასაკობრივ ჯგუფს მშობლები წამოადგენდნენ 32-63.

შედეგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ აღქმის სამივე ტიპთან (თვითწარდგენის სიზუსტე, აღქმის მიკერძოებულობა, აღქმის სიზუსტე) ფიქსირდება ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება.

დისპერსიული ანალიზის შედეგების მიხედვით, რომელიც ცხრილი 6-შია წარმოდგენილი, ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსვლა აღქმის შესატყვისობის სამივე მაჩვენებელთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 6 აღქმა და ასაკი

		9-17		18-24		32-63		F	P	განსხვავება ჯგუფებს შორის
		<i>M</i>	<i>SD</i>	<i>M</i>	<i>SD</i>	<i>M</i>	<i>SD</i>			
A	თვით- წარდგენის სიზუსტე	1.54	.52	1.30	.58	1.35	.50	3.59	<.05	9-17>18-27
B	აღქმის მიკერძოება	1.31	.63	1.03	.52	1.08	.51	4.47	<.00	9-17>18-27; 9-17>32
C	აღქმის სიზუსტე	1.49	.46	1.22	.53	1.33	.50	4.30	<.05	9-17>18-27
	სულ	1.45	.44	1.18	.50	1.26	.46			

M- საშუალო მაჩვენებელი,

SD- სტანდარტული გადახრა

17 წლამდე ასაკის რესპონდენტებთან განსვლა თვითწარდგენისა (M=1.54) და აღქმის სიზუსტის მაჩვენებლებში უფრო დიდია (M=1.49) 17-27 წლის რესპონდენტების განსვლაზე (თვითწარდგენა M=1.30; აღქმის სიზუსტე M=1.22). ასევე 17 წლამდე ასაკის რესპონდენტების აღქმა უფრო მიკერძოებულია (M=1.31), ვიდრე 17-27 წლის (M=1.03) ან 32-63 (M=1.08) წლის რესპონდენტების.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოჯახის წევრების ურთიერთაღქმისას შესატყვისობის სამიდან არცერთ მაჩვენებელზე ურთიერთობის შემფასებლის სქესი ზეგავლენას არ ახდენს (თვითწარდგენის სიზუსტე, აღქმის მიკერძოებულობა, აღქმის სიზუსტე).

“დადებითი მიკერძოება” - საკუთარი თავისა და ოჯახის წევრებისადმი დადებითი თვისებების მიწერა

ინტერპერსონალური აღქმის ერთერთ თვისებას, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ “დადებითი მიკერძოება“- ადამიანებისათვის უფრო მეტად დადებითი თვისებების მიწერა წარმოადგენს. მიკერძოება განსაკუთრებით ვლინდება საკუთარი თავის პოზიტიურად აღქმის ტენდენციაში (Taylor & Brown, 1988 / Robins & John, 1997).

შედეგების ანალიზისას ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა თუ რამდენად მოქმედებს ოჯახში საკუთარი თავის დადებითად აღქმის ტენდენცია.

ცხრილი 7. აღქმის საშუალო დადებითი მაჩვენებელი როლებისა და აღქმის ობიექტის მიხედვით

როლი	აღქმის ობიექტი							
	დედა		მამა		უფრ.შვილი		უმც.შვილი	
	M	SD	M	SD	M	SD	M	SD
დედა	4.90	.46	4.85	.80	5.15	.67	5.21	.55
მამა	4.85	.70	4.82	.60	5.06	.73	5.13	.60
უფრ.შვილი	5.16	.64	4.94	.72	4.93	.60	4.97	.63
უმცრ.შვილი	5.14	.65	5	.72	4.82	.63	4.85	.68

M- დადებითი შეფასების საშუალო მაჩვენებელი

SD- სტანდარტული გადახრა

ცხრილ 7-ში წარმოდგენილი მონაცემები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს საკუთარ თავზე უფრო დადებითად აფასებენ. გამონაკლის წარმოადგენს მამა, რომელსაც ოდნავ უფრო ნაკლებ დადებითი ნიშნებით ახასიათებს, ვიდრე საკუთარ თავს.

დისპერსიულმა ანალიზმა (ANOVA) ცხადყო ამ განსხვავების სტატისტიკური მნიშვნელობა ($F=7.8; p<.05$).

ცხრილი 8 საკუთარი თავისა და ოჯახის სხვა წევრების აღქმა

როლი	თვით-აღქმა		ოჯახის სხვა წევრების მიერ აღქმა	
	M	SD	M	SD
დედა	4.90	.46	5.07	.70
მამა	4.82	.60	5.01	.68
უფროსი შვილი	4.93	.60	5.02	.69
უმცროსი შვილი	4.87	.68	4.99	.68
სულ	4.87	.59	5.02	.68


M- საშუალო მაჩვენებელი,

SD- სტანდარტული გადახრა

ყველაზე დადებითად ოჯახის წევრებს დედა აღიქვამს ($M=5.07$), ხოლო ყველაზე უარყოფითად უმცროსი შვილი ($M=4.99$).

ანალიზმა აჩვენა, რომ მამა და დედა განსხვავებული პოზიტიურობით აფასებენ ოჯახის წევრებს ($F=4.17, p<.05$ დედის მიერ ოჯახის წევრთა აღქმის შემთხვევაში და $F=2.86, p<.05$ მამის მიერ ოჯახის წევრთა აღქმის შემთხვევაში). დედაც და მამაც მნიშვნელოვნად უფრო დადებითად აღიქვამენ უმცროს შვილს ($M=5.21, SD=.55$ დედის და $M=5.13, SD=.60$ მამის შემთხვევაში) ვიდრე ერთმანეთს ($M=4.85, SD=.80$ დედის და $M=4.85, SD=.70$ მამის შემთხვევაში). ამდენად, მშობლები უფრო დადებითად აღიქვამენ შვილებს, ვიდრე მშობლები და შვილები ერთმანეთს.

ყველაზე დადებითად ოჯახის წევრები უმცროს შვილს ($M=5.1$), ხოლო ყველაზე უარყოფითად მამას ($M=4.90$) აფასებენ.




ნახაზი 5. თვითაღქმა და ოჯახის წევრების მიერ პიროვნების დადებითად აღქმა

ამრიგად, გამოიკვეთა საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასების ტენდენცია.

4.2 თვით-გახსნა და აღქმის შესატყვისობა

ინტერპერსონალურ ურთიერთობებში აღქმის სიზუსტეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (Malloy & Albright, 1990). იმის დასადგენად მოქმედებს ეს კანონზომიერება თუ არა ოჯახურ ურთიერთობებში ჩვენ გამოვთვალეთ ოჯახის თითოეული წევრის ოჯახის სხვა წევრებთან თვით-გახსნის მაჩვენებელი და შევამოწმეთ თვით-გახსნის ზეგავლენა აღქმის შესატყვისობაზე.

გაზიარება უფრო მეტად ახასიათებს თანასწორ ურთიერთობებს (შვილების M=2.47, მშობლების M=2.45), ვიდრე იერარქიულ ურთიერთობას (მშობლების და შვილების M=2.22).



ნახაზი 6. თვით-გახსნა ურთიერთობების მიხედვით


დისპერსიულმა ანალიზმა ცხადყო თვითგახსნის ოდენობას შორის განსხვავება როლების მიხედვით ($F=3.59, p<.05$). თვით-გახსნა ყველაზე მაღალია დედასთან და ყველაზე მცირე უმცროს შვილთან, ყველაზე მეტად უმცროსი შვილი, ხოლო ყველაზე ნაკლებად მამა უზიარებს თავის გრძნობებსა და ფიქრებს ოჯახის წევრებს.

ცხრილი. 9 თვითგახსნა ოჯახის წევრებთან

	თვითგახსნის სამიზნე									
	დედა		მამა		უფრ.შვილი		უმც.შვილი		სულ	
როლი	M	SD	M	SD	M	SD	M	SD	M	SD
დედა			2.47	.38	2.42	.37	2.46	.40	2.45	.38
მამა	2.44	.40			2.14	.46	2.25	.45	2.28	.44
უფრ.შვილი	2.27	.50	2.05	.54			2.54	.56	2.29	.53
უმცრ.შვილი	2.22	.50	1.95	.50	2.41	.55			2.19	.52
სულ	2.31	.47	2.16	.47	2.3	.46	2.4	.47	2.3	0.45

M- საშუალო მაჩვენებელი

SD- სტანდარტული გადახრა



ნახაზი 7. ოჯახის წევრების თვითგახსნა

ცხრილ 9-ში წარმოდგენილია მონაცემები ოჯახის წევრებთან თვითგახსნის ოდენობის თაობაზე. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად ოჯახის წევრებთან გახსნილია უმცროსი შვილი, ხოლო ოჯახის წევრები ყველაზე მეტად დედასთან იხსნებიან.

მშობლები ყველაზე მეტად ეხსნებიან ერთმანეთს, შემდეგ უმცროს შვილს და ბოლოს უფროსს შვილს.

შვილებიც ყველაზე მეტად ეხსნებიან ერთმანეთს, შემდეგ დედას და ყველაზე ნაკლებად მამას.

ამდენად ოჯახში თვით-გახსნას არ ახასიათებს სიმეტრიულობა-ის ვისაც ყველაზე მეტად ეხსნებიან თვითონ სხვებს ყველაზე მეტად არ ეხსნება.

დისპერსიული ანალიზით არ დაადასტურდა ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი თვით-გახსნის ოდენობის კავშირისა თვით-წარდგინების სიზუსტესთან (A მახასიათებელი), ე.ი. პიროვნების ოჯახის წევრებთან თვითგახსნის ოდენობას ზეგავლენა არ აქვს იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისება პიროვნების თვით-აღქმა ოჯახის წევრების მიერ მის აღქმას.

4.3 ნდობა, აღქმის შესატყვისობა და თვით-გახსნა

ჩვენს მიერ გამოთქმული იყო ჰიპოთეზა, რომ სხვა ადამიანებისადმი ნდობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, მის მზაობას რისკის ქვეშ დააყენოს თვით-ხატის მდგრადობა, ღია ან დახურული იყოს ახალი გამოცდილების მიმართ.

ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად ნდობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო აღქმის მიკერძოებასთან (B მახასიათებელი- განსვლა თვით-აღქმასა და რეფლექსურ სხვას შორის) და თვით-გახსნის ხარისხთან.

დისპერსიულმა ანალიზმა დაადასტურა ნდობის კავშირი აღქმის მიკერძოებასთან ($F=4.23, p<.05$), მაგრამ არ დაადასტურა ნდობის კავშირი ოჯახის წევრებთან გახსნის ოდენობასთან.

მაღალი ნდობის მქონე პიროვნებებთან დაბალი ნდობის მქონე პირებთან შედარებით უფრო დიდია განსვლა საკუთარ მე-ხატსა და იმას შორის, თუ მათი აზრით სხვა როგორ აღიქვავს მათ ($M=1.35, SD=.66$ ნდობის მაღალი და $M=1.15, SD=.43$ დაბალი მაჩვენებლის ქონე პირებთან)

5. დასკვნები

კვლევის შედეგების ანალიზმა საშუალება მოგვცა, რომ პასუხები გაგვეცა კვლევის საკითხებზე და შეგვემოწმებინა ჰიპოთეზები, რომლებიც ფორმულირებული იქნა კვლევის დაგეგმვის ეტაპზე.

აღქმის შესაბამისობა

ოჯახში ინტერპერსონალური აღქმის შესაბამისობის სამი ხაზგასმული ინდიკატორი - თვითაღქმის სიზუსტე, აღქმის მიკერძოება და აღქმის სიზუსტე დაკავშირებულია ერთმანეთთან და იცვლება ოჯახის როლებისა და ქვე-სისტემების მიხედვით.

კვლევაში განსაზღვრულ აღქმის შესაბამისობის სამ ინდიკატორს შორის, როგორცაა თვითაღქმის სიზუსტე, აღქმის მიკერძოება და აღქმის სიზუსტე, შეუსაბამობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი თვით-აღქმის სიზუსტეში, ხოლო ყველაზე დაბალი აღქმის მიკერძოებაში დაფიქსირდა. პიროვნების თვით-აღქმა და ოჯახის წევრების მიერ მისი აღქმა კარგად არ შეესაბამება ერთმანეთს.. შესაბამისობა უმნიშვნელოდ მაღალია სხვების რეალურ აღქმასა და აღქმას შორის, რომელიც სამიზნე პიროვნებას აქვს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები, თუმცა შესაბამისობა მნიშვნელოვნად მაღალია სამიზნე პიროვნების თვით-აღქმასა და მის აღქმას შორის (რეფლექსიურ აღქმაში) თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები.

აღქმათა შესაბამისობის განმსაზღვრელი ფაქტორები

ასაკი და სქესი

ბავშვების ასაკს აქვს საგულისხმო მნიშვნელობა, ვინაიდან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აღქმათა შესაბამისობას. სამივე ინდიკატორს შორის შესაბამისობის განსხვავება აშკარაა 17 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მათზე უფროსი ასაკის ჯგუფს შორის.

როგორც ბავშვების ისე მშობლების სქესს არ აქვს გავლენა შესაბამისობის ხარისხზე.

თვით-გახსნა

მონაცემების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ოჯახურ გარემოში თვით-გახსნის სხვადასხვა თვისებების მნიშვნელობაზე.

თვით-გახსნაზე გავლენას ახდენს ოჯახის ქვე-სისტემები. თვით-გახსნა უფრო დიდია თანაბარი (მშობლები, შვილები), ვიდრე იერარქიული (მშობლები, შვილები) ურთიერთობის დროს.

თვით-გახსნა ასიმეტრიული ხასიათისაა. ის ვინც უფრო გახსნილია, არ არის აუცილებელი იყოს ის, ვისაც ოჯახის წევრთა უმეტესობა ეხსნება (ანუ ვისთანაც იხსნება ოჯახის წევრთა უმეტესობა)

გახსნის ოდენობა დაკავშირებულია ოჯახურ როლებთან. უმცროსი შვილი ყველაზე მეტად, ხოლო მამა ყველაზე ნაკლებად გახსნილი პიროვნებები არიან.

დედა არის პიროვნება, რომელთანაც ოჯახის ყველაზე მეტი წევრი იხსნება, ხოლო უმცროს შვილთან კი - ყველაზე ნაკლები.

ჩვენი ჰიპოთეზები თვით-გახსნასა და თვით-აღქმის დამოკიდებულებაზე ე. ი. მცირედი სხვაობა თუ როგორ ხედავს ადამიანი საკუთარ თავს და როგორ ხედავენ მას ოჯახის წევრები, არ დადასტურდა. რამდენადაც ოჯახური გარემო მდიდარ ინფორმაციას იძლევა პიროვნებისა და მისი ქცევის შესახებ, ამდენად ჩანს, რომ თვით-გახსნა მას ბევრს ვერაფერს მატებს და აქედან გამომდინარე, არც აისახება აღქმაში.

ნდობა

ჩვენი მეორე პიპოთზა ნდობის კავშირი აღქმასთან -დადასტურებული იქნა. პიროვნებები ვისაც გენერალიზებული ნდობის მაღალი დონე აქვს მეტად უშვებენ თვითაღქმასა და სხვების მიერ მათ შეფასებებში არსებულ განსხვავებებს. შესაბამისად, ნდობა ადამიანს ხდის მეტად ღიას ახალი გამოცდილებისა და პიროვნული განვითარების მიმართ.

პოზიტიური მიკერძობა

პოზიტიური მიკერძობის არსებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ პიროვნებებს აქვთ მიდრეკილება საკუთარი თავი უფრო პოზიტიურად შეაფასონ, ვიდრე სხვები. ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენმა შედეგებმა აჩვენა, რომ ოჯახის წევრების პოზიტიური მიკერძობა უფრო მიმართულია სხვა წევრების, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ.

პიროვნებები განასხვავებენ ორი სახის ტენდენციის მიხედვით - შეაფასონ სხვები პოზიტიურად და ოჯახის წევრების მიერ შეფასებული იყვნენ პოზიტიურად.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის წევრებს ყველაზე პოზიტიურად აღიქვამს დედა, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიურად ოჯახის უმცროსი წევრი, მაშინ, როდესაც ოჯახი წევრები ყველაზე პოზიტიურ თვისებებს მიაწერენ უმცროს შვილს, ხოლო ყველაზე ნაკლებ პოზიტიურს მამას

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ოჯახის წევრების ორმხრივი აღქმის დამახასიათებელი თვისებები და აღქმათა შესაბამისობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ოჯახი შესაძლოა განხილული იქნეს ლაბორატორიად - დაცულ გარემოდ, რომელიც იძლევა თვით-აღქმის სიზუსტისა და ახალი ქცევების შემოწმების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგები, რომელიც ზემოთ დეტალურადაა განხილული, შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ.

აშკარაა თვითაღქმის სტაბილურობის შენარჩუნების მოტივაცია. ეს მოტივაცია, ჩვენი მოლოდინების შესაბამისად, დაკავშირებულია გენერალიზებულ ნდობასთან

პიროვნულ მახასიათებელთან, რომელიც განსაზღვრავს სხვების მიმართ ნდობასმადალი ნდობის მქონე პიროვნებები, დაბალი ნდობის მქონე პიროვნებებთან შედარებით, მეტად უშვებენ თვითაღქმასა და სხვების მიერ მათ შეფასებებში არსებულ განსხვავებებს. შესაბამისად, მაღალი გენერალიზებული ნდობის მქონე პიროვნებები ახალი გამოცდილებების მიმართ მეტად ღია არიან, მეტად მიდრეკილნი შეცვალონ თვითაღქმა და პიროვნული განვითარების მეტი პერსპექტივა აქვთ.

თვითპრეზენტაციისა და პერცეპციის სიზუსტე განვითარებადი ცნებაა. ის ძირითადად ოჯახურ პირობებში 17 წლის ასაკამდე ყალიბდება. კვლევაში დადასტურდა აღქმის პოზიტიური მიკერძოება, სამიზნის პოზიტიურად შეფასების ტენდენცია, თუმცა ლიტერატურაში მოცემული მონაცემების საწინააღმდეგოდ, პოზიტიური მიკერძოების სამიზნე იყო არა სელფი, არამედ ოჯახის წევრები.

ოჯახის წევრთა პერცეფციის სიზუსტე თვითგახსნაზე დამოკიდებული არ არის. ოჯახური ცხოვრება მდიდარ ინფორმაციას იძლევა პიროვნებისა და მისი ქცევის შესახებ, ასე რომ თვითგახსნის ოდენობა აღქმის შესატყვისობაზე გავლენას არ ახდენს.

კვლევის შედეგად ოჯახი ფუნქციონირების შესახებ შეგროვდა ინფორმაცია, რომელიც ოჯახის სოციო-ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ ცოდნას გარკვეულ ინფორმაციას მატებს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახი, როგორც მთლიანი, იქნა შესწავლილი. მისი ყველა წევრის ინტერვიუება ჩატარდა და შედეგები ოჯახური როლებისა (დედა, მამა, შვილი I და შვილი II) და ოჯახის ქვესისტემების (მშობლები, მეუღლეები, შვილები, და-ძმები) მიხედვით გაანალიზდა.

ოჯახის რთული მექანიზმია და მისი კვლევა ბევრ სირთულეს უკავშირდება. მოცემული კვლევა განხილული უნდა იყოს, როგორც საქართველოში ოჯახის შესწავლის პირველი მცდელობა. კვლევის შედეგად მიღებული იყო უფრო ბევრი კითხვა, ვიდრე პასუხი და ეს კითხვები შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

1. **Ackerman N.**(1958) W.The Psichidinamics of Famili Life N.Y Basic Books ,1958
2. **Archer R.L.**(1980). Self-disclosure.In D.M. Wegner& R.R. Vallacher(Eds),Selfin social psychology(pp1983-205) New-York: Oxsford University Press
3. **Argyle,M., & Henderson,M.,** (1985) The Anatomy of relationships. London: Heinemann.
4. **Allan,G.**(1989) Friendship: Developing a sociological perspective. New York: Harvester Wheatsheaf.
5. **Aukett,R., Ritchie, j.,& Mill,k.**(1988)Gender differences in friendship patterns. Sex Roles,19,57-66
6. **Bandura, A.** (1973) Aggression- a social learning analysis. Englewood Gliffs, New York: Prentice – Hall.
7. **Bandura,A.** Self-efficacy:Toword a Unifying Theory of Behavior Change. Psychological Reviw,1997,84, 191-215
8. **Becker, G. S.** (1991). A treatise on the family. Cambridge, MA: Harvard University press
9. **Cambell, Converse, & Rogers** The Qquality of American Life, , 1976
10. **Cantor, N & Kihlstrom, J. F.**(Personaliti and socil inteligence, Englewood Cliffs, NJ Prentice-Hall,1987
11. **Cantril, (1965).** The pattern of Human Concerns, 1965
12. **Cherlin, A.J.** (1990). Public and private families. Boston:McGraw-Hill. 2nd edition.
13. **Cherlin, A. J.** (1999). Public and Private Families (2 nd ed). Boston: The McGraw-Hill Companies, Inc.
14. ჩირცუმბლეს ოდელ ოფ არიტალ ანდ ამილყ შესტემს. ჩოჰესიონ ანდ დაპტაბილიტყ იმენსიონს, ამილყ თყკეს, ანდ ჩლინიცალ პპლიცატიონს.” ამილყ როცესს, 18 ,3-28.
15. **Cooly (1902).** "looking glas self" concept, [www.universitip.com/.../Charles-Horton-Cooley's-
“Looking-Glass-Self”-Theory:-Concepts-Application-Studies-Durability-... - 50k](http://www.universitip.com/.../Charles-Horton-Cooley's-\)

16. **Creasy G. L. & Jaruis P.A.** - The Childs Perceptions of Familial Relationships: Convergence Between two Assessment Techniques.pp.59-61 In: The journal of Genetic Psychology .150(1) 59-64 . 1990
17. **Duval, Sh, and Wicklund, R. A** (1972). Theory of objective Self-Awareness.: NewYork and London:Academic Press
18. **Davis (1976)** Self-disclosure in an acquaintance exercise: Personsibility for level of intimacy. Journal of personality and social psychology,33, 787-798
19. **Ellis,A., & DiMattia, D.,** (2000) A New Method of Facilitating Management and Labor Relations” <http://www.rebt.org>
20. **Erikson, E.H. (1950)**. Childhood and Society. N Y: Norton
21. **Fleck St.-** Group and family Therapies: Distinctions PP.127-137 Psychiatric Annals 10.17-35. 1980
22. **Funder, D.C., & Colvin, C,R. (1997)** Congruence of others’ and self-judgments of personality. In Handbook of Personalitypsychology. San Diego, etc: Academic press. pp.617-647
23. **Funder, D.C., & StephenG.W.** Consensus,Self-Other Agreement, and Accuracy in personality Judgment:an Intoduction Journal of Personality 61:4,December 1993
24. **ეორგას,ჟ. ერრყ., ჟოჰნ ჭ. რონს ჟ.ღ., ვან დე ვიჯვერ --, აგიტციბასი, ჩ., & ოორტინგა, . . (2006)** “ ამილიეს ცროსს ჩულტურეს”ჩამბრიგე უნივერსიტყ პრესს.
25. **ილბერტ, შჰ. (1976),** “ მპირიცალ ანდ თჰეორეტიცალ სტენსიონს ოფ შელფ-ისცლოსურე.” In სპლორატონს ინ ინტერპერსონალ ჩომმუნიკაციონ. ერალდ ილლერ (ედ.), ევერლყ ილლს, ჩალიფ.: შაგე უბლიკაციონს, 197-215.
26. **Gilbert, S.(1976)** Self-disclosure, intimacy and comunikation in families. Famili Coordinator,25, 221,-231
27. **Ginsberg, D., Gottman, J.,& Parker, J.(1986)**The impotence of friendship. In J.M Gottman, & J.G Parker, (Eds) Conservation of friends : Speculation of effective development (pp3-48).Cambridge: Cambridge University Press
28. **Hentschel,U., Ehlers,W., and Peter, R. (1993)**. “The Measurement of Defense Mechanisms by Self-Report Questionnaires In Uwe Hentschel, Gudmund J.W. Smith (eds.) “The concept of

Defense Mechanisms in Contemporary Psychology, Theoretical, Research and Clinical Perspectives, NY Inc: Spriger-Verlag, gv. 53-86.

29. **Hentschel, U., & Hickel, --(1984).** Familienbeziehungen: Eine Untersuchung mit sozialpsychologischer und diagnostischer Fragestellung zu Selbstbild, Interpersoneller Wahrnehmung und Kommunikation in der Familie. In U. Hentschel & A. Wigand (Eds), Persönlichkeitseigenschaften und Familienstruktur. pp.71-122. München: Weixler.
30. **ესს, ლ., & ანდელ, . (1959)** ამილყ ჭორლღს. ჩჰიცავო : ნივერსიტყ ოფ ჩჰიცავო რესს.
31. **Williams, J. E. & Best, D. L.** Sex and Psyche (Gender and Self Viewed Cross-Culturally) Sage publications London 1990
32. **Jourard, S.M. (1964).** The Transparent Self: Self-disclosure and well-being. Princeton, N.J: D. Van Nostrand.
33. **Jourard, S.M & Lasakow, P.(1958).** Some factors in self-disclosure. Journal of Abnormal and Social Psychology 56.91-98
34. **ჟორდარდ, შ. . (1971)** თჰე თრანსპარენტ შელფ.(რევისედ ღნ) ეწ ორკ : Vან ოსტრანდ ღეინჰოლდ ჩო.
35. **ჟორდარდ, შ., . (1964)** თჰე თრანსპარენტ სელფ: შელფ-დისკლოსურე ანდ წელლ-ბეინგ. რინცეტონ , .ჟ. : . Vან ოსტრანდ.
36. **Jones, W. H., Couch, L., & Scott, S. (1997).** Trust and Betrayal. Chapter 19 Handbook of Personality Psychology.
37. **Kahneman, D. & Schwarz, ---. (1999).** Foundation of Hedonic Psychology
38. **ანტორ, ., & ეჰრ, ჭ. (1976).** ინსიდე ტჰე ამილყ. შან რანცისცო : ჟოსსეყ- ასს.
39. **ომაროვსკყ, .(1976)** ატტერნ ოფ დისკლოსურე ოფ მალე უნდერგრადუატეს. ჟორნალ ოფ არრიაგე ანდ ამილყ.36,677-686
40. **ეეინგერ, ., & შენ, .ჟ. (1967):** “ ისკლოსურე ოფ ეელინგს ინ არრიაგე.” ერრილლ ალმერ უარტერლყ 13 237-249.
41. **ოებერ, ღ. & ისჰიონ, თ.ჟ. (1984).** ოყს წჰო ფიგჰტ ატ ჰომე ანდ სცჰოოლ. ამილყ ცონდიტიონს ინფლუენცინგ ცროსს-სეტტინგ ცონსისტენცყ. ჟორნალ ოფ ჩონსულტინგ ანდ ჩლინიცალ სყცჰოლოგყ, 52,759-68.

42. **Maccoby, E.E. & Martin, J.A.**(1983) Socialization in the context of the family : Parent- child interaction. In P.H. Mussen (Ed.)Handbook of child psychology: Vol,4. Socialization, Personality, and Social Development. New York: Wiley.
43. **Malloy, T.E., & Albright, L.** (1990). Interpersonal perception in a social context. Journal of Personality and Social Psychology, 58, 419-428.
44. **Marcus, H & Nurins, P.** (1986). Possible selves.American psychologist, 41,954-969.
45. **Minuchin, S.** (1974). Families and Family therapy. Cambridge: Harvard University Press.
46. **Miculinser,M.,& Nachshon, O.**(1991). Attachment styles and patterns of self0disclosure. Journal of Personality and Social Ssychology61,321-331.
47. **Miyamoto, F.S. & Dornbush, S.A** (1956). Test of Interactionist Hypotheses of Self-conception. American Journal of Sociology 39 .p p399-403
48. **Moos R.** (1974). Family Environment scale and Preliminary manual. Palo Alto. CA: Consulting Psychologist Press
49. **Nezlek,J.B.**(1993). The stability of social interaction. Journal of Personality and Social Psychology. 65, 930-941.
50. **Olsen D.H.**(1982). Circumflex Model of family systems VIII: family Assessment and intervention. In: **Olson, D. H., Mc Cubbin, H., Barnes, H., Larson, A., Muxen, M .,Wilson, M.** Family inventories . pp 7-46 University of Minnesota Medical School, Minneapolis, MN, USA
51. **Osgood, C.C., Tannenbaum, P.H., & Suci, G.J.** (1957). The Measurement of Meaning. Urbana:University of Illinois Press.
52. **Parsons, T., & Bales, R.F.** (1955). Family socialization and interaction process. N.Y.: The Free Press
53. **Peretti,P.O**(1976) Closest friendships of black college students: Socialintimacy.Adolescence,11,395-403.
54. **Robin, S.R & John, O.**(1997). The Quest for self-insight: theory & research on accuracy & bias self-perception. In: R.Hogany J.Johnson &Ss. Brigs(eds). Handbook of Personality Psychology . p..649-680 SanDiego:Academic press.

55. **Rojers ,C.R and Dymond R.F.(Eds.) (1954).** Psychoterapy and Personality Change, Chicago;Univ. Chicago Press,1954.
56. **Rotter, J.B. (1967).** A new scale for the measurement of interpersonal trust. Journal of Personality,35,651-665.
57. **Rotter, J.B. (1980).** Interpersonal trust, trustworthiness, and gullibility. American Psychologist,35, 651-665
58. **Roth, D.L, Snyder, C. D. and Pale, L.M. (1986).** Dimensions of favorable self- presentation. Journal of personality and social psychology, 51,867-874.
59. **Rubin,L.B.(1985).** Just friends. New York: Harper & Pow.
60. **შატირ, V. (1972).** ეობლე მაკინგ. ალო ლტო, ჩალიფ.: შციენცე & ეპავიორ ოკს,
61. **შატირ, V. (1967)** ჩონჯოინტ ამილყ თჰერაჰყ. ალო ლტო, ჩალიფ.: შციენცე & ეპავიორ ოკს.
62. **შციილლ , თ., თოვეს, ჩ.,& ლამანაიაჰ, . (1980).** ინტერპერსონალ ტრუსტ ანდ ცოპინგ წიტჰ სტრესს. სყცჰოლოგიცალ ლეპორტს,47,1192.
63. **Smets A.C., & Hartup W.W(1988).** System and Symptoms: Family Cohesion/ Adaptability and Childhood Behaviour Problems. In: Journal of Abnormal Child Psychology vol.16.N 2. pp 233-246
64. **Sumbadze, N., Hentschel, U., Bijleveld, C.,(1996)** The estimation of relationships by means of relational grid. Leiden Psychological Reports. Personality Psychology. LRP-PP:02-96.
65. **Sumbadze,N., (1999)** The social web: Friendships of Adult Men and
66. **Taylor,S,E., Peplau, L.A., & SearsD.O (1994).** Social Psychology. 8 Edition, New Jersey: Prentice Hall Englewood Cliffs
67. **Waish F., & Olson D.H. (1982).** Utility of the Circumplex Model with severely dysfunctional family systems In: Olson D H McCubbinH, Barnes H, LarsonA., Muxen M Wilson M. Family inventories . University Minnesota. pp 51-
68. **Winstead,B.A(1986)**Sex differences in same-sex friendship. In V.J. Derlega &B.A. Winstead (Eds), Friendship and social interaction.(pp81-93)New York: Springler-Verlag.
69. **Wrightsman, L. S (1974)** Assumption about human nature: a social psychological approach. Monterey, CA: Brooks /Cole

70. **Алешина, Ю(1987)** " Цикл развития семьи: исследования и проблемы. Вестник МГУ серия XIV Психология. №2(ст 60-70))
71. **Аргайл М** (2003) Психология счастья Питер (ст-11-15) (ст-87-106)(ст384-401)
72. **Аронсон Э.** (1998)Общественное животное. Аспект-Пресс, Москва
73. **Бейхер К.**(1991)Теория семейных система М.Боуена Вопросы психологии №6 Москва "педагогика"
74. **Бернс Р.**(1986)Развития я- концепции и воспитание Москва"Прогресс"
75. **Берон Р.Бирн Д. Джонсон Б.**(2003)Социальная психология ключевые идеи "Питер" Санкт-Петербург, 4-е издание
76. **Гозман Л. Алешина Ю.** (1985)Социально психологические исследование семьи, проблемы и перспективы . Вопросы психологии №2 (ст 186-187)
77. **Джемс В.** (1991)Психология. Москва "Педагогика".
78. **Зацепин С .**(1991) " молодая семья" Киев
79. **Ковалев С.В.**(1987) Психология семейных от ношении Москва Педагогика (ст159)
80. **Майерс Д.** (1997)Социальная психология "Питер" Санкт-Петербург
81. **Меили П.**(1957) Структура личности изкспериментальная психология "Прогресс" Москва
82. **Ничипоров Б.В**(1991)Таинство брака и семьи, введение в космологию домостроительства" Вопросы психологии №5 Москва "педагогика"
83. **Николс М. Шварц Р.**(2004) Семейная терапия. Концепции и методы. 5-е международное издание. Москва ЭКСМО
84. **Первин Л Джон О**(2000) . Психология личности , теория и исследования. Аспект-прес, москва
85. **Подросток и семья** (2002)Хрестоматия Изд.дом "Бахрам-М "
86. **Психологический словарь**(1990). ИПЛ, Москва
87. **Психология Семьи** (2002)рестоматия. Самара изд. Бахрам_М Ст 582-584
88. **Ребенок и семья** (2002)Хрестоматия. Самара Изд.дом "Бахрам-М "
89. **Райс Ф.** (2000) Психология подросткового и юношеского возраста "Питер" Санкт-Петербург,
90. **Самосознание и защитные механизмы личности.**(2003) Хрестоматия по социальной психологии личности. Самара Изд.дом "Бахрам-М "

91. **Сатир В.** (1987) Поможем семье измениться Семейная психотерапия Москва
92. **Сатир В.** (1992) "Как строить себя и свою семью " Москва.
93. **Соколова Т М** (1983) самосознание личности МГУ москва
94. **Смелзер Н.** (1998) Социология "Феникс" Москва
95. **Стефаненко Т Г** (2003) Этнопсихология Асерт-пресс Москва
96. **Тейлор Ш. Пипло Л. Сирс Д.**(2004) Социальная Психология 10-е издание изд.Питер
97. **Хейли ДЖ.**(1986) "Необычная психотерапия" Психотерапевтические техники Милтона Эриксона Ньюорк-Лондон
98. **Холл К. и Линдсей Г.** (1997) Теории личности " КПС+" Москва,
99. **Хьелл Л и Зилгер Д.**(2000) Теории личности "Питер" Санкт-Петербург,
100. **Шефер Ч. Кери Л.**(2001) Игровая семейная психотерапия "Питер"
101. . (1960) . 197-198
102. **Шнейдер Л.Б.** (2000) Психология семейных отношении Курс лекций Эксмо-пресс. Москва .
103. **Эдемиллер Э.** (2000)Системная семейная психотерапия Санкт-Петербург .
104. **Эдемиллер Э. Юстицкис В.** (1999)психология и психотерапия семьи. Санкт-Петербург
105. (2003)
“ ” - (ცტ21-31)
106. **Эриксон Э.** (2002)" детство и общество изд. "Речь" Санкт-Петербург
107. **ბაღიაშვილი მ.** “მე-ს ობიექტივაცია და თვითშეფასება”,სადოქტორო დისერტაცია 2004
108. “მაცნე” ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია,1993;
109. **დოღიძე ს.**(2001) თვითობისა და თვითშეფასების კვლევისათვის თვალსაჩინო ფიზიკური დეფექტების შემთხვევაში. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 4 თბილისი
110. **დურგლიშვილი, ნ.** (1997)“ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი” გაერთიანებული ერებისგანვითარების პროგრამა, თბილისი.

111. სუმბაძე ნ.(2000) თვითგახსნა როგორც ურთიერთობის გაღრმავების მექანიზმი ფსიქოლოგიური გამოკვლევები აკ, წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი
112. ნადირაშვილი შ.(1975) პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი (გვ 307-312)
113. ნადირაშვილი შ. (2001) განწყობის ენტროპიული თეორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტე თბილისი (გვ113 -114)
114. ყვაავილაშვილი, ჯ. (1990) “სტატისტიკური მეთოდების გამოყენება მატემატიკაში”. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
115. ჯავახიშვილი ნ.(1998) " თვითობის" და მასთან დაკავშირებული ტერმინების მიმოხილვა. "ფსიქოლოგია" ტ 18, თბილისი